პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყაზბეგი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

№011
(12 388)

16 იანვარი ოთხშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# ირლანდიიით ვიწყებთ

## ნოდარ ახალკაცი: კალენდარი 90-95% ქართულია

მსოფლიოს ჩემპიონატი. სამხრეთ აფრიკა 2010. VIII ჯგუფის კალენდარი

| 2008 წელი |
|---|
| 6 სექტემბერი<br>საქართველო-ირლანდია |
| 10 სექტემბერი<br>იტალია-საქართველო |
| 11 ოქტომბერი<br>საქართველო-კვიპროსი |
| 15 ოქტომბერი<br>საქართველო-ბულგარეთი |
| **2009 წელი** |
| 11 თებერვალი<br>ირლანდია-საქართველო |
| 28 მარტი<br>კვიპროსი-საქართველო |
| 1 აპრილი<br>საქართველო-მონტენეგრო |
| 5 სექტემბერი<br>საქართველო-იტალია |
| 10 ოქტომბერი<br>მონტენეგრო-საქართველო |
| 14 ოქტომბერი<br>ბულგარეთი-საქართველო |



ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი პლამენ მარკოვი (მარცხნივ) და კლაუს ტოპმიოლერი გუშინდელ შეხვედრაზე

მაგალითად, 2009 წლის 29 მარტს, ირლანდიასთან სტუმრად ჩვენ უნდა გვეთამაშა, მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხში შედიოდა და ჩვენ ეს თარიღი ბულგარეთს დავუთმეთ გასვლითი ამხანაგური მატჩისთვის.

2008 წლის 4 მატჩიდან 3 შინ გვაქვს. ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

მართალია ბოლო 2 მატჩი სტუმრად გვაქვს, მაგრამ ერთი შეხვედრა ჩერნოგორიასთან გვაქვს და მეორე ბულგარეთთან. თუ პრეტენზია გვაქვს რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე ვიასპარეზოთ ეს ორივე თამაში მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ.

შეიძლება ითქვას, რომ თამაშების ეს განრიგი ჩვენს ვარიანტს 90-95 პროცენტით მიესადაგება.

ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან 2

# მზად ვარ, მოვდივარ!



ინტერვიუ მალხაზ ურჯუკაშვილთან 13



## ყველა თბილისშია, მეკარეები ნორვეგიაში შემოგვიერთდებიან

20 იანვარი. საქართველო-ლუქსემბურგი. ხელბურთი. ჩელენჯ ტროფის ფინალი

12-13

გახსენი... ყაზბეგი
www.kazbegi.com
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

## ნოდარ ახალკაცი:
# კალენდარი 90-95 პროცენტით ქართულია



ნოდარ ახალკაცი

საქმე წილისყრამდე არ მიიყვანეს და სოფიაში შეკრებილმა ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლებმა კალენდარზე შეთანხმდნენ.

ჩვენს დელეგაციაში ნაკრების მწვრნელის **კლაუს ტოპმიოლერის** გარდა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** და გენერალური მდივანი **უჩა უგულავა** შედიოდნენ. კალენდარეზე სჯა-ბაასი ბარე 5 საათი გაგრძელდა, რამაც საბოლოო ჯამში შედეგი გამოიღო.

კალენდრის შეთანხმების შემდეგ "ლელო" ნოდარ ახალკაცს დაუკავშირდა:

- კალენდარზე საუბარმა 5 საათს გასტანა. იყო მომენტები როცა მოლაპარაკებები ჩიხშიც კი შევიდა. ირლანდიას საშინაო მატჩების გამართვისთვის 5 თარილი ჰქონდა. მოგეხსენებათ თუ რა კლიმატური პირობებია ირლანდიაში და შესაბამისად მათ მხოლოდ ის 5 თარილი ჰქონდათ, როცა დუბლინში მოსახერხებელია საშინაო მატჩის ჩატარება. ამას გარდა იყო არაერთი უთანხმოება და როგორც გითხარით მოლაპარაკებები არაერთხელ ჩიხში შევიდა. აქვე გეტყვით, ყველა მხარეს კომპრომისი რომ არ დაეშვა შეთანხმება არ შედგებოდა და სათამაშო კალენდარს ფიფა ბრმა წილისწრით შეგვიდგენდა.

არ მოვერიდები და ვიტყვი, რომ ჩვენი დელეგაციის მონდომება რომ არა, შეთანხმების მიღწევა გაგვიჭირდებოდა. მაგალითად, 2009 წლის 29 მარტს, ირლანდიასთან სტუმრად ჩვენ უნდა გვეთამაშა, მაგრამ მოლაპარაკებები ჩიხში შედიოდა და ჩვენ ეს თარილი ბულგარეთს დავუთმეთ გასვლითი ამხანაგური მატჩისთვის. სანაცვლოდ ირლანდიას ჩვენ 11 თებერვალს ვეთამაშებით.

თუმცა ამ კალენდარში ჩვენი ინტერესები საკმაოდაა გათვალისწინებული. ასე რომ არ ყოფილიყო, ამ ვარიანტს არ დავთანხმდებოდით და ვეტოს უფლებას გამოვიყენებდით.

**- ბოლო ორი მატჩი სტუმრად გვაქვს და ეს რამდენად მისაღებია ჩვენთვის?**

- დიახ, ასეა, მაგრამ ამ ვარიანტით ჩვენ 2008 წლის 4 მატჩიდან 3 შინ გვაქვს. ეს კი ცოტას არ ნიშნავს. ამას გარდა, 2009 წლის მატჩებიც ჩვენდა სასიკეთოდაა გადანაწილებული. მართალია ბოლო 2 მატჩი სტუმრად გვაქვს, მაგრამ ერთი შეხვედრა ჩერნოგორიასთან გვაქვს და მეორე ბულგარეთთან. თუ პრეტენზია გვაქვს რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატრზე ვიასპარეზოთ ეს ორივე თამაში მაღალ დონეზე უნდა ჩავატაროთ.

**- კლაუს ტოპმიოლერმა რა თქვა თამაშების ამგვარ განრიგზე?**

- მისი ნება და თანხმობა რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ამ ვარიანტს არ დავთამხმდებოდით. უფრო მეტიც, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თამაშების ეს განრიგი ჩვენს ვარიანტს 90-95 პროცენტით მიესადაგება.

**დავით ცაბაძე**



გიორგი მერებაშვილმა ერთი გოლი გაიტანა, პენალტი კი ვერა

დინამო. ამხანაგური მატჩი

# დინამომ მეთოფეები დაიზავა

## შემდეგი მეტოქე მეტალურგია

**დინამო-არსენალი 2:2**

0:1 ზაკარლიუკა (11), 1:1 გრიგალაშვილი (54), 2:1 მერებაშვილი (76), 2:2 სიდორენკო (80. პენ.)

დინამო: ოვონო, თომაშვილი, კრშკო (46. გ. კაშია), ზელიჩი, დობეში (80. გველესიანი), ოდიკაძე, ხმალაძე (46. ნერგაძე), დილმელაშვილი (70. ვანაძე), მერებაშვილი, ხუციშვილი (46. გრიგალაშვილი), აკირემი.

არსენალი: რევა, კრუგლიანი, ზახარევიჩი, რასპოტოვი, ლიტოვჩენკო, ხოშინი, კორნევი პარფიონოვი, ზაკარლიუკა, შოზემარი, ბაკალსკი (46. დემეტრაძე).

გამოუყენებელი პენალტი: მერებაშვილი (67)

ანთალიაში შეკრებაზე მყოფმა თბილისის "დინამომ" გუშინ პირველი ამხანაგური მატჩი გამართა. თბილისელთა სპარინგ-პარტნიორი **გიორგი დემეტრაძის** კიევის "არსენალი" გახლდათ. ქართველმა ფორვარდმა მეორე ტაიმი ითამაშა ყოფილი გუნდის წინააღმდეგ.

"დინამოს" პრესცენტრის ინფორმაციით ანგარიში სტუმრებმა გახსნეს - მე-11 წუთზე სტანდარტული მდგომარეობის გათამაშებისას, ზაკარლიუკას დარტყმას რიკოშეტი და გოლი მოჰყვა. ტაიმის ბოლომდე ორივე გუნდს შეეძლო ანგარიშის შეცვლა, მაგრამ არაფერი შეცვლილა.

მეორე ნახევრის დაწყებამდე უჰრინმა შეცვლები განახორციელა. დინამოელებმა მეორე ნახევარში არა თუ ანგარიშის გათანაბრება, არამედ დაწინაურებაც შეძლეს, მაგრამ კიეველებმა ბოლოს ფრე მაინც გაახერხეს. 54-ე წუთზე **გრიგალაშვილმა** თითქმის ცენტრიდან დაარტყა და ანგარიში გაათანაბრა. 76-ე წუთზე კი დინამოელთა მრავალსვლიანი კომბინაცია **მერებაშვილმა** ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. წონასწორობა კი სიდორენკომ.

მერებაშვილს კიდევ ერთი გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ 67-ე წუთზე თავის მიერ გამომუშავებული პენალტი გააფუჭა.

დაბოლოს, "დინამო" გუნდი მომდევნო ამხანაგურ მატჩს 19 იანვარს **დავით კვირკველიას** ზაპორიჟიეს "მეტალურგთან" გამართავს.

**დავით ცაბაძე**

ჩაშლილი ტრანსფერი

# ჩასემი ზესტაფონს დაშორდა

**ერიკ რომეო ჩასემი** „ზესტაფონში" არ გადავა. კამერუნელ ფორვარდს პოზიცია არ შეუცვლია და გუშინ, ფეროელთა პრეზიდენტ **ილია კოკაიასთან** საუბარში კვლავ ისეთი პირობები მოითხოვა, რომლის დაკმაყოფილებასაც „ზესტაფონი" არ აპირებდა. უფრო კონკრეტულად, სარწმუნო წყაროს ცნობით, ჩასემს ე. წ. „პადიომნის" სახით 75 ათასი აშშ დოლარის აღება სურდა. 3-წლიანი კონტრაქტის სხვა დეტალები კი კლუბებს მანამდე უკვე გარკვეული ჰქონდათ.

ასე რომ, „სიონისა" და „ზესტაფონის" შეთანხმების მიუხედავად, ფეხბურთელის უარის გამო, ტრანსფერი ჩაშლილად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ჩასემი, რომელიც რამდენიმე დღის განმავლობაში იმერული კლუბის შემადგენლობაში ვარჯიშობდა და „ზესტაფონს" ბაკურიანულ შეკრებაზეც ახლდა, უკვე დაუბრუნდა „სიონს" და წვრთნას ბოლნისელთა რიგებში განაგრძობს.

ივნისში იგი თავისუფალი აგენტი ხდება და უფრო იოლად შეძლებს სასურველი კლუბის მოძებნას. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ კამერუნელი სეზონს „სიონში" ჩაამთავრებს, რადგან ქართული კლუბები მის სურვილს ალბათ ვერ დააკმაყოფილებენ.

რაც შეეხება ჩასემის თანამემამულე **ბოიომო ფრიდოლინის**, მან შესაძლოა, კარიერა აზერბაიჯანულ „სიმურგში" განაგრძოს. როგორც ამბობენ, მას ჩასემზე ნაკლები მადა აქვს. „სიმურგი" თბილისში რამდენიმე დღეში ჩამოვა და რამდენიმე ქართულ გუნდთან, მათ შორის, „სიონთან", ტესტ-მატჩს ჩაატარებს

ხვალ „სიონმა" რატევანში „ამერს" უნდა უმასპინძლოს, რამდენიმე დღეში კი შესაძლოა, ტესტ-მატჩი „ზესტაფონის" წინააღმდეგ გამართოს. „ზესტაფონი" კი სავარაუდო ახალწვეულებს თურქულ შეკრებაზე დააკვირდება. 23 იანვრამდე ფეროელები თბილისში მოემზადებიან, რის შემდეგაც ანთალიაში გაემგზავრებიან.

**ლევან ჯანეზაშვილი**




ჩასემი ისევ სიონში ითამაშებს

ფუტზალი

# მარცხიანი დასაწყისი ბაქოში

საქართველოს ფუტზალის ეროვნული ნაკრები ბაქოშია, სადაც ოთხთა საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობს. გათამაშების პირველი ტური ჩვენი გუნდისთვის მარცხიანი გამოდგა, ყაზახეთმა 3:1 მოგვიგო. მარცხი ძირითადად ჩვენი დაცვის უხეშმა შეცდომებმა განაპირობა. საქართველოს ნაკრების ერთადერთი გოლი გუნდის კაპიტნის, **ავთანდილ ასათიანის** ანგარიშზეა.

მეორე მატჩს საქართველოს ნაკრები დღეს ჩაატარებს მასპინძელ აზერბაიჯანთან. ბაქოში ვერ ჩავიდა აზიის ჩემპიონი ირანი, რომლის ადგილიც აზერბაიჯანის ახალგაზრდულმა ნაკრებმა დაიკავა. ბოლო ტურში სწორედ ამ გუნდს შევხვდებით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კახა კალაძე

# სად გვყავს დასაკარგი ფეხბურთელი

## ხიზანიშვილმა შეცდომა დაუშვა
## კალაძე დარწმუნებულია: მილანთან კონტრაქტს გავაგრძელებ

ზამთრის შესვენების შემდეგ სერია A რამდენიმე დღის წინათ განახლდა და კახა კალაძის „მილანმა“ „ნაპოლის“ 5:2 მოუგო, თუმცა იტალიის ჩემპიონატში „როსონერის“ საქმე ისევ ვერ არის კარგად - „მილანი“ ოცგუნდა სერია A-ში მისთვის უჩვეულო, მე-12 ადგილზეა.

საქართველოს ნაკრების კაპიტანს მილანური ამბების გარდა ეროვნულ გუნდზეც ვკითხეთ...

-

**როგორ ფიქრობ, რითია გამოწვეული „მილანის“ ასეთი ცუდი შედეგი მიმდინარე სერია A-ში?**

- რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, პირველ წრეში შინ ვერც ერთი თამაში ვერ მოვიგეთ. „ნაპოლისთან“ კი ძალიან მძლავრად ვითამაშეთ და როგორც იქნა, მილანში დამაჯერებელ გამარჯვებას მივაღწიეთ.

**- პირველ წრეში შინ თამაში რომ გაგიჭირდათ, ამას რას დააბრალებდი?**

- ვფიქრობ, ძალიან ძნელია, ყველაფერ ამას ახსნა მოეძებნოს. ჩემპიონთა ლიგაში ძალიან კარგად ვითამაშეთ, თითქმის ყველა მატჩი მაღალ დონეზე ჩავატარეთ, იტალიის ჩემპიონატში კი... საშინაო მატჩებში ძალიან ბევრ საგოლე მომენტს ვქმნიდით, მაგრამ უმეტესობას ვერ ვიყენებდით და მეტოქეები ამის გამო აქეთ გვსჯიდნენ - გოლები ჩვენს კარში გადიოდა.

**- სკუდეტოს უპირველეს ფავორიტად მილანის „ინტერს“ მიიჩნევ? რობერტო მანჩინის გუნდი უახლოეს მდევარ „რომას“ შვიდი ქულით უსწრებს...**

- რთული სათქმელია, ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ კიდევ ბევრი მატჩია დარჩენილი. რა თქმა უნდა, „მილანი“ ამ სეზონში ჩემპიონობისთვის ვეღარ იბრძოლებს - ჩვენი მიზანი ჩემპიონთა ლიგის მოგება და სერია A-ს ოთხეულში მოხვედრაა, რაც დამდეგ სეზონისთვის ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მოგვცემს. ზამთრის შესვენებისას ერთი კვირით დუბაიში ვიყავით წასული, სადაც ფიზიკურად ძალიან კარგად მოვემზადეთ. „მილანი“ ახლა მართლაც კარგ ფორმაშია და დასახული მიზნების შესრულება მისთვის სავსებით რეალურია.

**- „მილანის“ დუბაიში ყოფნისას ბრიტანულ პრესაში კიდევ ერთხელ დაიწერა კახა კალაძის „ლივერპულში“ შესაძლო გადასვლის შესახებ. ადრე არაერთხელ გითქვამს, „მილანიდან“ არსად წასვლას არ ვაპირებო, მაგრამ რატომ ხარ ასეთი კატეგორიული? ახალი კლუბი, ახალი გარემო, ახალი გამოწვევა - ეს შენთვის საინტერესო არ არის?**

- პრესაში გამოქვეყნებული ინფორმაციები ალბათ „ლივერპულის“ აგორებულია. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩემთვის კონკრეტულად არავის მოუმართავს. „ლივერპული“ ჩემს თაობაზე „მილანს“ ესაუბრა და უარი მიიღო - არსებობენ ისეთი ფეხბურთელები, რომელთა გაყიდვა არ შეგვიძლიაო. „მილანთან“ 2011 წლამდე მაქვს კონტრაქტი და ცოტა ხანში ხელშეკრულებას კიდევ გავაგრძელებ.

**- უკვე შემოგთავაზეს კონტრაქტის გაგრძელება?**

- არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, კონტრაქტს გავაგრძელებ.

**- რვა წელი უკვე გაატარე „მილანში“, სადაც კიდევ სამი წელიწადი მოგიწევს ყოფნა და მერე კიდევ „მილანი“...**

- ბოლო ხუთი წლის შედეგებს თუ დავიანგარიშებთ, „მილანი“ ამ დროისთვის მსოფლიოში საუკეთესო კლუბია. „მილანში“ ტიტულების მოგებას მივეჩვიე და ძნელია, სხვაგან გადასვლაზე გადაწყვეტილების მიღება.

**- საქართველოს ეროვნულ ნაკრებში კი გამარჯვებებს ვერა და ვერ მიეჩვიე - რა პერსპექტივას ხედავ ჩვენი ნაკრებისთვის დამდეგ შესარჩევში?**

- წინა შესარჩევში ჩვენი ნაკრები ჩამოყალიბების პროცესში იყო, თანაც ტრავმების თუ დისკვალიფიკაციის გამო გუნდს თითქმის სულ აკლდა 4-5 წამყვანი ფეხბურთელი. ასეთი დანაკლისით თამაში საქართველოს ნაკრებს კი არა, დიდ გუნდებსაც ძალიან გაუჭირდებოდა. წინა შესარჩევში ნაკრებში 3-4-მა ახალმა ფეხბურთელმაც მოიკიდა ფეხი.

**- და სათუო გახდა ზურაბ ხიზანიშვილის თამაში ეროვნულ ნაკრებში. როგორც გუნდის კაპიტანი, არ აპირებ ამ საკითხზე საუბარს კლაუს ტოპმიოლერთან?**

- როცა გუნდში რაღაც გაუგებრობა ხდება, ეს გუნდშივე უნდა მოგვარდეს. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის უთანხმოება გარეთ არ უნდა გასულიყო. ვფიქრობ, ხიზანიშვილმა შეცდომა დაუშვა, ასე რომ მოიქცა - ეს საკითხი გაზეთებში და პოლიტიკოსებში გასარჩევი არ იყო; ზურას და ნაკრების ხელმძღვანელობასაც ერთმანეთში უნდა მოეგვარებინათ ყველაფერი. რა თქმა უნდა, დასაკარგი ფეხბურთელი არ გვყავს და საამისოდ ყველამ უნდა შევუწყოთ ხელი ერთმანეთს. ნაკრების პირველივე შეკრებაზე ვეცდებით ამ საკითხის მოგვარებას.



კახა კალაძე

დავით თავართქილაძე



მესხეთის პრეზიდენტი გია მესხელი და მთავარი მწვრთნელი კობა თედიაშვილი

# მესხეთმა დაიწყო

მიზეზთა გამო, მეორე წრისთვის სამზადისი ახალციხელებს საკმაოდ შეაგვიანდათ. „მესხეთი“ პირველად გუშინ შეიკრიბა და ვარჯიშს ადგილზე შეუდგა. გუნდის წევრები 25 იანვრამდე ახალციხეში დარჩებიან და ფიზიკურად მოემზადებიან.

სამცხე-ჯავახეთში ტრადიციულად, მძიმე კლიმატური პირობებია, სტადიონზე თოვლი დევს, ყინვა კი -20 გრადუსს აღწევს, ამიტომ ბურთით ვარჯიში იქ წარმოუდგენელია. რამდენიმე დღეში „მესხეთი“ ბორჯომში, ან თბილისში გადაინაცვლებს და ბურთით ვარჯიშსაც შეუდგება. **კობა თედიაშვილის** გუნდი საკონტროლო მატჩებსაც ამ დროიდან დაიწყებს.

პირველი წრის დასრულების შემდეგ, „მესხეთი“ პირველად გამოცდილმა თავდამსხმელმა **ალექსანდრე კაიდარაშვილმა** დატოვა, რომელიც კარიერას თბილისის „ლოკომოტივში“ გააგრძელებს. მოგვიანებით რკინიგზელებს ახალგახრდა შუახაზელმა **ზვიად ჩხეტიანმაც** მიაშურა, მცველი **გიგა ჟვანია** კი კარიერას ზუგდიდის „მგლებში“ გააგრძელებს. სამშობლოში დაბრუნდა სომეხი თავდამსხმელი **ჰაიკ აკოფიანი**, რომელმაც ახალციხელთა ძირითადში ფეხი ვერ მოიკიდა. აკოფიანის გარდა, ყველა წასული ფეხბურთელი „მესხეთისთვის“ საკმაო ძალა იყო და მათი შემცვლელების ძიება აქტიურად მიმდინარეობს.

სადღეისოდ, „მესხეთის“ ერთადერთი ახალწვეული ცენტრფორვარდი **ზურაბ მუშკუდიანია**, რომელიც თედიაშვილის გუნდს ჭიათურის „მალაროელიდან“ შეუერთდა. იგი „მესხეთის“ ღირსებას წინა სეზონში, პირველ ლიგაშიც იცავდა. თედიაშვილი უახლოეს პერიოდში პოტენციურ ახალწვეულებს დააკვირდება. ბევრი რამ კლუბის ფინანსურ შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული, თუმცა თუკი სადღეისოდ არსებულ კონტინგენტს კიდევ ვინმე არ გამოაკლდა, წესით, „მესხეთს“ უმაღლეს ლიგაში დარჩენა მაინც არ უნდა გაუჭირდეს.

ლევან ჯანეზაშვილი

GEO FM 95.1

ავტორადიო თბილისი

www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

# დნეპრმა კობახიძისადმი ინტერესი დაადასტურა

## წითური ქართველი? საოცრებაა



სანდრო კობახიძე

დნეპროპეტროვსკი „დნეპრმა“ თბილისის 'დინამოსა“ და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველის, **სანდრო კობახიძის** მიმართ ინტერესი ოფიციალურად დაადასტურა.

„დნეპროპეტროვსკის „დნეპრში“ გასინჯვაზეა თბილისის „დინამოს“ ნახევარმცველი სანდრო კობახიძე. ის საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრია. ბოლო თამაშებში კლაუს ტოპმიოლერმა ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვია და ახანაგურ მატჩებში ფორმაც მოირგო. თუკი ოლეგ პროტასოვს მოეწონება, „დნეპრი“ მასთან კონტრაქტს გააფორმებს“ - იუწყება „დნეპრის“ ვებ-გვერდი.

სხვათაშორის, სანდროს თაობაზე „დნეპრის“ ვებ-გვერდზე გავცელებულ ინფორმაციას ფორუმში საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. კომენტარებიდან უნდა დავასკვნათ, რომ ქართული ფეხბურთის გაფუჭებული სახელის გამო, ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებსაც კი ეჭვის თვალით უყურებენ.

სანდროს გადასვლას „დნეპრის“ ბევრი ფანი სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ არიან გასხვავებული აზრის მატარებლებიც:

„ყველაფერი ძალიან მარტივადაა. პირველივე შეკრების შემდეგ, რამდენიმე ფეხბურთელი გუნდს დატოვებს. ზოგი საერთოდ, ზოგსაც არენდით სხვა კლუბში გაუშვებენ.“

„დუბლებს აძლიერებენ? უკეთესი იქნებოდა, საქართველოდან ყენია და სირაძე აეყვანათ, რომლებიც ოლეგ ბლოხინის ნაკრებმა თბილისში ვერ გააჩერა“.

„ქართველების ტექნიკისა და ბიჭის ასაკის გათვალისწინებით, შესაძლოა, გამოგვადგეს.“

„იქნებ ეს ბიჭი მეორე ვიტალი დარასელია ან დავით ყიფიანია? არ იცნობთ, თამაშიც არ გინახავთ და ისე წერთ, თითქოს, კაპიკად არ ვარგა. გამარჯობა, გენაცვალე!“

„გახსოვთ, ერთი კვირის წინ ვწერდი, რომ კიდევ ერთ კავკასიელ ფეხბურთელს გასინჯავდნენ. მაშინ გვარი ვერ გავიხსენე. იქნებ, მართლა ძლიერი ფეხბურთელია? პროტასოვმა და კომპანიამ მშვენივრად იციან რას აკეთებენ. ჩვენ კი ჯანსალი აზრის იმედი ვიქონიოთ.“

„ნუ ვლაპარაკობთ არაუკრაინელებზე ზიზღითა და სიძულვილით. „დნეპრი“ მიყვარს და კობახიძეს წარმატებას ვუსურვებ.“

„ქართველი და წითური პირველად ვნახე. ერთი ამიხსენით, მართლა ქართველია?“

„წითური რომ არის, აქედანაც ჩანს, სუფთა სისხლის ქართველია. ისტორიულად ქართველები ასეთები იყვნენ.“

სხვათაშორის, გამოხმაურება **გოგი ფიფიას** გადასვლასაც მოჰყვა და მისი კლასის დასადასტურებლად „ზესტაფონის“ ოფიციალური საიტზე დადებული გოლების მისამართებზე მიუთითეს.

**მერაბ მამულაშვილი**



ვლადიმერ ხაჩიძე

ბორჯომი

# გახსოვთ გარანტიები?

## ბორჯომი 20 იანვარს უცდის

„ბორჯომმა“ პირველი წრე მეოთხე ადგილით ჩაამთავრა, ახლა კი ისეთ დღეშია, სეზონის განახლებისთვის ვარჯიშიც ვერ დაუწყია.

სეზონის წინ „ბორჯომმა“ ფეხბურთელებთან ექვსთვიანი კონტრაქტები გააფორმა და ეს ხელშეკრულებები ამ დროისთვის ამოწურულია, მათი გაგრძელებისთვის კი „ბორჯომს“ ჯერ ფული არ აქვს. ეს კი ისედაც დაბალი დონის ჩემპიონატს კიდევ უფრო გააუფერულებს, „ბორჯომი“ ხომ პირველი წრის ერთ-ერთი ნათელი წერტილი იყო.

გუნდი დატოვეს „დინამოსგან“ ნათხოვარმა **შოთა გრიგალაშვილამ** და **გიორგი ნერგაძემ** - ისინი ''დინამოში“ დაბრუნდნენ, **შოთა ჯიქია** კი ბოლნისის „სიონში“ გადავიდა.

ერთი სიტყვით „ბორჯომში'' ახლა გაურკვევლობაა. კლუბს ადგილობრივი ბიუჯეტი აფინანსებდა, ასეთი რამ კი კანონის თანახმად 2008 წლიდან აღარ უნდა მოხდეს, მაგრამ ბორჯომელებს ეიმედებათ, რომ პოლიტიკური სიტუაციის სტაბილიზაციის შემდეგ გუნდს ისევ გაუჩნდება დაფინანსების წყარო.

„ბორჯომში“ გვითხრეს, 20 იანვრამდე ალბათ რაღაც გაირკვევა, თუ კლუბს ბიუჯეტი აღარ დააფინანსებს, ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის მიხედვით რომელიმე კერძო სტრუქტურა დაგვაფინანსებსო. „სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ გვიწევს ასეთ გაურკვევლობაში ყოფნა. უმოტივაციო გუნდში დარჩენას არ ვაპირებ, ამას ისევ უმუშევრობა მირჩევნია. არც ისაა გამორიცხული, სხვა კლუბებისგან მივიღო წინადადება“, - ამბობს „ბორჯომის“ მთავარი მწვრთნელი **ვლადიმერ ხაჩიძე**.

საინტერესოა, სად არის ის ფინანსური გარანტიები, რომელსაც სეზონის დაწყების წინ პროფლიგა ყველა გუნს სთხოვდა? თუ „ბორჯომმა“ ასეთი გარანტია ვერ წარადგინა, რატომ დაუშვეს ჩემპიონატში?..

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.



დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

**საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20**

### ხიზანეიშვილი ძირითადში იყო

ანთალიურ შეკრებაზე მყოფმა „ფრაიბურგმა“ მორიგი საკონტროლო მატჩი ჩაატარა. **რობინ დუტის** გუნდი მეორებუნდესლიგელ „კიკერს ოფენბახს“ დაუპირისპირდა და 4:1 გაიმარჯვა. **ოთარ ხიზანეიშვილი** ძირითად შემადგენლობაში, დაცვის ცენტრში გაამწესეს, პირველი ტაიმის შემდეგ დუტმა თერთმეტივე ფეხბურთელი შეცვალა.

### ორი ქართველი შერიფში

გუშინ ტირასპოლის „შერიფმა“ კიშინიოვის „ცსკა-სტიაუა“ 4:1 გაანადგურა. შეხვედრა სრულად ჩაატარა „შერიფის“ კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა**, ჩვენი კიდევ ერთი თანამემამულე **ვალტერ ხორგუაშვილი** კი თამაშში 63-ე წუთიდან ჩაერთო.

**ლევან ჯანეზაშვილი**




ოთარ ხიზანეიშვილი

# ძოძუაშვილმა ყაზახეთი გააოცა

ახალი სეზონიდან ყარაგანდის „შახტიორს" კვლავ **რევაზ ძოძუაშვილი** გაწვრთნის. ეს კლუბის პრეზიდენტმა **გრიგოლ ლორიამ** განაცხადა, მისი მუშაობით კმაყოფილი ვარ და ახალი მწვრთნელის მოძებნა არც მიფიქრიაო. გუნდს შვედეთის უმაღლესლიგელ „ჰალმშტადში" განათხოვრებული მეკარე **დავით ლორია** დაუბრუნდა, რომელიც ყაზახეთის ნაკრების პირველი ნომერია.

ძოძუაშვილი ყარაღანდაში „ნოუ-ჰაუთი" ჩავიდა და ბევრიც გააოცა. ახალი წლების შემდეგ წონაში მომატებული ფეხბურთელები ბევრი სირბილით რომ არ გადაელალა და ვარჯიშები სახალისო რომ ყოფილიყო, მოთამაშეები კალათბურთის ბურთით ათამაშა. ეს იყო სახალისო ვარჯიში, ფეხბურთისა და კალათბურთის ელემენტებით, როგორც ამას საქართველოში აკეთებდა. კარი ფარით შეცვალა. ბატონმა რეზომ ჟურნალისტებს აუხსნა, რომ კალათბურთის და ფეხბურთის ტაქტიკა ერთმანეთს ჰგავს, თუკი ფეხბურთელები კალათში ჩააგდებენ, სიზუსტე მოედანზეც არ უღალატებთო.

არ იკითხავთ, ამ უცნაური სპორტის სახეობაში ვინ გაიმარჯვა? ხომ გაგიგიათ, მუნჯის ენა დედას ესმისო. თანამემამულის მიერ მოგონილ ვარჯიშს ყველაზე სწრაფად ლევან მელქაძემ აუღო ალღო და პირველი ადგილი დაიკავა. თუმცა საფეხბურთო ფორმას თვითკრიტიკულად აფასებს: *„ამჟამად ცუდ ფორმაში ვარ. შეკრებაზე კარგად უნდა ვიმუშავო, მთელი სეზონი მაღალ დონეზე რომ ჩავატარო."*

რევაზ ძოძუაშვილის თქმით, კლუბში ბევრ ახალ ლეგიონერს ელის სერბიიდან, ხორვატიიდან, ბრაზილიიდან, უკრაინიდან და რუსეთიდან. ასე რომ, „მიხიჩა" სეზონს ხალისიანად იწყებს და იმედია, ასევე დაასრულებს.

**მერაბ მამულაშვილი**



# რას ფიქრობს ასათიანი ტაჯიკური სკოლაზე?

## მას ლამაზი ქალების სიმღერა უნდა მოსწონდეს

გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა" მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებში ერთგვარი გამოკვლევა ჩაატარა, გუნდის ახალ მთავარ მწვრთნელ რაშიდ რახიმოვის უკეთ ვინ იცნობდა.

საკმაოდ საინტერესო და იუმორით გაჯერებული იყო საქართველოს ნაკრების მცველის, მალხაზ ასათიანის პასუხები, საიდანაც ჩანს, რომ „ლოკომოტივის" ქართველი ლეგიონერი ახალ მთავარ მწვრთნელზე ბევრი რამ არ იცის. მაგალითად, ქართველი მცველი დუშანბეს „პამირის" გახსენებაზე ხუმრობის ხასიათზე დადგა და ცინიკური პასუხი გასცა, მაგარი სკოლა აქვსო. ეს ის გუნდია, სადაც მისი ამჟამინდელი მთავარი მწვრთნელი კარიერას იწყებდა.

**- თუ იცით, რა ჰქვია რახიმოვის მამას?**

- რაში მჭირდება ამის ცოდნა? უბრალოდ, შეიძლება „კოუჩი" დავუძახო და ასეც ვაკეთებ. ისე კი ვიცი, მამატკულოვიჩია, მაგრამ ამის თქმა ძალიან რთულია.

**- რას აპატიებს რახიმოვი ფეხბურთელს?**

- ლუდის დალევას. ღამის კლუბში დროის გატარებასთან შედარებით, ეს არაფერია.

**- რა ეროვნებისაა რაშიდოვი?**

- ფეხბურთი ინტერნაციონალური თამაშია. ჩვენ კარგად ვერკვევით, ვინ საიდანაა. ადამიანებთან დამოკიდებულებაში ეროვნება დიდი როლს არ უნდა ასრულებდეს. ჩემი პასუხია - ის ტაჯიკია.

**- ვინაა რაშიდოვის უფროსი ძმა რუსტამჯონ რაშიდოვი?**

- რაღაც ძალიან მეცნობა. მგონი, ის პოლიტიკოსია. რაც არ უნდა იყოს, უფროსი ძმა თუ არის, ის ბრძენი, ჭკვიანი უნდა იყოს. (სინამდვილეში ის რუსეთის ფუტზალის ასოციაციის მსაჯია).

**- დაგვისახელეთ მისი ცნობილი მოგვარე.**

- შევეცდები გამოვიცნო - ბაშკიროსტანის პრეზიდენტი.

**- რა არის მისი საყვარელი საჭმელი?**

- საერთოდ, რახიმოვი რესტორანში გვიან შემოდის და არ ვიცი ზუსტად. ალბათ, ცხვრის ხორცი უნდა უყვარდეს.

**- თქვენი აზრით, რომელი მომღერალი უნდა უყვარდეს?**



მალხაზ ასათიანი

- ნატაშა კარალიოვა, რადგან ის ლამაზია. ჩემი აზრით, მას უფრო ლამაზი ქალების სიმღერა უნდა მოსწონდეს და არა მამაკაცების.

**- რომელი სპორტული სკოლის გაზრდილია?**

- დუშანბეს „პამირის", ძალიან მაგარი სკოლაა!

„სოვეტსკი სპორტმა" სულ ხუთი ლოკომოტველი გამოკითხა და ქართველი საკუთარი მწვრთნელის ყველაზე ცუდი მცოდნე აღმოჩნდა. მინაწერით შესაბამისი აღმოჩნდა: *"ახლა რაშიდ რახიმოვი ვალდებულიც არის, ასათიანი ოჯახურ ვახშამზე მიიწვიოს და უახლოესი ადამიანები გააცნოს, მათ შორის, მსაჯი ძმა."*

**მერაბ მამულაშვილი**

# ალადაშვილმა ითამაშა, მარცვალაძე დაასვენეს

„ხარკოვი" ანთალიაში სეზონისთვის მზადებას აგრძელებს და მეორე საკონტროლო მატჩი გამართა. უკრაინელები ამჯერადაც რუსულ კლუბს, ნოვოსიბირსკის „სიბირს" შეხვდნენ და წლეულს პირველი გამარჯვება იზეიმეს - 3:2.

მესამე გოლი მარჯვენა ფლანგიდან **კახა ალადაშვილის** ჩაწოდებას მოჰყვა. ქართველის ჩაწოდებით ანდრეი **სმალკომ** იხეირა. ქართველმა მცველმა შეცვლაზე ითამაშა. **ოთარ მარცვალაძეს** კი არ უთამაშია.

ხარკოველები ორი დღით სამშობლოში დაბრუნდებიან და 19 იანვარს მომზადებას კვლავ თურქეთში გააგრძელებენ.

**მერაბ მამულაშვილი**



კახა ალადაშვილი

# ცხადაძე ინტერნეტიდან დააფასეს

აზერბაიჯანის „სტანდარდის" მთავარ მწვრთნელად ქართველი სპეციალისტი **კახა ცხადაძე** დანიშნეს. საიდან სადაო, გაუკვირდათ აზერბაიჯანელებს და „აზერისპორტის" ჟურნალისტმა გუნდის ფეხბურთელებსაც ჰკითხა, რა აზრის არიან ახალ თავკაცზე.

საინტერესო აღმოჩნდა რავჯაბ ფარადზადეს პასუხი: *„იმ ინფორმაციებიდან გამომდინარე, რაც მე კახა ცხადაძეზე ინტერნეტში მოვიძიე, შემიძლია დავასკვნა, რომ ძალიან ძლიერი სპეციალისტია. დამეთანხმებით, სამწლიანი მუშაობის განმავლობაში ბევრი ვერ მოახერხებს თავისი გუნდი ორჯერ ჩემპიონობამდე მიიყვანოს. ეს კი ცხადაძემ საქართველოში შესძლო."*

**მერაბ მამულაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება
• ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი



სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ისტორიული გადაწყვეტილება

# G14 იშლება

## ევროპის კლუბთა წარმომადგენლობითი ასოციაცია ელიტური არაფორმალური გაერთიანების ნაცვლად...

G14, უმდიდრესი საფეხბურთო კლუბების არაფორმალური გაერთიანება, იშლება. ორგანიზაცია უარს ამბობს ყველა სარჩელზე, რომელიც ბოლო წლებში ფიფას წინააღმდეგ სხვადასხვა ქვეყნების სასამართლოებში შეიტანა. ევროპელმა ექსპერტებმა არ გადაწყვეტილებას ისტორიული უწოდეს. მას წინ უძღოდა ფიფას, უეფასა და კლუბების ხელმძღვანელთა სამიტი ციურიხში, რომლის დროსაც ევროპის კლუბთა ასოციაციის შექმნა გადაწყდა. ფიფა და უეფა მზად არიან, ამ ორგანიზაციასთან აქტიურად ითანამშრომლონ.

G14 18 კლუბს აერთიანებდა, მათ შორის ინგლისურ გრანდებს, "მანჩესტერ იუნაიტედს", "არსენალსა" და "ლივერპულს" (უმდიდრესი კლუბების ოჯახში "ჩელსის" ადგილი ვერ მოინახა). ბოლო ათწლეულის განმავლობაში G14 ფიფასა და უეფას ყველაზე აქტიური ოპონენტი იყო. მასში გაწევრიანებულ კლუბებს საფეხბურთო სუპერლიგის შექმნა სურდათ. ტურნირი ჩემპიონთა ლიგის ალტერნატივა უნდა გამხდარიყო. მასში მხოლოდ ევროპულ გრანდებს უნდა ეთამაშათ. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, სუპერლიგა ფინანსურად ყველაზე მომგებიანი საფეხბურთო ტურნირი იქნებოდა. ჩემპიონთა ლიგის ფორმატის მრავალგზის შეცვლა ბევრწილად სუპერლიგის შექმნის საფრთხით იყო ნაკარნახევი. უეფამ ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ ფინანსურად მისი პროექტიც მაქსიმალურად მიმზიდველი გაეხადა და თავიდან აეცილებინა საფეხბურთო სამყაროს გახლეჩვა.

მსოფლიოსა და ევროპული ფეხბურთის მამებმა საწადელს მიაღწიეს. ციურიხის სამიზნე ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლის თანახმად G14 არსებობას შეწყვეტს. ხოლო ფიფა და უეფა გაითვალისწინებენ კლუბების მოთხოვნას და მუნდიალისა და ევროპის ჩემპიონატის მატჩებში უკლებლივ ყველა ფეხბურთელს დააზღვევენ. ეს იმას ნიშნავს, რომ მოთამაშის ტრავმის შემთხვევაში, კლუბი ფინანსურ კომპენსაციას მიიღებს. *"დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენა მოხდა,* - დასძინა ფიფას პრეზიდენტმა **ზეპ ბლატერმა**. - *კლუბები, რომლებიც საფეხბურთო მეურნეობის განუყოფელი ნაწილები არიან, ბოლოს და ბოლოს, საერთო ორგანიზაციის სრულფასოვანი წევრები გახდნენ."* შეთანხმების გამო კმაყოფილება ვერ დამალა უეფას პრეზიდენტმა **მიშელ პლატინიმაც**: *"კლუბების მოთხოვნები და პრეტენზიები საფუძვლიანია. დღევანდელი შეთანხმება პოლიტიკური გადაწყვეტილება კი არა, ლოგიკური ნაბიჯია."* "ბარსელონის" პრეზიდენტმა **ჟოან ლაპორტა** პლატინის დამსახურებას გაუსვა ხაზი: *"მიხარია, რომ უეფას პრეზიდენტმა უკვე დაიწყო იმ რეფორმების გატარება, რომელსაც არჩევნების წინ დაგვპირდა. დღეს მეგობრობისა და თანამშრომლობის ზეიმია. დღეს ყველა ჩვენგანმა გაიმარჯვა."*

დასასრულს ორიოდე სიტყვას ევროპის კლუბთა ასოციაციაზეც მოგახსენებთ. მასში 100-მეტი კლუბის წარმომადგენელი გაერთიანდება. ასოციაციაში წარმომადგენელი ეყოლება უეფას 53-ვე წევრ სახელმწიფოს. ასოციაცის დამოუკიდებელი ორგანიზაცია იქნება, თუმცა ის ფიფასა და უეფას თანაბარუფლებიან პარტნიორად მოგვევლინება.



კარლოს კამენი, მეთოფეების პოტენციური ახალწვეული

მოსალოდნელი ტრანსფერი

# არსენალი: კამენით და დიარას გარეშე

"არსენალმა" "ესპანიოლის" კარის დარაჯ **კარლოს კამენის** დაადგა თვალი. კამერუნელ მეკარეს ბარსელონური კონტრაქტი 2010 წელს ეწურება. "დიარიო სპორტის" ცნობით, "ესპანიოლს" ხელშეკრულების გაგრძელება სურს. მაგრამ თუ მეკარეს სხვა საინტერესო წინადადებები ექნება, აუცილებლად დაფიქრდება. ამჟამად კამენი აფრიკის ერთა თასზე იმყოფება. ესპანეთში დაბრუნებისთანავე მას ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ. თუ ფეხბურთელი უარს იტყვის, ზაფხულის ტრანსფერებისას გაყიდიან, რათა მაქსიმალური სარგებელი მიიღონ. ერთი წლის შემდეგ ფეხბურთელი გაცილებით იაფი ეღირება. კამენი 4 მილიონი ევრო ღირს. მისი ფასი მისივე ხელშეკრულებითაა განსაზღვრული 4 მილიონი კი ის თანხაა, რომელსაც "არსენალი" იოლად მონახავს. "მეთოფეების" გარდა, კარლოსს კიდევ ერთი ლონდონური კლუბი, "ტოტენჰემი" ეპატიჟება. "ტოტენჰემს" "სევილიის" ყოფილი თავკაცი **ხუანდე რამოსი** წვრთნის. სენიორ რამოსი ესპანეთის სატრანსფერო ბაზარს ჩინებულად იცნობს. თუ კამენისთან შეთანხმება არ მოხერხდება, **არსენ ვენგერს** სათადარიგო ვარიანტიც მომზადებული აქვს. ის "დეპორტივოს" 20 წლის გოლკიპერ ფაბრისიოს აკვირდება. ლაკორუნიული კლუბი აცხადებს, რომ ფაბრისიოს სხვა სარფიანი შეთავაზებებიც აქვს, მაგრამ ისინი მის გაყიდვას არ აპირებენ.

აქვე გეტყვით, რომ "არსენალის" ფრანგ ნახევარმცველ **ლასანა დიარას** "პორტსმუთმა" სარფიანი პირობები შესთავაზა. გასულ ზაფხულს 22 წლის ფეხბურთელი "ჩელსიდან" "არსენალში" იმ იმედით გადავიდა, რომ სტაბილურად ითამაშებდა. ასე არ მოხდა. ამიტომ დიარა ახალ სამსახურს ეძებს. "ფრეტონ პარკზე" წასვლის შემთხვევაში, ის კვირაში 60 ათას გირვანქას მიიღებს. "მეთოფეებს" კი 5.5 მილიონს მიუთულიან. დიარას "ნიუკასლი" ეპატიჟებოდა. **სემ ელერდაისი** რომ არ დაეთხოვათ, მას "სენტ ჯეიმს პარკზე" ვიხილავდით.

ინგლისის ნაკრები

# კაპელო ბექჰემს ცივი გონებით შეაფასებს

**ფაბიო კაპელო** დევიდ ბექჰემს მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოიძახებს, თუ ის ოპტიმალურ ფორმაში იქნება. 6 თებერვალს ინგლისი ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით პირველ მატჩს გამართავს. ბრიტანელები შვეიცარიას შეხვდებიან. თუ ბექჰემი ითამაშებს, ეს მისი მე-100 სანაკრებო მატჩი იქნება. ბილი რაიტის, სერ ბობი ჩარლტონის, ბობი მურისა და პიტერ შილტონის შემდეგ, ბექზი მეხუთე მოთამაშე გახდება, რომელსაც ეროვნულ გუნდში 100 შეხვედრა დაუგროვდება. ინგლისი საიუბილეო მატჩს მოუთმენლად ელის, მაგრამ იუბილე შეიძლება გაურკვეველი ვადით გადაიდოს.

კაპელო აღიარებს, რომ ფრიად სენტიმენტალური მომენტია და რომ მწვრთნელებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და გრძნობები მათაც გააჩნიათ, მაგრამ მისთვის ნაკრების ყველა კანდიდატი ერთია. ამიტომ გადაწყვეტილებას მხოლოდ ცივი გონებით მიიღებს: *"ბექჰემი ინგლისის ნაკრებისათვის მნიშვნელოვანი ფეხბურთელია. მას გუნდისათვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია, მაგრამ გუნდში ადგილი არავის აქვს გარანტირებული და ეს დევიდსაც ეხება."*

შვეიცარიასთან თამაშის იმედით, ბექჰემი დროებით ლონდონში გადასახლდა და "არსენალის" ბაზაზე ვარჯიშობს. გალაქტიკოს იმედი აქვს, რომ თამაშამდე დარჩენილ დროში სასურველ კონდიციებში იქნება.



დევიდ ბექჰემმა დროებით არსენალის მაისურა მოირგო



კუმანის გუნდმა რვამატჩიანი მოუგებელი სერია გამოაცხო

ვალენსია

# კუმანი ნაგებითაც კმაყოფილია

ახალმა წელმა "ვალენსიას" ახალი ტკივილი და თავსატეხი მოუტანა. "ღამურებმა" მორიგი პრიმერადივიზიონური მარცხი იგემეს და სატურნირო მდგომარეობა გაიუარესეს. გარდა ამისა, ისიც სათქმელია, რომ "ვალენსიას" ბოლო რვა წელია პირველი ტურის ბოლოს ასეთი სამარცხვინო შედეგები არ ჰქონია. 2000 წლიდან მოყოლებული 19 ტურის შემდეგ "ღამურები" მუდმივად ჩემპიონთა ლიგიზ ზონაში იმყოფებოდნენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ასეთი კატასტროფული სეზონი "ვალენსიას" დიდი ხანია არ ჰქონია.

მიუხედავად ამისა, კლუბის მთავარი მწვრთნელი **რონალდ კუმანი** ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. უფრო მეტიც, ის გუნდის ბოლო წაგებული თამაშით კმაყოფილი დარჩა: *"სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ დავმარცხდით. მეკარემ მიუტევებელი შეცდომა დაუშვა და ხელმოცარულები დავრჩით. მაგრამ ამის გამო გლოვა არ უნდა დავიწყოთ. "ატლეტიკოსთან" მატჩში აშკარად დავინახე, რომ სწორი გზით მივდივართ. ბიჭები კარგად მუშაობენ. 100 პროცენტით გახლავართ დარწმუნებული, რომ გამართული სტრატეგიით ვხელმძღვანელობთ. შეუძლებელია, ამ შემართებამ შედეგი არ გამოიღოს. მთავარია, მოთმინებით განვიმსჭვალოთ და მომავალშიც დიდი შემართებით ვიშრომოთ. ამ ეტაპზე "ვალენსიის" მზადების დინამიკით ძალიან კმაყოფილი გახლავართ."*

## ადლერი ევროპის ჩემპიონატზე?

**იენს ლემანმა** დორტმუნდის „ბორუსიის" წინადადებაზე უარი თქვა და „არსენალში" დარჩა, სადაც კვლავინდებურად სათადარიგოთა სკამს ხეხავს. გერმანიის ნაკრების პირველ მეკარეს სათამაშო პრაქტიკა არა აქვს. **ტიმო ჰილდებრანდი** „ვალენსიაში" კი თამაშობს, მაგრამ ასეთ თამაშს ისევ უთამაშებლობა სჯობია – მადრიდის „ატლეტიკოსთან" მარცხის შემდეგ (0:1) ესპანელმა ჟურნალისტებმა ჰილდებრანდი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, რადგან გაშვებული გოლი მისი ბავშვური შეცდომის „დამსახურება" გახლდათ. ესპანელი მიმომხილველები ირონიით წერდნენ, „ვალენსიას" გერმანელი კი არა, ინგლისელი მეკარე ჰყავსო. მოკლედ, გერმანიის ნაკრების მეორე მეკარესაც ცუდად აქვს საქმე, საშინლად გამოიყურება და კაცმა არ იცის, მოახერხებს თუ არა ზაფხულამდე ფორმაში შესვლას. ზაფხულში კი ევროპის ჩემპიონატია, სადაც ბუნდესგუნდს სათამაშო პრაქტიკის მქონე და კარგ ფორმაში მყოფი მეკარე სჭირდება.

სწორედ ამიტომ, ბუნდესმწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** ძალიან სერიოზულად ფიქრობს ლევერკუზენის „ბაიერის" ახალგაზრდა კიპერ **რენე ადლერზე**, რომელიც შესანიშნავ სეზონს ატარებს. იოგიმ „კიოლნერ ექსპრესისთვის" მიცემულ ინტერვიუში 23 წლის მეკარე ძალიან აქო. *„ადლერს დიდი ხანია ვაკვირდები და მინდა გითხრათ, რომ ის ძალიან მომწონს. რენე ჩემს მოთხოვნებს სავსებით აკმაყოფილებს, ძალიან ნიჭიერი მეკარეა. ცოტა მოთმინება უნდა იქონიოს და აუცილებლად მიეცემა იმის შანსი, რომ გერმანიის ნაკრების მეკარე გახდეს. შესაძლოა, ეს ევროპის ჩემპიონატამდეც მოხდეს. მას ნამდვილად აქვს იმის შანსი, რომ დიდი ნახტომი გააკეთოს,"* – განაცხადა ლიოვმა.

ასე ფიქრობენ ბუნდესლიგის ფეხბურთელებიც. ამას ნინათ „კიკერის" გამოკითხვის შედეგები გაგაცანით, სადაც ბუნდესლიგის ფეხბურთელებმა ადლერი სეზონის პირველი ნახევრის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. იმ გამოკითხვაში „ლევერკუზენის" გოლკიპერმა ჰანოვერელ **რობერტ ენკეს** და ჰამბურგელ **ფრანკ როსტს** აჯობა. „ბილდმა" კი გულშემატკივრებს შორის ჩაატარა გამოკითხვა. გამოკითხულთა 4.6 პროცენტი მიიჩნევს, რომ ევროპის ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების კარი სწორედ ადლერმა უნდა დაიცვას. 33.5 პროცენტის აზრით კი, რენე ევრო 2008-ზე მინიმუმ მესამე მეკარის სტატუსით უნდა გაემგზავროს.

## რივერ პლეიტიდან მარსელში

"მარსელი" "რივერ პლეიტის" მარცხენა მცველ **კარლოს ვალენსიას** ეპატიჟება. ვალენსია 18 წლისაა და კოლუმბიის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობს. მან ლიონის ყურადღებაც მიიპყრო. "მილიონარიოსი" ფეხბურთელის გაყიდვას არ ჩქარობს. მართელს კი ძალიან ეჩქარება. ის ნიგერიელი **ტაიე ტაივოს** შემცვლელს ეძებს. 22 წლის ფეხბურთელს "ვალენსია", "ნიუკასლი", "იუვენტუსი" და "შახტარი" აკვირდებიან. სეზონის ბოლოს ის "ველოდრომიდან" აბარგებას აპირებს. ვალენსიას კი მის მაგივრობას ჩინებულად გასწევდა. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია.

## რეალის ორი სამიზნე

"რეალმა" ლივერპულელი **ლუკას ლეივა** მოიკითხა. ბრაზილიელი ლეგიონერი 21 წლისაა. ის საყრდენ ნახევარმცველად თამაშობს. ლუკასი "ენფილდზე" გასულ ზაფხულს გრემიოდან გადავიდა. მან თქვა, ბრაზილიიდან ასე სწრაფად აბარგებას არ ვაპირებდი, მაგრამ ლივერპულელთა წინადადებაზე უარის თქმა არ შემეძლოო. ფეხბურთელი დროის უმეტეს ნაწილს "ლივერპულის" სათადარიგოთა სკამზე ატარებს. ის "რეალსაც" ნამყვანი ფეხბურთელების დუბლიორად სჭირდება. გეტყვით იმასაც, რომ მადრიდელებს და ლივერპულელებს სანტანდერის "რასინგის" ცენტრალური მცველის, **ეზეკიელ გარაის** შეძენა სურთ. სამეფო კლუბს წარმატების მიღწევის მეტი შანსი აქვს. არგენტინელი გარაის "რეალში" ტრანსფერს "რასინგის" ყოფილი დამრიგებელი **მიგელ ანხელ პორტუგალი** ლობირებს. ის ამჟამად "რეალის" ტექნიკური დირექტორია.

## დალესანდრო არ იყიდება

"სარაგოსა" არგენტინელ ნახევარმცველ **ანდრეს დალესანდროს** არ გაყიდის. არაგონული კლუბი ფეხბურთელს მინიმუმ სეზონის ბოლომდე შეინარჩუნებს. დალესანდროს რამენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს, მათ შორის არგენტინიდან და ბრაზილიიდან. მასთან თანამშრომლობა "რივერ პლეიტსა" და "გრემიოს" სურთ. დაინტერესებულია "პორტსმუთიც". თუმცა მოსალოდნელი ტრანსფერების ფინანსურ დეტალებზე არავინ არაფერს ამბობს. "სარაგოსას" ანდრესის თანამემამულე ნახევარმცველი, **პაბლო აიმარი** დაუშავდა. ეს კიდევ ერთი ძლიერი არგუმენტია იმისათვის, რომ დალესანდრო ზაფხულამდე შეინარჩუნონ.

მანჩესტერ იუნაიტედი

# ჟილბერტო და ჰუნტელაარი ოლდ ტრეფორდზე

"მანჩესტერ იუნაიტედმა" "ჰერტისა" და ბრაზილიის ნაკრების მარცხენა მცველ **ჟილბერტოს** დაადგა თვალი. ამ ინფორმაციას გაზეთი "ბილდი" ავრცელებს. სტატიაში ვკითხულობთ, რომ ფეხბურთელის აგენტი ალეშანდრე მარტინში "ეშმაკებს" უკვე მოურიგდა. 31 წლის ჟილბერტოს "ოლდ ტრეფორდზე" უახლოეს დღეებში ელოდებიან. "ბილდის" ცნობით, ის "ეშმაკებთან" ორწლინახევრიან კონტრაქტს გააფორმებს. მისი ბერლინური ხელშეკრულება 2010 წელს იწურება. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა.

გეტყვით იმასაც, რომ "იუნაიტედი" მზადაა, **კლაას იან ჰუნტელაარის** სანაცვლოდ 12 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. აყლაყუდა თავდამსხმელი "აიაქსში" მესამე სეზონს ატარებს. მას ჩინებული მონაცემები აქვს: 53 გოლი 65 მატჩში. 24 წლის ჰუნტელაარს ლეგენდარულ **მარკო ვან ბასტენს** ადარებენ. მას მეტსახელად "ჰანტერს" უწოდებენ, რაც ქართულად მონადირეს ნიშნავს. ჰუნტელაარმა ჰოლანდიის ნაკრებში 9 მატჩი ჩაატარა და სამი გოლი შეაგდო. 22 მატჩში გატანილი 18 გოლით, ის ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირია.

რეალი

# კასილიასი პრეზიდენტის სავარძელს უმიზნებს

## სამეფო კლუბის მეკარე ფაბიო კაპელომ ტყუილის საშუალებით გამოაფხიზლა...


ეროვნული ბიბლიოთეკა
იკერ კასილიასს სამომავლოდ ამბიციური გეგმები აქვს...

იკერ კასილიასს კარიერის ერთ-ერთი საუკეთესო ხანა უდგას. სამეფო კლუბის მეკარეს აგერ უკვე 463 წუთია გოლი არ გაუშვია. "სანტიაგო ბერნაბეუზე" გამართულ "სარაგოსასთან" მატჩის მიმოხილვაში მოგახსენებდით, რომ იმ დაპირისპირებაში კარის მშრალად შენახვით მან საკუთარი მაჩვენებელი გააუმჯობესა. ახლა კი იკერს სერიოზული შანსი აქვს იმისთვის, რომ "რეალის" ვეტერანი გოლკიპერის ალონსოს მიღწევა გააუმჯობესოს. შორეულ 1958-59 წლებში სენიორ ალონსომ 483 წუთი გაშვებული გოლის გარეშე ჩაატარა. "რეალის" აბსოლუტური რეკორდი კი სანტიაგო კანისარესს ეკუთვნის. რონალდ კუმანის მიერ "ვალენსიიდან" მოკვეთილ ვეტერანს 1997-98 წლების სეზონში 710 წუთის განმავლობაში ერთი ბურთიც არ ჰქონდა გაშვებული. კასილიასისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ძალიან გვეეჭვება, რომ მან საკლუბო რეკორდის გაუმჯობესება შეძლოს. ახლა სულ სხვა დრო და კონკურენციაა. ცხადია, იკერს არავინ თხოვს, მაინც და მაინც კანისარესის რეკორდი დაამხოს. მთავარია, მან ჯანმრთელად იგრძნოს თავი და იმაზე თუნდაც ერთი ბურთით ნაკლები გაუშვას, ვიდრე "რეალი" მონინაალმდეგეთა კარში შეაგდებს.

დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ კასილიასი მადრიდის "რეალის" ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული და დაფასებული მოთამაშეა. გვახსოვს, ამასწინათ "ტოტენჰემმა" სამეფო კლუბის გოლკიპერის შეძენისთვის უპრეცედენტო თანხის გადახდის მზადყოფნა გამოთქვა, მაგრამ **რამონ კალდერონმა** პირველივე დღეს განაცხადა, რომ მთელ დედამიწაზე არ მოიძიებოდა თანხის ის მოცულობა, რომლის გამოც სამეფო კლუბი იკერს დათმობდა. მსოფლიო ფეხბურთის გრანდებისა თუ ოდნავ მოკრძალებული კოლექტივების ინტერესი მას შემდეგაც არ განელებულა, თუმცა ყველა ერთსა და იმავე პასუხს იღებს - კასილიასი კარიერას "რეალში" დაასრულებს. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს პრეზიდენტზე მეტად თავად მეკარე აქტიურობს და მისით დაინტერესებულ კოლექტივებს პირადად ეუბნება უარს. გუშინ "რადიო ონდა დეპორტივას" კორესპონდენტი სამეფო კლუბის კარის დარაჯს შეხვდა და ძალიან ვრცელი ინტერვიუ ჩამოართვა. მათი საუბარი ჩვენთვის ბევრ არცთუ საინტერესო საკითხსაც შეეხო. ამიტომ, გადავწყვიტეთ, თქვენს სამსჯავროზე ამონარიდების სახით, მხოლოდ ყველაზე საინტერესო დეტალები გამოვიტანოთ.

ინტერვიუ კასილიასის მიერ გაკეთებული სრულიად მოულოდნელი და შეიძლება ითქვას სენსაციური განცხადებით დაიწყო: *"მსურს, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ "რეალის" პრეზიდენტი გავხდე. კარიერის დასრულების შემდეგ ფეხბურთში დარჩენას ვისურვებდი. დასაწყისისთვის საუკეთესო ვარიანტი სამეფო კლუბის კანტერის ყველაზე დაბალი ასაკობრივი ჯგუფის ბავშვების გაწვრთნა იქნებოდა. შემდეგ თუ ღმერთი ინებებს, კამაჩოსა და დელ ბოსკეს მიერ გავლილი გზით სიარულზეც არ ვიტყოდი უარს. მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე უდიდესი სიამოვნებით ვილვაწებდი, მაგრამ მინდა გაგიმხილოთ, რომ მე გაცილებით უფრო ამბიციური ადამიანი გახლავართ და ყველაზე სანუკვარ სამუშაოდ პრეზიდენტის პოსტს მივიჩნევ. კარიერის დასრულების შემდეგ ცხადია, ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ საწადელს მივაღწიო."*

ჟურნალისტი გულწრფელად დაინტერესდა თუ რატომ დაინტერესდა ახალგაზრდა ბიჭი პრეზიდენტის ბიუროკრატიული თანამდებობით.. კასიალისმა პასუხის გასაცემად დიდ ხანს არ იფიქრა: *"რეალში" მოლვაწეობისას რამდენიმე პრეზიდენტთან მომიხდა მუშაობა. გულწრფელად ვიტყვი, რომ უკლებლივ ყველა მათგანით მოხიბლული ვარ. დონ ალფრედო დი სტეფანო ხშირად მიყვება ლეგენდარული სანტიაგო ბერნაბეუს შესახებ. ვფიქრობ, ყოველ პრეზიდენტს უნიკალური შანსი აქვს იმისთვის, რომ ისტორიაში შევიდეს. რა თქმა უნდა, მეც მინდა ერთ-ერთი მათგანი გავხდე. სამეფო კლუბის პრეზიდენტობა ერთდროულად უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობას მრავალი ქვეყნის პრეზიდენტებზე მინიმალური წარმოდგენაც კი არ გააჩნიათ. რამონ კალდერონს კი ფაქტობრივად ყველა ქვეყანაში სახეზე ცნობენ."*

ცხადია, რადიო ინტერვიუ კასილიასისადმი ევროპული გუნდების დაინტერესების თემის გარეშე არ ჩაივლიდა: *"ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, რომ მრავალი გუნდი მიწვევს, თუმცა სასიამოვნო და მეტი არაფერი. ეს ალბათ იმ შემთხვევას ჰგავს, როცა ერთ ადამიანს მეორე უყვარს და მისგან მხოლოდ მეგობრობის შეთავაზებას იღებს. შესაძლოა, ბევრი გავანაწყენო, მაგრამ ეს ჩემი ბრალი არ არის. "რეალზე" უკეთეს გუნდში სად უნდა წავიდე? რა თქმა უნდა, ვერსად. ასე რომ, ყველას ვთხოვ, შემოთავაზებების გამოგზავნით თავს ნუ შეიწუხებთ. კარიერას აქ დავასრულებ. სხვა საკითხია, როდის. დღეს ვფიქრობ, ძალა 35 წლამდე გამყვება, თუმცა იმასაც ვგრძნობ, რომ ამ ასაკში ფეხბურთიდან წასვლით სასტიკი დაუკმაყოფილებლობის გრძნობა დამეუფლება. ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტი 38 წლამდე თამაში იქნებოდა, მაგრამ საკითხავია, იქამდე ჯანი თუ გამყვება. თუ მუხლი არ მიმტყუნებს, სწორედ 38 წლამდე ვიასპარეზებ."*

ჟურნალისტი მივიწყებული თემითაც დაინტერესდა და რესპოდენტს **ფაბიო კაპელოზე** ჩამოუგდო სიტყვა: *"მისი გაშვება ჩემი კომპეტენციის მიღმაა. ამ საკითხზე ვერ ვისაუბრებ, თუმცა სენიორ ფაბიო იმდენად დიდი პიროვნებაა, რომ მასთან დაკავშირებული უამრავი ისტორიის გახსენება შეიძლება. როცა დაინიშნა, უმალ გვაგრძნობინა, რომ მკაცრი მწვრთნელი იქნებოდა. რამდენიმე დღეში საუბარი დაიწყო, კასილიასის მომზადების ხარისხი, მისი ვარჯიში და ენთუზიაზმი არ მომწონს და იქნებ მის გაყიდვაზე ვიფიქროთო. გული გამისკდა და გადარეულივით დავიწყე ვარჯიში. როგორც მოგვიანებით გავიგე, კაპელო არ უკმაყოფილო იყო და რა თქმა უნდა, ჩემს გაყიდვასაც არ აპირებდა. მას უბრალოდ მიაჩნდა, რომ მეტის გაკეთება შემეძლო და დამატებითი ვარჯიშისთვის მოტივაციას ვერ ვპოულობდი. იტალიელმა ჭორები მიზნობრივად გაავრცელა, იკერს ვყიდითო. შეეშინდება, არ გამაგდონ და ბევრს იმუშავებსო. შეიძლება ითქვას, რომ მან მიზანს მიაღწია. გული გამისკდა და უმალ სავარჯიშო მოედნისკენ ავიღე გეზი. არასოდეს შევეგუები იმის ალბათობას, რომ "სანტიაგო ბერნაბეუდან" ავიბარგო. ასე რომ, კაპელოს უჩვეულო ჩანაფიქრმა ძალიან კარგი სამსახური გამიწია. მისი წყალობით სიბრძნე და შრომისუნარიანობა შემემატა. როგორც ჩანს ჩათვალა, რომ თავს ზედმეტად მშვიდად ვგრძნობდი და გამომაფხიზლა. საკლუბო წარმატებების გამო ნაკრებშიც გავიმყარე პოზიციები. ლუის არაგონესმა კაპიტნობა მანდო. ვფიქრობ, ეს უდიდესი პატივია. საქმე ხომ ქვეყნის უპირველეს კოლექტივს ეხება. რა თქმა უნდა, იტალიელის მიმართ პირადად მე მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ბოლოს და ბოლოს მან ოთხწლიანი პაუზის შემდეგ ესპანეთის ჩემპიონის ტიტული დაგვიბრუნა."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

---

სარაგოსა

# ახალი მწვრთნელი ხმაურიანად იწყებს

## დღეში სამი ვარჯიში ერთის ნაცვლად. გარიტანო ფეხბურთელებს ტყავს გააძრობს


ანდერ გარიტანოს პრეზენტაცია

გუშინ გაუწყეთ, რომ "ბილბაოსა" და "სარაგოსის" ყოფილი მოთამაშე **ანდერ გარიტანო ვიქტორ ფერნანდესის** მემკვიდრე გახდება. მოგეხსენებათ, არაგონული კლუბის ხელმძღვანელობამ უარყოფითი შედეგების გამო ის გასულ კვირას თანამდებობიდან დაითხოვა. "სარაგოსის" შეფებმა მისი გაშვების შემდეგ ირგვლივ მიმოიხედეს და გადაწყვიტეს, გუნდი სწორედ 38 წლის გარიტანოს ანდონ. ის შინაური კაცია, რადგან "ლა რომარედაზე" ფეხბურთელობისას ექვსი სეზონი აქვს გატარებული. შემდეგ კი იქვე გააგრძელა კარიერა და "სარაგოსის" საყმაწვილო გუნდების მწვრთნელი გახდა.

გუშინ ანდერ გარიტანო საზოგადოებას წარუდგინეს. უნდა ითქვას, რომ ეს საკმაოდ უცნაური პრეზენტაცია გახლდათ, რადგან ფერნანდესის შემცვლელთან კონტრაქტი ჯერაც არ გაფორმებულა, თუმცა არაგონელები იმით აპელირებენ, რომ გარიტანო ისედაც "სარაგოსის" თანამშრომელია და ამ თვალსაზრისით არანაირი პრობლემა არ არსებობს. მოკლედ, ბატონი ანდერი მუშაობას დაიწყებს, კონტრაქტს კი გზაში დაანევენ. ბასკმა სპეციალისტმა მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი პრესკონფერენციის გამართვაც მოასწრო: *"ხელმძღვანელობას ნდობისთვის უდიდეს მადლობას მოვახსენებ. რევერანსებისთვის დროს აღარ დავკარგავ და საქმეზე გადავალ. უნდა მოგახსენოთ, რომ "სარაგოსა" ამიერიდან სულ სხვა გრაფიკით იცხოვრებს. აქამდე გუნდი მხოლოდ ერთხელ ვარჯიშობდა. დილის 11-დან, ნაშუადღევის 13:30-მდე. ვფიქრობ, ჩვენ ბევრად უფრო ინტენსიური მუშაობა გვჭირდება. ამიტომ გადავწყვიტე, კლუბი სამჯერად ვარჯიშებზე გადავიყვანო. დილის ვარჯიშის დროს მნიშვნელოვნად შევამცირებთ, სამაგიეროდ კი ნაშუადღევსა და გვიან სალამოსაც ვიმუშავებთ. უკვე რამდენიმე კაცმა მკითხა, ხომ არ ფიქრობთ, რომ პრიმერა დივიზიონში მუშაობის შემოთავაზება მეტისმეტად ადრე მიიღეთო. მე ასე არ ვფიქრობ. მართალია, 38 წლის ვარ და ზურგს დიდი გამოცდილება არ მიმაგრებს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საერთო ძალისხმევითა და ჩემი ცოდნით მდგომარეობას გამოვასწორებთ. წინა ტურებში დაკარგული ქულების გათვალისწინებით გამიჭირდება იმის თქმა, რომ ევრო ტურნირებისთვის ვიბრძოლებთ. ჩემპიონთა ლიგა გამორიცხულია. უეფას თასზე მოხვედრის თეორიული შანსი არ დაკარგულა, მაგრამ ესეც ფაქტობრივად წარმოუდგენელია. ამიტომ განსაკუთრებული ძალისხმევა ესპანეთის სამეფო თასისკენ უნდა მივმართოთ. ცხადია, ეს პრიმერა დივიზიონის ფასად არ უნდა მოხდეს, ყველაფერს საკუთარი ადგილი და ფასი აქვს. მე რეალისტი ვარ, არ მითქვამს უეფას თასის საგზურის მოპოვება არ შეგვიძლია-მეთქი. უბრალოდ ყველაფერი ობიექტურად და რეალისტური თვალით უნდა გავთვალოთ."*

---

ბარსელონა

# მესი და დეკუ ბრუნდებიან


ლეო მესი

"ბარსელონის" გულშემატკივრებს კლუბის სამედიცინო შტაბმა სასიხარულო ინფორმაცია ამცნო. როგორც იცით, კვირას **რონალდინიომ** განაახლა ვარჯიში. ორშაბათს კი მოედანზე **ლეო მესი** და **დეკუც** დაბრუნდნენ. მოგეხსენებათ, არგენტინელსა და პორტუგალიელს სხვადასხვა სიმძიმის ტრავმა აწუხებდათ. სამწუხაროდ, ჟურნალისტებს კატალონიური გრანდის მზადების პროცესისთვის თვალის მიდევნების საშუალება არ მიეცათ, რადგან **ფრანკ რაიკაარდმა** ვარჯიში დახურულად გამოაცხადა და მედია გარეთ გაისტუმრა. ჰოლანდიელი სპეციალისტი შეგირდებს "სევილიასთან" განმეორებითი სათასო დაპირისპირებისთვის ამზადებს.

მესიმ ტრავმა გასული წლის 15 დეკემბერს მიიღო. "მესტალიაზე" მას მარცხენა ბარძაყის კუნთი გაუწყდა და რამდენიმე პრინციპული შეხვედრა გამოტოვა, მათ შორის წაგებული სუპერკლასიკოც. კატალონიური გრანდის ექიმების თქმით სათასო მატჩში მისი დაბრუნება გამორიცხულია. სავარაუდოა, რომ მესი მომავალ უქმეებზე "რასინგთან" პრიმერადივიზიონურ ორთაბრძოლაში ითამაშებს. დეკუს საქმე გაცილებით უკეთაა. ანდერსონ ლუის დე სოუზა აბსოლუტურად ჯანმრთელია და თუ რაიკაარდი საჭიროდ ჩათვლის, "სევილიასთანაც" იასპარეზებს.

ფატალურად არ გაუმართლა **ედმილსონს**. მრავალთვიანი ტრავმისა და უთამაშებლობით გამოწვეული ტანჯვის შემდეგ ბრაზილიელმა "სევილიასთან" პირველი რაუნდის მატჩში "ბარსელონის" ძირითად შემადგენლობაში პირველად იასპარეზა, თუმცა ისევ ტრავმა მიიღო და ლაზარეთში დაბრუნდა. "ბარსას" ნახევარმცველს სრული რეაბილიტაციისთვის სულ მცირე ერთი კვირა სჭირდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივერპული. ვნებათაღელვა

# პიკსი კრიტიკის ქარცეცხლში

## ბენიტესი საკუთარი ნებით არ წავა, ის დათხოვნას და სოლიდურ კომპენსაციას დაელოდებაო...



ლივერპულის მფლობელები, ჯორჯ ჟილეტი და ტომ პიკსი

"ლივერპულის" თანამფლობელის, **ტომ პიკსის** განცხადებამ იმის შესახებ, რომ ორი თვის წინ **იურგენ კლინსმანს** მწვრთნელობა შესთავაზა, დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. მიმომხილველები დარწმუნებით ამბობენ, რომ ცუდი შედეგების შემთხვევაშიც კი **რაფა ბენიტესი** საკუთარი ნებით აღარ გადადგება. ის დაელოდება, სანამ კლუბი კარისკენ არ მიუთითებს, რათა სოლიდური კომპენსაცია მიიღოს. კონტრაქტის ვადამდე გაწყვეტის შემთხვევაში, ესპანელს 6 მილიონი გირვანქა ერგება.

პიკსმა თქვა, რომ კლინსისთან წინასწარი კონტრაქტი არ გაუფორმებია და რომ მასთან შეხვედრა თავის დაზღვევის მცდელობა იყო. ამერიკელმა მილიონერმა გასული წლის ნოემბერი გაიხსენა. მისი თქმით, ბრიტანულ გაზეთებში ქვეყნდებოდა ინფორმაცია ბენიტესის მოსალოდნელი აბარგების შესახებ. ამიტომ მასა და **ჯორჯ ჟილეტს** სურდათ, სცოდნოდათ, თანახმა იქნებოდა თუ არა კლინსმანი, ემუშავა "ენფილდ როუდზე" ესპანელის წასვლის შემთხვევაში. პიკსის განმარტება ბევრი ვერაფერი ნუგეშია ბენიტესისათვის. მისთვის დღესავით ნათელია, რომ იურგენის თანხმობს შემთხვევაში, მას ავტომატურად დაითხოვდნენ.

სხვათა შორის, ნოემბრის იმ დღეებში "სანმა" საკუთარ წყაროზე დაყრდნობით მოიპოვა ინფორმაცია კლინსმანისა და "ლივერპულის" საიდუმლო მოლაპარაკებების შესახებ. სტატია მაშინვე გამოქვეყნდა, მაგრამ მისი გადამოწმება არ მოხერხდა. "ლივერპულისა" და გერმანელი სპეციალისტის წარმომადგენლებმა კომენტარები არ გააკეთეს. "სანი" იმასაც წერდა, რომ ბენიტესის დათხოვნა 1 დეკემბერს იგეგმებოდა, მაგრამ დეკემბრის შუა რიცხვებში ესპანელი მწვრთნელი "ლივერპულის" ბოსებს შეხვდა და ურთიერთობა მოაგვარა. პიკსმა ბოლო სკანდალურ კომენტარშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ "ლივერპულის" ხელმძღვანელობა ბენიტესს სრულ მხარდაჭერას უცხადებს.

"სანის" მიმომხილველის აზრით, თუ პიკსი და ჟილეტი "ლივერპულს" არ გაყიდიან, ბენიტესი მათ კლუბში აღარ იმუშავებს. მას სეზონის დასრულებისთანავე შეცვლიან. სენიორ რაფას აგენტი **მანუელ გარსია კილონი** კი ერთსა და იმავეს იმეორებს, ბენიტესი "ლივერპულში" თავს კარგად გრძნობს და სამსახურის შეცვლას არ გეგმავსო.

პიკსის კომენტარმა "ლივერპულის" გულშემატკივრები და ყოფილი ვარსკვლავებიც აღაშფოთა. მიმდინარე მოვლენებს მერსისაიდელთა ლეგენდალური თავდამსხმელი **იან რაში** გამოეხმაურა. ამ ფეხბურთელმა "ეშმაკების" შემადგენლობაში 660 მატჩი ჩაატარა და 346 გოლი შეაგდო. რაშმა ამერიკელ ბოსებს "ლივერპულის" ტრადიციების ფეხქვეშ გათელვაში დასდო ბრალი: *"ჩვენი საყვარელი გუნდი დაცვინვის საგანი გახდა. "ენფილდზე" ასე არასოდეს იქცეოდნენ. "ლივერპულში" პრობლემებს დახურულ კარს მიღმა აგვარებდნენ ხოლმე."* რაშმა გაკვირვება ვერ დამალა პიკსის კიდევ ერთი განცხადების გამო: კლინსმანის იმიტომ შევხვდით, რომ ინგლისური და ევროპული ფეხბურთის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიგვეღოო: *" იურგენს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ არა მგონია, ბენიტესი ევროპულ ფეხბურთში მასზე ნაკლებად იყოს ჩახედული. არა მგონია, ბევრმა მწვრთნელი იცოდეს იმაზე მეტი, ვიდრე რაფამ. გაიხსენეთ მისი ვალენსიური კარიერა... მგონი, პიკსმა და ჟილეტმა მაგალითი მათივე თანამემამულის, მალკოლმ გლეიზერისაგან უნდა აიღონ. ის "მანჩესტერ იუნაიტედის" საქმეებში არ ერევა. კარგი იქნება, თუ ბენიტესსაც მიეცემა მშვიდად მუშაობის საშუალება, მინიმუმ სეზონის ბოლომდე მაინც. თუ მდგომარეობა არ გამოსწორდება, დირექტორატს მთელი ზაფხული ექნება ოპტიმალური გადაწყვეტილების მისაღებად. ამ ეტაპზე მწვრთნელის შეცვლა გაუმართლებლად მიმაჩნია..."*



რონალდინიო: მორიგი გაჩერება ლონდონი?

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რონალდინიოს ჩელსიდა დარჩა

## მილანს ამ დონეზე მოთამაშე ბრაზილიელი ვარსკვლავი არ სჭირდება...

იტალიელი აგენტი **ერნესტო ბრონძეტი** დარწმუნებულია, რომ "ბარსელონა" **რონალდინიოს** სეზონის დასრულებისთანავე გაყიდის. ის ესპანურ "დიარიო სპორტს" გაესაუბრა. ბრონძეტის კატალონიურ გრანდთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებს. ამიტომ მისი კომენტარები საყურადღებოა. სინიორ ერნესტო ამბობს, რომ "როსონერის" დიახაც სურდა ბრაზილიელი ვარსკვლავის ხელში ჩაგდება, მაგრამ ბრძოლას საკუთარი ნებით გამოეთიშა. მილანელები დარწმუნდნენ, რომ მოლაპარაკებების გაგრძელებას აზრი არ ჰქონდა. რონალდინიო "ჩელსიში" აპირებს გადაბარგებას. *"მილანსა" და "ბარსელონას" შორის დილოგი დიდი ხანია, მიმდინარეობს. "ბარსა" მზად იყო, ჯანლუკა ძამბროტასა და რონალდინიოს საკითხები განეხილა, მაგრამ ბრაზილიელის ტრანსფერი დღის წესრიგიდან მოიხსნა,"* - თქვა ბრონძეტიმ. თუ ეს სიმართლეა, "ჩელსი" უკონკურენტოდ დარჩენილა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბრაზილიელი თავდამსხმელი ნამდვილად "სტემფორდ ბრიჯზე" გააგრძელებს კარიერას და საარაკო ხელფასსაც მიიღებს. გარიგებაში დიდ როლს შეასრულებს "ბარსელონის" ყოფილი მეორე მწვრთნელი **ჰენკ თენ კეიტი**, რომელიც ამჟამად ლონდონში მოღვაწეობს. რონის ჰოლანდიელ სპეციალისტთან ჩინებული ურთიერთობა აქვს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ორიოდე დღის წინ რონალდინიოს შესახებ კომენტარი გააკეთა "მილანის" პრეზიდენტმა **სილვიო ბერლუსკონიმ**. მან თქვა, რომ ბრაზილიელი ოპტიმალურ ფორმაში არ იმყოფება და "მილანი" მის გარეშეც იოლად გავა ფონს. ბერლუსკონის თქმით, გუნდს თავდასხმაში პრობლემები არ აქვს. "როსონერი" **ალეშანდრე პატოთი** გაძლიერდა. ამას გარდა, **რონალდოც** გამოჯანმრთელდა და საკმაოდ კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. მცირე კომენტარი გააკეთა "მილანის" მთავარმა მწვრთნელმა **კარლო ანჩელოტიმაც**. კითხვაზე, იგეგმება თუ არა რონალდინიოს ტრანსფერი, კარლეტომ მიუგო: *"არა. კლუბი აქცენტს ახალგაზრდებზე აკეთებს. ჩვენ პატო შევიძინეთ. მას დიდი მომავალი აქვს."*

ტოტენჰემი. ტრანსფერები

# ფრედი დეფოს ნაცვლად

ბრაზილიელი თავდამსხმელი **ფრედი** ლონდონში გადასვლას აპირებს. "ლიონის" ვარსკვლავს იმედი აქვს, რომ ტრანსფერი მომდევნო 24 საათის განმავლობაში შედგება. საფრანგეთის ჩემპიონები მის სანაცვლოდ 8.5 მილიონ გირვანქას ითხოვენ. ინგლისური სააგენტოების ცნობით, "მამლების" თავკაცმა **ხუანდე რამოსმა** საჭირო თანხის გამოყოფა ითხოვა. ფრედი 24 წლისაა. მას "პარი სენ ჟერმენიც" იწვევს, მაგრამ ფეხბურთელს გული ინგლისისაკენ მიუწევს. "ტოტენჰემი" **ჯერმეინ დეფოს** გაყიდვას გეგმავს. როგორც ჩანს, ფრედი დეფოს შემცვლელად მიაზრება. გუშინ გავრცელდა ინფორმაცია დეფოს "პორტსმუთში" მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. დასახელდა თანხაც: 10 მილიონი გირვანქა. "ტოტენჰემის" ფორვარდს ლონდონში დარჩენის იმედი აქვს, მაგრამ მას "უაით ჰარტ ლეინზე" მომავალი აღარ აქვს. რამოსი დეფოს ძირითად შემადგენლობაში არ აყენებს. მწვრთნელმა შეგირდებს ახალი სამსახურის მოძებნა ურჩია.

სენიორ რამოსს ინგლისის ნაკრების კიდევ ერთი წევრის, **პოლ რობინსონის** გაყიდვა სურს. რობინსონმა უკვე ორი მატჩი გამოტოვა. "ტოტენჰემის" თავკაცს მისი შემცვლელიც შეგულებული ჰყავს - "აიაქსის" კარის დარაჯი **მაარტენ სტეკელენბურგი**. ბოლო ინფორმაციით, რობინსონს "მიდლსბრო" ეპატიჟება. მამლებს "რივერსაიდიდან" ახალგაზრდა გარემარბის, **სტიუარტ დაუნინგის** გადაბირება სურთ. "სანის" ცნობით, "ბორო" გარიგებას იმ შემთხვევაში დათანხმდება, თუ სანაცვლოდ რობინსონს მიიღებს. დაუნინგი 10 მილიონი გირვანქა ღირს. ლონდონელი მეკარე - ამაზე გაცილებით ნაკლები. ეს იმას ნიშნავს, რომ "ტოტენჰემს" რამდენიმე მილიონის დამატება მოუწევს. რობინსონი ავსტრალიელი **მარკ შვარცერის** შემცვლელად მოიაზრება. შვარცერი საპენსიო ასაკშია და თუ პოლი თამაშს გამოასწორებს, უკვე ამ სეზონში შეძლებს ძირითად შემადგენლობიდან მის ამოგდებას.

აქვე გეტყვით, რომ "ტოტენჰემმა" ტრანსფერზე დააყენა ახალგაზრდა თავდამსხმელი **დარენ ბენტი**. გასულ ზაფხულს "მამლებმა" "ჩარლტონს" მის სანაცვლოდ 16.5 მილიონი გირვანქა მიუთვალეს. ეს ასტრონომიული თანხა გახლდათ. მიმომხილველები გაოგნებულები იყვნენ. სასწაული არ მომხდარა. ბენტმა იმედი ვერ გაამართლა. მიმდინარე სეზონში ყველა ტურნირზე მან მხოლოდ 14 მატჩი ჩაატარა და სამი გოლი შეაგდო. ხუანდე რამოსს ბევრად უფრო შედეგიანი თავდამსხმელები სჭირდება. ამიტომ მზადაა, დაინტერესებული კლუბების წინადადები მოისმინოს. "მირორის" ცნობით, ბენტის შეძენა "ვესტ ჰემს" სურს. "ჩაქუჩები" მას ზაფხულშიც ეპატიჟებოდნენ. ალან კერბიშლი იმედგაცრუებულიც კი იყო, რომ ყოფილმა შეგირდმა "ტოტენჰემი" აირჩია. "მამლები" ფეხბურთელის სანაცვლოდ 12.5 მილიონს ითხოვენ - 4 მილიონით ნაკლებს, ვიდრე ექვსი თვის წინ გადაიხადეს. "ვესტ ჰემს" ეს თანხა ეძვირება. არაა გამორიცხული, კლუბები საიჯარო კონტრაქტზე შეთანხმდნენ.

### რედნაპი: ახალი კონტრაქტი ერთგულებისთვის

ჰარი რედნაპი "ნიუკასლში" ნამდვილად არ მიდის. მაგრამ აჟიოტაჟს უკვალოდ არ ჩაუვლია: "პორტსმუთის" ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, მწვრთნელს ხელფასი გაუზარდოს. ეს იქნება ერთგვარი გასამრჯელო გუნდის ერთგულებისათვის. ხუმრობა ხომ არ არის, რედნაპმა ჯორდებს წლიურ 4 მილიონ გირვანქაზე უთხრა უარი, არადა ეს თანხა მის დღევანდელ ანაზღაურებას შვიდჯერ აღემატება. "პორტსმუთი" "ნიუკასლივით" მდიდარი კლუბი არ არის. მას ოთხი მილიონის გადახდა არ შეუძლია, მაგრამ ერთი მილიონით ნაკლებს როგორღაც გამოძებნის. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მისტერ ჰარი "პორტსმუთთან" ახალ კონტრაქტს გააფორმებს, რისი წყალობითაც წელიწადში 3 მილიონს მიუთვლიან.

### ხორქერას პინტუ შეცვლის

"ბარსელონა" ვიგოს "სელტის" მეკარეს **ხოსე მანუელ პინტუს** ყიდულობს. "დიარიო სპორტის" ცნობით, მოლაპარაკებები დასკვნით სტადიაშია. იანვრის მიწურულს პინტუ კატალონიელებთან წინასწარ ექვსთვიან კონტრაქტს გააფორმებს. ის "კამპ ნოუს" მიაშურებს და სეზონის ბოლომდე **ვიქტორ ვალდესის** დუბლიორი იქნება. "ბარსელონას" ახალი მეკარე **ალბერტ ხორკერას** ტრავმის გამო დასჭირდა. თუ პინტუ მწვრთნელებს თავს მოაწონებს, ზაფხულში ხანგრძლივ ხელშეკრულებასაც გამოკრავს ხელს.

### ულიე, ნიუკასლის ახალი ფავორიტი?

ჟერარ ულიეს "ნიუკასლის" მწვრთნელობის კარგი შანსი აქვს. ამ ინფორმაციას ინგლისური სააგენტოები ავრცელებენ. ამჟამად "ლივერპულისა" და "ლიონის" ყოფილი თავკაცი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორია. ფედერაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ოფიციალური შეთავაზების შემთხვევაში, მოსიე ჟერარს მისი ორგანიზაციის მხრიდან პრობლემები არ შეექმნება. ულიეს შესაძლო დანიშვნას ფედერაციის პრეზიდენტი **ჟან პიერ ესკალეტიც** გამოეხმაურა. მისი თქმით, გასაკვირი არ არის, რომ ამ დონის სპეციალისტს შეთავაზებები არ აკლია. ფედერაციაში მუშაობისას მოსიე ჟერარმა ორი სარფიანი წინადადება უარყო. მას უფრო მეტ ხელფასს პირდებოდნენ, ვიდრე დღევანდელ სამსახურში აქვს.

### მიგელი: ჩელსი თუ ვილა?

"ვალენსიის" ცენტრალურ მცველ **მიგელს** ინგლისში ეპატიჟებიან. მისი შეძენა "ჩელსის" და "ასტონ ვილას" სურთ. ამ ინფორმაციას "მირორი" ავრცელებს. ტაბლოიდის მტკიცებით, უკეთესი შანსი "არისტოკრატებს" აქვთ. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები არ ხმაურდება. მიგელს მესტალიიდან აბარგება სურს. ფეხბურთელი მიზეზად გუნდში შექმნილ არაჯანსაღ ატმოსფეროს ასახელებს. თანაც ინგლისში მისი დიდი ხნის მეგობარი **მანუელ ფერნანდესი** თამაშობს. ეს უკანასკნელი "ევერტონის" ღირსებას იცავს. ლივერპულელებს მიგელით დაინტერესება არ გამოუთქვამთ.

### შახტარმა ამორუზოს მოინდომა

დონეცკის "შახტარი" რეჯინელ თავდამსხმელ **ნიკოლა ამორუზოს** ეპატიჟება. უკრაინულ გრანდში ერთი იტალიელი ფორვარდი უკვე თამაშობს. კრისტიანო ლუკარელიც "მეშახტეებთან" კონტრაქტი გასულ ზაფხულს გააფორმა. ახლა კი მას შეიძლება თანამემამულე კოლეგა დაემატოს. იტალიური სააგენტოების ცნობით, დონეცკელებს 33 წლის ფეხბურთელი 4.5 მილიონი ევრო დაუჯდებათ. ამორუზოს წელიწადში 2 მილიონ ევროს გადაუხდიან. "შახტარის" კონკურენტია "ტორინო", მაგრამ მისი შეთავაზება უკრაინულ ვარიანტთან ახლოსაც ვერ მივა: ტურინელები ტრანსფერში ორჯერ მეტს ნაკლებს იხდიან და ფეხბურთელსაც მხოლოდ 500 ათასს სთავაზობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# სლომკას არჩევანი: 4–3–3 და უდიდესი კონკურენცია

## ახალი თავდამსხმელი: ვისენტე სანჩესიც გელზენკირხენშია



მირკო სლომკა კარგ ფორმაშია. მისი გუნდი?

გელზენკირხენის „შალკე" თურქული შეკრებიდან გამარჯვებული დაბრუნდა. ლევან კობიაშვილის გუნდი ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მზადებას გერმანიაში აგრძელებს. გამარჯვებაში კი იმას ვგულისხმობთ, რომ „ხუმარებმა" ბელეკში „ვიქტორიას თასი" მოიგეს – ოთხთა ტურნირი, რომლის ნახევარფინალში „ფრაიბურგს" 3:1 მოუგეს, ფინალში კი „ვერდერი" დაამარცხეს (2:1). ტურნირი არც ისე პრესტიჟულია და შესაბამისად, „შალკეს" მთავარი მწვრთნელისთვის, მირკო სლომკასთვის სულ სხვა რამ იყო მთავარი და კერძოდ ის, რომ მან სასურველ ტაქტიკას მიაგნო.

მიმდინარე სეზონის პირველ ნახევარში „შალკე" ხან 4-3-3-ით თამაშობდა, ხანაც 4-4-2-ით. შესაბამისად, დაიწყო დისკუსია იმის შესახებ, თუ რომელი ტაქტიკა უფრო მიესადაგებოდა გელზენკირხენულ კლუბს. ბელეკიდან დაბრუნების შემდეგ კი **სლომკამ** ამაყად განაცხადა, ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, გადანწყვეტილება მიღებულიაო.

*„ვფიქრობ, ჩვენთვის 4-3-3 ზედგამოჭრილი ტაქტიკაა. პირველ წრეს თუ გადახედავთ, იტყვით, რომ ეს ასე არაა, რადგან ამ ფორმაციით მხოლოდ „ნიურნბერგს" მოვუგეთ, მაგრამ ამ შეკრებამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, ყოველ შემთხვევაში მე დამიმტკიცა, რომ ჩვენი ფეხბურთელების ტიპებით თუ ვიმსჯელებთ, 4-3-3 მაინც საუკეთესო გამოსავალი და „შალკესთვის" იდეალური ტაქტიკაა,"* – აცხადებს სლომკა.

ამასთან, მწვრთნელი იმაზეც საუბრობს, რომ ბელეკში ფეხბურთელთა ახლებური დანყვილება მოხდა. იგულისხმება დანყვილება არა სასტუმროს ნომრებში, ანუ დამეგობრება, არამედ დანყვილება მოედანზე, თუ ვინ ვის უგებს ფეხბურთის თამაშის დროს. *„მაგალითად, მე დავინახე, რომ მარჯვენა ფლანგზე ჯერალდ ასამოასა და რაფინიას წყვილია საუკეთესო. ისინი ერთმანეთს შესანიშნავად უგებენ,"* – ასკვნის მწვრთნელი. ამრიგად, უკვე ცხადია, რომ „შალკეს" პირველი ტაქტიკა მეორე წრეშიც 4-3-3 იქნება, მაგრამ სლომკა იქვე დასძენს, ეს არ არის ნონ პლუს ულტრა, ასე რომ, მხოლოდ ამ ტაქტიკაზე არ ჩავიციკლებითო. სლომკა: *„ამ სტრატეგიას იანვრის ბოლომდე კიდევ უფრო დავხვეწთ და დავამუშავებთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუდმივად ამ ტაქტიკით ვითამაშებთ. აქამდეც არაერთხელ მომხდარა ისე, რომ უშუალოდ თამაშის დროს შეგვიცვლია ტაქტიკა. ჩვენი პერსონალი როტაციის საშუალებას იძლევა, რაც ძალიან კარგია."*

**ალბერტ შტრაიტისა და ზე რობერტო II-ს** სახით სლომკას გუნდში ორი ისეთი ახალწვეული ჰყავს, რომლებიც ორივე ფლანგზე კარგად გამოიყურებიან და რომლებიც ამიერიდან ასამოას და **პეტერ ლოვენკრანდსის** კონკურენტებად მიიჩნევიან. მეტიც, როცა ისინი ფორმაში შევლენ და ახალ გარემოს ალლოს ბოლომდე აულებენ, თუ ზე რობერტოს არა, ძირითად შემადგენლობაში ადგილი შტრაიტს მაინც ექნება თითქმის გარანტირებული. თუმცა „შალკეში" კონკურენცია უკვე ძალიან დიდია და თანაც, თითქმის ყველა პოზიციაზე. ეს კი, სლომკას თქმით, აქამდე ასე არ იყო. *„ვარჯიშებზე ჩანს, რომ თითოეული ფეხბურთელი კონკურენციას გრძნობს. არცერთი მათგანი თავს აღარ ზოგავს და სწორედ ეს მაძლევს ოპტიმიზმის საფუძველს,"* – აცხადებს სლომკა და უხარია, რომ ამით მისი თითოეული შეგირდის ხარისხი დღითიდღე იზრდება.

კონკურენცია ყველაზე მეტად ნახევარდაცვას დაეტყო, სადაც ზაფხულში ძველ კადრებს **ჯერმეინ ჯონსი** მიემატა, რომელიც კობიაშვილის ტრავმის ხარჯზე სასტარტო შემადგენლობის წევრი გახდა და გუნდს ისე კარგად შეეწყო, რომ ახლა გერმანიის ნაკრებში მიწვევის კანდიდატიცაა და საერთოდ, ჯონსი „შალკეში" პირველი წრის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია მეორე საყრდენ **ფაბიან ერნსტთან** ერთად. ახლა კი ნახევარდაცვას შტრაიტი და ზე რობერტო II-ც დაემატნენ. მაგრამ ვერც თავდამსხმელები იქნებიან მშვიდად, რადგან კონკურენცია წინა ხაზშიც იზრდება.

თამამად შეგვიძლია გამცნოთ, რომ „შალკე" კიდევ ერთი თავდამსხმელით ძლიერდება. უკვე გადაწყვეტილია, რომ გელზენკირხენელები წინა ხაზს ურუგვაელი **ვისენტე სანჩესით** აძლიერებენ. გუშინ გავრცელებული ინფორმაციების თანახმად, „შალკე" სანჩესის კლუბ „დეპორტივო ტოლუგას" უანასკნელ დეტალებზეც მოურიგდა და ამრიგად, ტრანსფერი გადაწყვეტილია. 28 წლის სანჩესის ყიდვა „შალკეს" შეფებს ერთი წლის წინათაც სურდათ და ფაქტია, რომ მას დიდი ხნის მანძილზე აკვირდებოდნენ. ვისენტე სანჩესს ახალ გარემოსთან შეგუება არ უნდა გაუჭირდეს და ადაპტაციის პერიოდი დიდხანს არ გაუგრძელდება, რადგან „შალკეში" მას თანამემამულეები, **გუსტავო ვარელა** და **კარლოს გროსმიულერი** დახვდებიან. სანჩესის ფასი ერთი მილიონი ევროა – ეს იმიტომ, რომ ზაფხულში მას თავის კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება.

ტრანსფერების პარალელურად „შალკეს" შეფები არსებულ პერსონალთანაც მუშაობენ. როგორც იცით, ასამოას ზაფხულში კონტრაქტი უმთავრდება და მენეჯერმა **ანდრეას მიულერმა** ამას წინათ განაცხადა, ჯერალდს უკვე ვუთხარი, რომ მასთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება გვსურსო. მაგრამ ასამოასთვის მისი ყოფილი კლუბი „ჰანოვერიც" იბრძვის – „წითლებს" ძალიან უნდათ, რომ ზაფხულში ჯერალდო უფასოდ გადაიბირონ. ახლა მთავარი ისაა, თუ რას ფიქრობს ფეხბურთელი. ასამოა ამბობს, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ თამაშის გარანტია მქონდესო. სლომკას კი მისთვის ასეთი გარანტიის მიცემა უჭირს, რადგან ასას პოზიციაზე მას უკვე შტრაიტიც ჰყავს. ასამოასთან ერთად ღიად რჩება **მესუთ იოზილის** საკითხიც (კონტრაქტი 2009 წლამდე). მიულერმა ამ უკანასკნელს უკვე შესთავაზა კონტრაქტის გაგრძელება 2011 წლამდე, მაგრამ პირველ ეტაპზე უარი მიიღო, არადა ხელფასს უსამმაგებდა. მომდევნო შეხვედრა თებერვალში უნდა შედგეს.

გოტფრიდ ლენცი



თომას დოლი მარბელიური შეკრებით კმაყოფილია

დორტმუნდი

# ბორუსია ტრადიციული ოპტიმიზმით ემზადება

## დოლის კონტრაქტი მზადაა, კელი უნდა დარჩეს, ვიორნსმა უნდა იბრძოლოს. ლემანი ჭირსაც წაუღია, BVB ციგლერს ენდობა...

დორტმუნდის „ბორუსია" ბუნდესლიგის მეორე წრისთვის ესპანურ მარბელიაში ემზადება. დორტმუნდელებმა პირველი ტესტ-მატჩი გამართეს და მეორე ბუნდესლიგელი „პადერბორნი" 3:1 დაამარცხეს (გოლები: ვალდესი, ნიოთე 2). მართალია, მეორე ლიგის ერთ-ერთი აუტსაიდერი „ბორუსიისთვის" საზომად არ გამოდგება, მაგრამ ის კი აღსანიშნავია, რომ პირველ ტაიმში დორტმუნდელებს ბურთის ფლობის 80 პროცენტიანი მაჩვენებელი ჰქონდათ, რამაც მთავარი მწვრთნელი თომას დოლი ძალიან გაახარა.

კლუბის ხელმძღვანელებისთვის დღესდღეობით ყველაზე მთავარი სწორედ დოლის საკითხია, რომელსაც ისინი კონტრაქტის ერთი წლით გაგრძელებას თავაზობენ. დოლის ხელშეკრულებას ვადა მიმდინარე სეზონის ბოლოს გასდის. BVB-ს გენერალური მენეჯერის, **ჰანს-იოახიმ ვატკცეს** თქმით, მწვრთნელთან შეთანხმება ფაქტობრივად მიღწეულია, დარჩენილია მხოლოდ დეტალები. ვატკცე არაფერს აკონკრეტებს, მაგრამ ცნობილია, რომ გუნდის შეფებს დოლის დატოვება ძალიან უნდათ, მაგრამ ისიც სურთ, რომ გაათავისუფლონ გუნდის ფსიქოლოგი **იურგენ ლორი**, რომელიც „ბორუსიაში" სწორედ დოლმა მიიყვანა. დოლი კი უარზეა და არ უნდა, რომ ლორმა „დორტმუნდი" დატოვოს.

დოლთან ერთად გასარკვევია საყრდენი ნახევარმცველის, **სებასტიან კელის** კონტრაქტის საკითხიც, რომელსაც ხელშეკრულების ვადა ასევე სეზონის ბოლოს ეწურება. კელი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 31 მატჩი აქვს ჩატარებული, 7 წელია „დორტმუნდში" თამაშობს და ხელმძღვანელებს მისი გაშვება არაფრისდიდებით არ უნდათ – აკი დოლიც მიიჩნევს, რომ კელი გუნდისთვის უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. როგორც იცით, 27 წლის კელმა უმძიმესი ტრავმა გადაიტანა და ფაქტობრივად წელიწადნახევარი გაუცდა.

გასულ კვირას **იენს ლემანმა** „ბორუსიაში" გადასვლაზე უარი განაცხადა და ლონდონის „არსენალში" დარჩა. BVB-ს ბოსებისთვის, ფეხბურთელებისთვის, მწვრთნელისთვის და გულშემატკივრებისთვის გერმანიის ნაკრების კარის დარაჯის ეს საქციელი აუხსნელია. ერთის მხრივ, ლემანს ევროპის ჩემპიონატისთვის სათამაშო პრაქტიკა სჭირდება და ამას წინათ ამბობდა, ოღონდ მათამაშონ და თუ გნებავთ, მეორე ბუნდესლიგაში გადავალო. ახლა კი, როცა საქმე საქმეზე მიდგა, "დორტმუნდში" გადასვლაზე უარი თქვა. მოგეხსენებათ, „ბორუსიის" ძირითადი გოლკიპერი **რომან ვაიდეფელერი** ტრავმირებულია და კიდევ ორ თვეს დაისვენებს. ჩვენი გერმანელი კოლეგები იუწყებიან, რომ ლემანს წელიწადნახევრიანი კონტრაქტის გაფორმება სურდა, „ბორუსიის" შეფებმა კი მას ხელშეკრულება მხოლოდ მიმდინარე სეზონის ბოლომდე შესთავაზეს პუნქტით, ზაფხულში კიდევ ერთხელ დავილაპარაკოთო, რაც ლემანმა მაშინვე იუარა. მიმომხილველთა გარკვეული ნაწილის აზრით, იენსმა „არსენალის" თავკაც **არსენ ვენგერისგან** ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტია მიიღო და „ბორუსიაში" გადასვლაზე ამიტომაც თქვა უარი.

ვატკცე ამბობს, ლემანს ფინანსურ საკითხებზე 5 წუთში შევუთანხმდით, მაგრამ მერე უარი შემოგვითვალაო. ასეა თუ ისე, „ბორუსიის" მენეჯერის თქმით, BVB ახალი მეკარის ძებნას აღარ გააგრძელებს, რას იმას ნიშნავს, რომ მეორე წრეში, სანამ ვაიდენფელერი გამოჯანმრთელდება, ვესტფალიელთა კარს სათადარიგო **მარკ ციგლერი** დაიცავს, რომელსაც პირველ წრეში მოუწია „ბორუსიის" კარში დგომა და ამ ამოცანას თავი იდეალურად გაართვა (ოთხი მატჩი ჩაატარა და არცერთი გოლი არ გაუშვა). *„ჩვენ ციგლერს სრულ ნდობას ვუცხადებთ და გვჯერა, რომ ის ვაიდენფელერს ღირსეულად შეცვლის,"* – აცხადებს დოლი.

მეკარის საკითხის გარდა, პრობლემატურია დაცვის ცენტრის თემაც. როგორც იცით, დაცვის ცენტრი პირველ წრეში „ბორუსიის" უსუსტესი წერტილი იყო. *„მჯერა, რომ მეორე წრის დაწყებამდე დაცვის ცენტრში ისეთ დუეტს მივაგნებთ, რომელიც მთელი მეორე წრის განმავლობაში სტაბილური იქნება და ამ პოზიციაზე მუდმივი როტაცია აღარ დაგვჭირდება. ეს ისეთი პოზიციაა, სადაც არასტაბილურობა ნებისმიერი გუნდისთვის დამღუპველია,"* – ამბობს დოლი და იქვე დასძენს," – *„პირველ წრეში ჩვენ 26 გოლი გავიტანეთ, რაც საოცნებო შედეგი ნამდვილად არაა, მაგრამ არც კატასტროფა. სამაგიეროდ, 17 თამაშში 30 გოლი გავუშვით, რაც ნამდვილად მიუღებელი და დაუშვებელია."*

„აუგსბურგთან" დოლმა **რობერტ კოვაჩი** დაასვენა. გეხსომებათ, პირველ წრეში ჩვენი გერმანელი კოლეგები ყველაზე მეტად სწორედ ამ უკანასკნელს აკრიტიკებდნენ. 33 წლის მცველი, რომელიც „დორტმუნდში" „იუვენტუსიდან" გადავიდა, სეზონის დასაწყისში საშინლად გამოიყურებოდა და ბავშვურ შეცდომებს უშვებდა, რის გამოც BVB-ს ქომაგებმა არაერთხელ მოითხოვეს მისი გუნდიდან გაძევება. დოლის თქმით, კოვაჩი ახლა ძალიან კარგ ფორმაშია და ერთი სიტყვით, მწვრთნელის თქმით ეს ის კოვაჩი აღარ არის, რომელსაც შემოდგომაზე ყველა მასხრად იგდებდა. „კიკერის" კორესპონდენტიც, რომელიც „ბორუსიას" მარბელიაში ახლავს, თამამად წერს, კოვაჩი იმდენად კარგად გამოიყურება, რომ დღევანდელი გადასახედიდან ძირითად შემადგენლობაში ადგილი გარანტირებული აქვსო. მასთან ერთად სასტარტოსთვის შემდეგი ცენტრალური მცველები იბრძვიან: **მარკუს ბრჟენსკა, მარტინ ამედიკი**, „ბაიერნიდან" არენდით აყვანილი **მატს ჰუმელსი** და ვეტერანი **კრისტიან ვიორნსი**.

მასალას სწორედ ვიორნსის თემით დავასრულებთ. 35 წლის მცველმა ოფიციალურად განაცხადა, რომ მისი კონტრაქტიდან, რომელსაც ვადა სეზონის ბოლოს გასდის, ამოღებულია პუნქტი, რომლის თანახმადაც, იმ შემთხვევაში, თუ კრისტიანი ამ სეზონში 25 მატჩს ჩაატარებდა, ხელშეკრულება ავტომატურად 1 წლით გაგრძელდებოდა. როგორც გაირკვა, კრისტიანმა ეს ხელმძღვანელებს კონტრაქტიდან პუნქტი თვითონ ამოაღებინა.

*„ეს პუნქტი ბოლო დროს სალაპარაკო გახდა, რაც ნერვებს მიშლის. ყოველი თამაშის წინ და თამაშის შემდეგ იწერებოდა, ვიორნსის კონტრაქტის გაგრძელებამდე ამდენი და ამდენი მატჩი დარჩაო. ადრეც მითქვამს, რომ 25 მატჩის ჩატარება-არჩატარებას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს. მინდა, რომ ძირითადი შემადგენლობისთვის ვიბრძოლო და ჩემი ადგილი დავუბრუნო. თუ ამას შევძლებ, კონტრაქტს ისედაც გამიგრძელებენ,"* – აცხადებს ვიორნსი.

მომდევნო ტესტ-მატჩი „დორტმუნდს" დღეს აქვს – „ბორუსია" ესპანეთის სეგუნდა დივიზიონის ლიდერ „მალაგას" შეხვდება...

გოტფრიდ ლენცი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მანიშე უკვე ინტერის განკარგულებაშია

ტრანსფერები

# პარმა და ლუკარელი, ინტერი და მანიშე

გუშინ სერია A-ში ორი საყურადღებო ტრანსფერი განხორციელდა. "პარმასა" და **კრისტიანო ლუკარელის** შორის დროებით შეწყვეტილი მოლაპარაკება ორშაბათ საღამოს განახლდა და წარმატებითაც დასრულდა. 32 წლის ფორვარდმა უკრაინა მას შემდეგ დატოვა, რაც "შახტარი" ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა, ხოლო ადგილობრივ პირველობაზე ზამთრის პაუზა გამოცხადდა. ლუკარელი იმედოვნებდა, რომ პარმეზანულ კლუბთან ნახევარწლიან კონტრაქტს გააფორმებდა, მაგრამ როგორც ბოლო მომენტში გახდა ცნობილი, ფეხბურთელთან სამწლინახევრიან ხელშეკრულებას მოეწერა ხელი, რაც იმას ნიშნავს, რომ კრისტიანო კარიერას "პარმაში" დაასრულებს (თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა).

ლუკარელის გადაბირება "ტორინოსა" და "ჯენოასაც" სურდათ, მაგრამ მხარეები თანხაზე ვერ მორიგდნენ. "პარმა" კი მზად იყო, "შახტარის" პირობები სრულად დაეკმაყოფილებინა. იტალიურმა კლუბმა ტრანსფერში 4 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ხოლო თავად ფეხბურთელს, ხელფასის სახით, წლიურად 1.2 მილიონი გირვანქა დაუნიშნა. ფორმალური სამედიცინო შემოწმების შემდეგ, ლუკარელიმ კონტრაქტს გააფორმა და პრესას წარუდგა. დებიუტი მას უკვე კვირას, "ინტერთან" გასვლით მატჩში ექნება.

"ინტერმა" კი **ნუნუ მანიშეს** ტრანსფერი სრულყო. 30 წლის ნახევარმცველმა მილანურ გრანდთან ნახევარწლიანი საიჯარო ხელშეკრულება გააფორმა. "ატლეტიკოსა" და "ნერაძურის" შორის ხელმოწერილი კონტრაქტის მიხედვით კი, იტალიურ კლუბს 4 მილიონი გირვანქა დასჭირდება, რათა არენდის ვადის დასრულების შემდეგ, პორტუგალიელის ტრანსფერი სრულად გამოისყიდოს. მანიშეს აყვანა აუცილებელი იყო "ინტერისთვის" იმ ფონზე, როცა **პატრიკ ვიეირა, ოლივიე დაკური, ლუიშ ფიგუ** და **ვალტერ სამუელი** მწყობრიდან გამოვიდნენ და გუნდს დიდი ხანია, ვერ ეხმარებიან. **რობერტო მანჩინის** კრებულს კი მნიშვნელოვანი მატჩები ელის როგორც სერია A-ში, ისე ჩემპიონთა ლიგაში.

სხვათა შორის, გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს მანჩინი ამ ტრანსფერის წინააღმდეგი იყო, თუმცა გუშინ ის ფეხბურთელთან ერთად წარსდგა პრესის წინაშე და კომენტარიც გააკეთა: *"მე ვფიქრობ, ის ბრწყინვალე ფეხბურთელია და იმ ფონზე, როცა ნახევარდაცვაში უამრავი პრობლემა გვაქვს, მანიშეს შეუძლია, საჭირო დახმარება გაგვიწიოს ყველა ტურნირში, მათ შორის, ჩემპიონთა ლიგაშიც. სწორედ ამ ბოლო ფაქტორს ვანიჭებ განსაკუთრებულ მნიშვნელობას".*

შეგახსენებთ, რომ მანიშეს პორტუგალიის ნაკრებში 44 მატჩი აქვს ჩატარებული. მან მონაწილეობა მიიღო ბოლო ორ მთავარ საფეხბურთო ფორუმზეც: ევროპის 2004 წლის პირველობასა და გერმანიის მუნდიალზე (2006).

■ ■ ■

ახლა მოკლედ იმ გადაადგილებების თაობაზეც, რომელიც სერია A-ში იანვრის სატრანსფერო ბაზრის გახსნის პერიოდში განხორციელდა. "ატალანტამ" უდისციპლინობისთვის გუნდიდან გაგდებული ფორვარდი **რიკარდო ძამპანია** საბოლოოდ "ვიჩენცას" (სერია B) შეაჩეჩა. "კალიარიმ" "ლევანტედან" გადაიყვანა მეკარე **სტორარი** და ბრაზილიელი ფორვარდი **ჟედა,** რომელიც "რიმინის" (სერია B) ღირსებას იცავდა. "კატანიამ" "ტრიესტინაში" გაუშვა მცველი **მინელი,** ხოლო ნახევარმცველი **ბოვიო** ისევ "კორინთიანსს" დაუთმო. "ფიორენტინამ" "პიაჩენციდან" თავდამსხმელი **კაჩა** გადაიბირა. "ჯენოამ" "იუვენტუსიდან" ახალგაზრდა ცენტრალური მცველი **კრიშიტო** დაიბრუნა. "პარმამ" მცველი **კარდონე** და ნახევარმცველი **პაპონი** "ჩეზენაში" მიავლინა. "რეჯინამ" დაცვა გამოცდილი **ჩირილოთი** ("ლევანტე"), ხოლო წინა ხაზი ურუგვაელი **სტუანით** ("დანუბიო") გააძლიერა. "სიენამ" ფორვარდი **ბუკი** "ბოლონიაში" გაუშვა. "უდინეზემ" კი ჩეხი ნახევარმცველი **ზივოკი** პრაღის "სპარტაში" დააბრუნა.



დელიო როსი

ლაციო

# როსის მომავალი: მიდის თუ რჩება?

"ჯენოასთან" საშინაო მარცხის შემდეგ "ლაციო" მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. პირველი წრის ბოლო ტურის წინ გუნდი მე-15 ადგილზეა და მხოლოდ 4 ქულა აშორებს უბედურების ზონას. ბუნებრივია, ასეთ დროს პირველ რიგში მწვრთნელის საკითხი ხდება სადავო. ხსენებული მატჩის დასრულებისთანავე, "ლაციალეს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** გუნდის თავკაც **დელიო როსისთან** ერთად გასახდელში ჩაიკეტა. ჟურნალისტების თქმით, ბოსსა და მწვრთნელს შორის ხმამაღალი საუბარი ისმოდა. დაახლოებით 15 წუთის შემდეგ ისინი მშვიდად გამოვიდნენ გასახდელიდან, მაგრამ პრესასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ. "გაძეტა დელო სპორტის" ამ ინფორმაციას "ბიანკოჩელესტეს" შტაბი არც ადასტურებს და არც უარყოფს. უბრალოდ, კლუბი აცხადებს, რომ როსისა და ლოტიტოს შორის ჩვეულებრივი საუბარი შედგა და არა სადმე, სტადიონის გასახდელში, არამედ კლუბის ოფისში. როცა მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის დაპირისპირებაზეა საუბარი, ერთი ნიშანდობლივი ფაქტიც უნდა მოვიყვანოთ: ნამატჩევს, ლოტიტომ დაიცვა მწვრთნელი, რომელმაც მკაცრად გააპროტესტა მისი გუნდის კარში დანიშნული პენალტი...

და რა შეიძლება მოჰყვეს ამას? ყოველ შემთხვევაში ის არა, რაც მოხდა. მოხდა კი სრულიად პარადოქსული რამ. თუ კლუბის მიერ გუშინ ღამით გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებას ვენდობით (და რა საფუძველი გვაქვს, რომ არ ვენდოთ?), "ლაციალე" მწვრთნელს არა თუ კონტრაქტს გაუწყვეტს, არამედ პირიქით - სულაც 2011 წლამდე გაუგრძელებს. აი, რა წერია ხსენებულ განცხადებაში:

*"რატომღაც, ისე ხდება ხოლმე, რომ არბიტრთა სერიოზული შეცდომები მაინცდამაინც "ლაციოს" მატჩებს ემთხვევა და ამის გამო ბევრ ქულას ვკარგავთ. ასეთ სიტუაციაში, ხალხს უჩნდება იდეა, რომ ყურადღება მიაქციოს არა ამას, არამედ კლუბში არსებულ ვითომ არაჯანსაღ ატმოსფეროს და ამაზე იჭოროს. საუბარი იყო დირექტორებს შორის აზრთა სხვადასხვაობაზეც, რაც ასევე არ არის სწორი. "ლაციო" ადასტურებს სრულ, უპრეცედენტო ნდობას მწვრთნელ დელიო როსის მიმართ. გაცნობებთ იმასაც, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ მას ახალი კონტრაქტიც შესთავაზა".*

მოკლედ, ამით "ლაციომ" დაადასტურა თავისი პატივისცემა იმ სპეციალისტის მიმართ, რომელმაც მწირი რესურსებით საკმაოდ ბევრი გააკეთა კლუბისთვის. თუმცა წლევანდელი ჩავარდნა, ცოტა არ იყოს, გასაკვირია. როგორც ჩანს, "ლაციალეს" სამომავლო პროექტიც როსის ხელში გაივლის. თუმცა ნუ ვიჩქარებთ, რადგან ამ სეზონში სერია A-ს პრეზიდენტებმა იმდენი უცნაური გადაწყვეტილება მიიღეს, ლოტიტოსა და როსის შემთხვევაშიც არაფერია გამორიცხული.

იუვენტუსი

# ახალი ნედვედი ტურინში... და დიეგოც?

## ვინ არის ლუბოშ კალუდა? ტიაგო რჩება, ალმირონს უშვებენ

"იუვენტუსმა" ნახევარმცველ **მოჰამედ სისოკოზე** ხელი აიღო. ეს ცნობილი გახდა მას შემდეგ, რაც წინა კვირაში ითქვა, რომ მალის ნაკრების მოთამაშეს ტურინამდე რამდენიმე საათი აშორებდა. "იუვეს" პრეზიდენტმა **ჯოვანი კობოლი ჯილიმ** ბუნდოვანი განცხადება გააკეთა: სისოკო ჩვენს ინტერესებში აღარ შედისო. პრესას, ჯერჯერობით, არ აქვს ვერსიები იმაზე, თუ რამ გამოიწვია "სინიორას" ხელმძღვანელთა პოზიციის 180-გრადუსიანი ცვლა.

გუშინვე, ცნობილი გახდა, რომ ტურინული გრანდი ჩეხი ვარსკვლავით, **ლუბოშ კალუდათია** თურმე დაინტერესებული. მას **პაველ ნედვედმა** გაუწია რეკომენდაცია და მეტსახელად "ახალ ნედვედსაც" უწოდებენ. კალუდა "ბრნოს" ღირსებას იცავს. ეს გუნდი მთავარ ჩეხურ ლიგაში ("გამბრინუს ლიგა") გამოდის. ფეხბურთელს, რომელიც 21 წლისაა, უმაღლეს დივიზიონში მხოლოდ 8 მატჩი აქვს ჩატარებული. არის ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრი. "იუვენტუსი" მზადაა, "ბრნოს" 1 მილიონი გირვანქა შესთავაზოს, თუმცა ჩეხური კლუბის პრეზიდენტი **რადეკ ბელეკი** სატრანსფერო თანხის გაორმაგებას ითხოვს. ტურინელებს იმედი აქვთ, რომ კომპრომისს მომავალ კვირაში მიაღწევენ. კალუდას ტრანსფერის სრულყოფა ივნისის ბოლოსთვის იგეგმება.

ამასობაში, განახლდა სპეკულაციები ბრაზილიელ **დიეგოსთან** დაკავშირებითაც. როგორც ხედავთ, "იუვენტუსი" ყველა ღონეს ხმარობს ნახევარდაცვის გასაძლიერებლად. დიეგო, რომელიც "ვერდერის" ფლეიმეიქერია და ბუნდესლიგაში პირველი წრის საუკეთესო მოთამაშედაც აღიარეს, ამავე დროს, პირველია **კლაუდიო რანიერისთვის** სასურველ მოთამაშეთა სიაში. ბრემენელებს ძალიან გაუჭირდებათ მისი დათმობა, თუმცა ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული. გააჩნია, რას შესთავაზებენ **კლაუს ალოფსს**. "ვერდერი" მას 30 მილიონ ევროდ აფასებს, რაც ექსპერტთა აზრით არარეალურია. მაგრამ ამაში პატარა ეშმაკობაა ჩადებული. თუ დღეს "ვერდერი" ვაჭრობას 20 მილიონიდან დაიწყებს, ხვალ 12-14 მილიონი შერჩება ხელში, მაგრამ როცა საუბარია 30 მილიონზე, აქ უკვე ვარირების გაცილებით მეტი საშუალებაა. საკითხავი ისაა, რამდენად შეწვდება კობოლი ჯილი ალოფსის მიერ გადებულ თამასას.





იუვენტუსი დიეგოს არ ეშვება

ამავე დროს, ტურინში ორი ფეხბურთელის ბედი აქვთ გასარკვევი. საუბარია **ტიაგო მენდეშსა** და **სერხიო ალმირონზე**. პირველ მათგანს დიდი ხანია, "ისტუმრებენ" "იუვენტუსიდან", მაგრამ ბოლო პერიოდში რანიერის თავი მოაწონა და სერიოზული შანსი აქვს, გუნდში დარჩეს. სწორედ ამას ადასტურებს ტიაგოს აგენტი ერთ-ერთ რადიოინტერვიუში:

*"მე ნამდვილად ვფიქრობ, რომ ის "იუვენტუსში" დარჩება. ჩვენ ვესაუბრეთ რანიერის, რომელიც "კატანიასთან" მატჩში ტიაგოს თამაშით აღფრთოვანებული იყო. თავიდან, ჩემს კლიენტს სირთულეები ჰქონდა, რაც ამ ეტაპზე ნაწილობრივ გადალახულია. "იუვენტუსის" მესვეურებს ეჭვი არ ეპარებათ, რომ ის საჭირო ფეხბურთელია, და თან ფეხბურთელი, რომელშიც კლუბს სერიოზული თანხა აქვს გადახდილი. კიდევ ცოტა დროა საჭირო, რათა ის სრულად შეერწყას იტალიურ ფეხბურთს".*

განსხვავებით ტიაგოსგან, ალმირონის საკითხის ბურუსითაა მოცული. "კორიერე დელო სპორტის" ინფორმაციით, "იუვემ" დღეს უნდა გადაწყვიტოს, გაუშვებს თუ არა არგენტინელ ნახევარმცველს "მონაკოში". ალმირონს, რომელიც გასულ ზაფხულს "ემპოლიდან" 9 მილიონ ევროდ გადაიყვანეს, მიმდინარე გათამაშებაში მხოლოდ 8 მატჩი აქვს ჩატარებული და აქედან მხოლოდ ხუთი - ძირითად შემადგენლობაში. არადა, რანიერი ტიაგოზე უფრო დიდ იმედებს მას უკავშირებდა. საბოლოოდ, ალმირონი **კრისტიანო ძანეტის, ანტონიო ნოჩერინოსა** და იმავე ტიაგოს ჩრდილში აღმოჩნდა.

"მონაკომ" უკვე მიმართა წინადადებით "იუვენტუსს", რომელიც თითქმის თანახმაა, ფეხბურთელი ნახევარწლიანი არენდით გაასხვისოს. თუ გარიგება მოხდა, კლუბებს შორის ხელშეკრულებაში ჩაიდება პირობა, რომ არენდის ვადის ამოწურვის შემდეგ "მონაკოს" ფეხბურთელის გამოსყიდვაში უპირატესობა მიენიჭება.

ზურაბ საკანდელიძისა და
მიხეილ ქორქიას მემორიალი

# ბედობა და 22

**15 იანვარი. რუსთავი**

**B ჯგუფი**

**დინამო-თსუ 74:83**

24:26, 17:17, 21:24, 12:16

დინამო: გულისაბედაშვილი (10ქ, 8მ), ნანიტაშვილა, ჟღენტი (23ქ), ლაფანაშვილი (14ქ, 8მ, 5პ), სიგუა, მაისურაძე (12ქ, 5მ, 3პ), ათანელიშვილი, ახალკაცი (15ქ, 12მ)

თსუ: არწივიძე, ფანჩულიძე (13ქ), ჩიტაშვილი (13ქ, 10პ, 5მ, 4ჩ), ბარბაქაძე (22ქ, 15მ, 2დ), კოხრეიძე (5ქ, 7მ, 4პ), ყველაშვილი (10ქ, 7მ), ხიზანიშვილი (8ქ), ბ. ნოზაძე, კეიდია (12ქ, 8მ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, გ. მიქელაძე

**A ჯგუფი**

**ენერჯი-მაკაბი 122:76**

33:21, 30:27, 26:14, 33:14

ენერჯი: დვალიშვილი (7ქ), ბაბიაშვილი (3ქ, 4პ), სტეფანოვი (22ქ, 9მ), ბოისა (8ქ, 5მ), დიდია (12ქ, 7მ, 4პ, 3ჩ), ლეჟავა (27ქ), ცაკვავა (7ქ, 10პ), ლიპარტელიანი (3ქ, 6პ, 3ჩ), მაჭავარიანი (3ქ), გოგობერიშვილი (8ქ), ტუჯანი (4ქ, 3პ), ჭოჭუა (18ქ, 5პ, 2დ)

მაკაბი: ი. ბერიშვლილ (5ქ, 6პ), სორდია (6ქ, 3პ), გ. შერმადინი (22ქ, 9მ, 3დ), პირველაშვილი (6ქ), ვაშაკიძე (14ქ), კორკოტაძე (5მ), კოლუაშვილი (7ქ, 7მ, 3პ), ს. შერმადინი (16ქ, 6მ), გაგლოშვილი

მსაჯები: დ. ბერეკაშვილი, ხ. გაბედავა

**დღეს**

14:00 ავიამშენი დინამო

16:00 ვითა-მაკაბი

**გუშინ** რუსთავში 2008 საკალათბურთო წელი .თსუ-"დინამოს" დაპირისპირებით გაიხსნა. 15 იანვარს ძველით ბედობას ეძახიან და თუკი ისეთი დაძაბული მატჩები დაგვებედება, როგორიც სტუდენტთა და დინამოელთა შეხვედრა იყო, ჩვენს ბედს ძალლი არ დაჰყეფს.

გუშინ ოქმებიც მაღალი ციფრებით იყო გადავსებული, მაგრამ ვიდრე ამა თუ იმ კალათბურთელის მონაგარზე გესაუბრებოდეთ, ორი სიტყვა მატჩის მსვლელობაზე ვთქვათ.

**ზაზა ცაგარეიშვილის** „დინამო" ისეთსავე კალათბურთს უჩვენებდა, როგორსაც საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრეში - შეტევაშიც გუნდურად თამაშობდა და დაცვაშიც. იტვირთებოდნენ როგორც უკანახაზელები, ასევე მეფარეები.

თსუ-ს სქემებში კი ერთგვარ ცვლილებებს ველოდით, რადგან იანვრის დასაწყისში გუნდი დატოვა ძირითადი შემადგენლობის ცენტრმა **რიჩარდ მათიაშვილმა**. მოლოდინი არ გამართლდა: თსუ მათიაშვილის არყოფნის მიუხედავად სწორედ ისე თამაშობდა, როგორც მეორე წრეში. ამის მიზეზი დავით ბარბაქაძე იყო. იგი რიჩარდის ნაცვლად „ავიამშენიდან" თსუ-ში გადავიდა და გუშინ ისე ითამაშა თითქოს სადებიუტო მატჩს კი არა თსუ-ში მეათასე შეხვედრას ატარებდა. აქვე გეტყვით, რომ დათომ 22 ქულა, 15 მოხსნა (19 საკუთარ ფარზე), 2-2 პასიდაფარება და 1 ჩაჭრა მიითვალა. ურიგოდ არ გარჯილა „მაკაბიდან" გადასული **დავით ხიზანიშვილი**, ხოლო თსუ-ს მესამე ახალწვეულს **ბექა ნოზაძეს** ფორმაში შესვლა სჭირდება.

თანაბარ თამაშში გამარჯვებულის ბედი ბოლო მეოთხედში გადაწყდა. სიტუაციის დაძაბვასთან ერთად გუნდებს დამაგვირგვინებელ ფაზაში თამაში გაუჭირდათ, შედეგად ბოლო მეოთხედში თსუ-მ 16 ქულა ჩააგდო, ხოლო „დინამომ" - 12. საბოლოოდ სტუდენტებმა 83:74 იმარჯვეს.

**დავით ბარბაქაძის** გარდა ორმაგი დუბლი კიდევ ორმა კალათბურთელმა გაიფორმა. თსუ-ელმა **მიხეილ ჩიტაშვილმა** 13 ქულას 10 პასი მიამატა, ხოლო დინამოელმა გულივერ ახალკაცმა 15 ქულა და 12 მოხსნა ჩაიწერა.

მოთამაშეთა სტატისტიკაზე საუბარი „ენერჯი"-"მაკაბის" მონაწილეებით განვაგრძოთ. მართალია, მეორე მატჩში ორმაგი დუბლებით არავინ გამორჩეულა, მაგრამ საინტერესო ციფრები მაინც დაფიქსირდა: **გიორგი შერმადინს** და **იოვან სტეფანოვს** იდენტური სტატისტიკა აღმოაჩნდათ - 22 ქულა და 9 მოხსნა.

რიცხვი 22 საფინალო ანგარიშშიც ჩაიწერა: „ენერჯი"-"მაკაბი" 122:76 - რუსთაველებმა ფეხნატკენი გამთამაშებლის, ლაშა გამყრელიძის გარეშეც იოლად იმარჯვეს.

**ვაჟა სიმონიშვილი**





ეროვნული ბიბლიოთეკა



ტოჩინოშინი

# გამარჯვება ტრავმის მიუხედავად

**გუშინ** უმაღლეს დივიზიონ მაკუუჩიში და მეორე დივიზიონ ძურიოში ქართველებმა იმარჯვეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია 26 წლის **ლევან ცაგურიას (კოკაი)** წარმატება, რომელმაც წინა დღით მარცხენა ფეხის ცერა თითზე ფრჩხილი მოიტეხა, ამის გარდა ქართველს ფეხის ტრავმაც აწუხებს, თუმცა აღმოსავლეთის მეცხრე მაეგაშირამ მეშვიდე მაეგაშირა **ტაკეკაძე** (პატარა ტანკად წოდებული), მისთვის ასე მოუხერხებელი მეტოქე, დაამარცხა. კოკაიმ ტაკეკაძე ოშიდაშით დოჰიოდან მაყურებლებში მოისროლა. კოკაის ბალანსი ახლა დადებითია - 2-1. დღეს ჩვენებურს მონღოლი **კიოკუტენჰო** შეხვდება, რომელიც ბაშოზე ჯერჯერობით დაუმარცხებელია. უკანაკსნელი ერთი წლის განმავლობაში ისინი მხოლოდ ერხელ შეხვდნენ ერმანეთს და მაშინ მონღოლმა მოიგო.

იანვრის ბაშოზე ოთხი დაუმარცხებელი ლიდერია, მათ შორის დიდი ჩემპიონი **ჰაკუჰო** - 22 წლის მონღოლმა ბოლო წამს დააღწია თავი ელიტაში ყველაზე დაბალი რიკიშის **ტოიონოშიმას** შეტევას და გაიმარჯვა. კიოკუტენჰოს და ჰაკუჰოს გარდა, ბაშოზე არც **ამინიშიკი** და **ფუტენო** დამარცხებულან.

2-1 ბალანსი გაუხდა ძურიოს დივიზიონის 20 წლის დებიუტანტ **ტოჩინოშინსაც**, რომელმაც ცუკიდაშით **ვაკაკოიუს** მოუგო. **ლევან გორგაძე** დღეს 24 წლის **კირინოვაკას** შეხვდება. ძურიოს დივიზიონს დაუმარცხებლად ოთხი სუმოისტი ლიდერობს. დღეს მესამე დივიზიონ მაკუშიტაში მეორე ბრძოლას გამართავს **თეიმურაზ ჯულელი (გაგამარუ)**, ის ჰოკუტოივას შეხვდება. შეგახსენებთ, რომ მაკუშიტას 35-ე ნომერ ქართველს ბალანსში უკვე ერთი გამარჯვება აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰაცუ ბაშო**

(იანვრის სუპერტურნირი)

13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

**მაკუუჩი.**

III დღე: კოკაი-ტაკეკაძე 1:0 (ოშიდაში), ჰაკუჰო-ტოიონოშიმა 1:0, ასაშორიუ-ტოკიტენკუ 1:0, კაიო-მიაბიამა 1:0, კოტოოშუამა 1:0, დეჯიმა-ჩიოტაიკაი 1:0, გოეიდო-კოტომიცუკი 1:0, ამინიშიკი-ვაკანოსატო 1:0, კოტოშოგიკუ-კისენოსატო 1:0, ტოჩინონადა-როჰო 1:0, ბარუტო-ასასეკირიუ 1:0, ტამაკასუგა-ჰომაშო 1:0, ჰოკუტორიკი-ტოიოჰიბიკი 1:0, კიოკუტენჰო-ვაკაკირინი 1:0, ფუტენო-კაკიძოე 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 3-0: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ამინიშიკი (სეკივაკე), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 1C), ფუტენო (მ 12); 2-1: კოკაი (მაეგაშირა 9).

IV დღე: კოკაი-კიოკუტენჰო, ასაშორიუ-გოეიდო, ჰაკუჰო-ტოჩინონადა, კოტოოშუ-ვაკანოსატო, ჩიოტაიკაი-ტოიონოშიმა, კოტომიცუკი-კისენოსატო, კაიო-ტოკიტენკუ, კოტოშოგიკუ-ამა, ამინიშიკი-დეჯიმა, ასასეკირიუ-მიაბიამა,ტამაკასუგა-ბარუტო, როჰო-ჰოკუტორიკი, კაკურიუ-ჰომაშო, კასუგაო-ფუტენო.

**ძურიო**

III დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-ვაკაკოიუ 1:0 (ცუკიდაში), კორიუ-ჩიოჰაკუჰო 1:0, რიუო-ჰაკუროძანი 1:0, საკაიძავა-ოცუკასა 1:0, კოტოკასუგა-ჰოშიჰიკარი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 3-0: რიუო (ძურიო 2) ჰაკუბა (ძ 8), მასაცუკასა (ძ 10), კიტატაიკი (ძ 11): .. 2-1: ტოჩინოშინი (ძურიო 12).

IV დღე: ტოჩინოშინი-კირინოვაკა, კორიუ-ჰაკუროძანი, კასუგანიშიკი-საკაიძავა, კოტოკასუგა-ჩიოჰაკუჰო, ჰაკუბა-ასოფუჯი.





სოფიკო გურამიშვილი

საქართველოს ჩემპიონატი. ქალები, პირველი ლიგა

# ისევ თინეიჯერული ამბები...

**გუშინ**, მეექვსე ტურზე რომ მივედი, წყვილები ვერ ვიცანი. ოქმში ჩავიხედე და დავრწმუნდი, რომ არ მეშლებოდა - აშკარად სხვები უნდა მსხდარიყვნენ ერთმანეთის პირისპირ. აღმოჩნდა, რომ ტურნირის მომსახურე რეიტინგ-ოფიცერს წილისყრა არასწორად გაუკეთებია - მან არ მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ თავდაპირველ ვარიანტში 4 ქულის მქონე რამდენიმე მოჭადრაკე სამქულიანს ხვდებოდა, რაც წილისყრის ერთ-ერთ პრინციპს არღვევდა: თუკი თანაბარქულიანები ერთმანეთთან შენახვედრი არ არიან, პირველ რიგში წყვილდებიან, მით უფრო თუკი ფერითაც თავსდებიან. იმ ვარიანტი კი, რომელიც ჩვენ მკითხველს მივაწოდეთ, **სოფიო ნიკოლაძე** სამნახევარქულიან **ნონა დათუაშვილს** ხვდებოდა, **სალომე ხაჟომია** კი სამქულიან **ეკა გოგლიძეს**. წესით, სალომე და ნიკოლაძე ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ფერებით ვერ თავსდებოდნენ, ამიტომ ხელახალი წილისყრით ხაჟომია **ინგა ჭარხალაშვილს** დაუწყვილდა, ნიკოლაძეს კი **ქეთი ნანალაშვილი** შეხვდა. ამ გადანაცვლებამ თითქმის ასი პროცენტით შეცვალა წილისყრა, - მხოლოდ პირველ დაფაზე მსხდომებს არ შეხებიათ - **ბელა ხოტენაშვილი** თეთრებით **სოფიკო გურამიშვილთან** არკვევდა ურთიერთობას.

ეს კაზუსი, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ვერც ტურნირის მთავარმა მსაჯმა შეამჩნია, ვერც მისმა თანაშემწემ და ვერც ვერავინ მომსახურე პერსონალიდან. შეცდომა ისევ მოჭადრაკეებმა შენიშნეს და მიუთითეს კიდეც ბატონ **ვარლამ ვეფხიშვილს**. სამართლიანობა კი აღდგა, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ იზრუნა იმაზე, რომ პრესასაც სცოდნოდა სიმართლე - ოქმი არავინ მოგვაწოდა, რის გამოც მკითხველის შეცდომაში შეყვანა მოგვიხდა. ვფიქრობთ, საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა მნიშვნელოვანი ტურნირია და ინფორმაციის გავრცელება ჭადრაკის ფედერაციის პრეს-სამსახურის ვალდებულება უნდა იყოს.

ცვლილებამ არათუ გაანელა დაძაბულობა, პირიქით, უფრო გაამძაფრა. გუშინ ვწერდით, რომ 16-წლამდელებმა უფროსი თაობის მოჭადრაკეები და ამავე დროს ფავორიტები დაამარცხეს და საკმაოდ ხმამაღალი პრეტენზია განაცხადეს უმაღლესი ლიგისთვის. ესენი **სოფიკო გურამიშვილი, სალომე ხაჟომია** და **ქეთი ნანალაშვილი** იყვნენ. მეხუთე ტურში ჭარხალაშვილმა და ხოტენაშვილმა ყაიმი სწრაფად გააფორმეს. ამაზე ვთქვით: შესაძლოა ასეთმა გადაწყვეტილებამ მათ არაფერი არგოთ, რადგანაც მეექვსე ტურში აღმავლობის გზაზე მდგომ გოგონებთან მოუწევდათ თამაში და გარანტია იმისა, რომ დაძლევდნენ მათ წინააღმდეგობას, არ არსებობდა. ჩვენი ვარაუდი ახდა: სალომე ხაჟომიამ კარგად წარმართა ბრძოლა ჭარხალაშვილთან და მართალია მოსაგებად გარჯა არ ეყო, არც დამარცხებულა. ხოტენაშვილმა კი, თეთრი ფერის მიუხედავად ვერ შეძლო უპირატესობის მოპოვება გურამიშვილთან ბრძოლაში და წააგო.

ეს პარტია სინტერესოდ წარიმართა: ხოტენაშვილმა დებიუტშივე დაუშვა შეცდომა - ფიგურები სწორად ვერ განავითარა, რის გამოც პაიკი შესწირა, - იმ იმედით, რომ კომპენსაციას მიიღებდა. თითქოს იღებდა კიდეც დივიდენდებს ბელა, მაგრამ სოფომ მეტოქის ყველა მცდელობა აღკვეთა, პაიკის დაცვა შეძლო, განვითარებაც კარგი ჰქონდა, რამაც გადამწყვეტი უპირატესობა მიანიჭა. მალე რამდენიმე ფიგურა გაიცვალა და ეტლების ენდშპილში შავები ერთი ზედმეტი პაიკით გადავიდნენ. თითქოს არ იყო იოლი მოგება, მაგრამ ეს ერთი შეხედვით ჩანდა - ტექნიკურად სწორი თამაში გახლდათ საჭირო, რათა უპირატეს მხარეს მოეგო. გურამიშვილმა ამოცანა ფრიადზე შეასრულა და გაიმარჯვა.

კვლავ მოიგო და ისევ გაგვაკვირვა ქეთი ნანალაშვილმა. მან სოფიო ნიკოლაძე დაამარცხა, თანაც - შავებით. სიმართლე ითქვას, ქეთის გურამიშვილის მსგავსად უპირატესობა არ მოუპოვებია, უფრო პირიქით იყო - ბევრად არა, მაგრამ ოდნავ უარესი პოზიცია კი ჰქონდა. ნიკოლაძე თანმიმდევრულად უტევდა, თუმც უპირატესობა მოსაგებად საკმარისი იყო თუ არა, ვერ იტყოდი. კონტრშანსები ნანალაშვილსაც ჰქონდა და იპოვა კიდეც: ენდშპილში, სადაც თეთრებს ლაზიერი, ეტლი და შავუჯროვანი კუ ჰყავდათ, ხოლო შავებს ლაზიერი, ეტლი და მხედარი, საშამათო გზა მოძებნა. ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ორსვლიანი შამათი რთული შესამჩნევი არ გახლდათ, მაგრამ სოფომ ვერ დაინახა და დამარცხდა.

ამ გამარჯვებით ნანალაშვილმა 5 ქულა დააგროვა და ამდენივეს მქონე გურამიშვილთან ერთად ლიდერობს ტურნირს. დღეს ისინი ერთმანეთს ხვდებიან და გამარჯვებული, ფაქტობრივად ინაღდებს უმაღლესი ლიგის საგზურს.

მეექვსე ტურმა კიდევ ორი მოულოდნელი შედეგი დააფიქსირა: **მაკა ფურცელაძემ**, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია, 14 წლის **ლელა უგულავას** დამარცხება ვერ შეძლო. მართალია, მაკა შავებით იყო, მაგრამ შუა თამაშში პაიკით დაწინაურდა და ობიექტურად უნდა მოეგო, თუმც უპირატესობის რეალიზაცია ვერ მოახერხა და საგრძნობლად გაიუარესა უმაღლესში მოხვედრის შანსები.

მეორე მოულოდნელობა **ფატი რიჟამაძის** გამარჯვებაა **ნინო ბაციაშვილზე**. თეთრებით რიჟამაძე უტევდა და შესანიშნავადაც შეძლო იერიშის განხორციელება. ფატიზე გუშინაც ვწერდით - იგი მშვენიერ სპორტულ ფორმაში შეხვდა წლის პირველ შეჯიბრს და როგორც ჩანს, არც აპირებს შეჩერებას.

მეშვიდე ტური. პირველი 10 დაფა: **ქეთი ნანალაშვილი (5) - სოფიკო გურამიშვილი (5), ბელა ხოტენაშვილი (4,5) - სალომე ხაჟომია (4,5), ინგა ჭარხალაშვილი (4,5) - თამარ წერეთელი (4), ინგა ხურცილავა (4) - სოფიკო ტერელაძე (4), მარიამ დანელია (4) - სოფიო ნიკოლაძე (4), ნონა დათუაშვილი (3,5) - ფაქტი რიჟამაძე (4), მაკა ფურცელაძე (3,5) - ნინო ანაკიძე (3,5), ირინა იოსელიანი (3,5) - ალექსანდრა ვახანია (3,5), ნინო ბაციაშვილი (3) - ლელა უგულავა (3,5), მადონა ბოკუჩავა (3) - ეკა გოგლიძე (3).**

**ზვიად შათირიშვილი**

20 იანვარი. საქართველო-ლუქსემბურგი. ჩელენჯ ტროფის ფინალი

# ყველა თბილისშია, მეკარეები ნორვეგიაში შემოგვიერთდებიან



ალექსანდრე კორმიზაშვილის ფოტო

იმედო ფხაკაძე



ფარი თურქია

საქართველოს ხელბურთელთა ეროვნულ ნაკრებს გუშინ ბოლო გამოძახებული ლეგიონერიც შეუერთდა. თუ არ ჩავთვლით მეკარეებს - **შოთა თევზაძესა** და **არჩილ გარიშვილს**, რომლებიც „ჩელენჯ ტროფის" ფინალზე პირდაპირ თავიანთი კლუბებიდან ჩავლენ, უკვე ყველა ლეგიონერი ადგილზეა. გუშინ ჩამოვიდნენ **რეზო ჭანტურია** და ნაკრების მეორე მწვრთნელი **გარი თურქია**, რის შემდეგაც გუნდი სრულად შეივსო.

ჭანტურია და თურქია გამთენიისას ჩამოფრინდნენ თბილისში, ცოტა ხნით დაისვენეს და შუადღის ვარჯიშზე უკვე გუნდთან ერთად იყვნენ. თუ რა პირობებში უწევს ნაკრებს ვარჯიში, ამაზე გუშინ უკვე მოგახსენეთ. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ სტუ-ს დარბაზში საშინლად ცივა და ასეთ პირობებში ვარჯიში ქართული ხელბურთის უპირველეს გუნდს არ ეკადრება. ვიმედოვნებთ, რომ ეს იქნება უკანასკნელი ზამთარი, როდესაც ხელბურთელთა ნაკრები გაყინულ დარბაზში ემზადება...

გუშინდელი საწვრთნელი პროცესის წარმართვა გარი თურქიამ იკისრა, რომელმაც 2 საათის განმავლობაში ქანცი გააძრო შეგირდებს. ვარჯიში მოედნის გარშემო ძუნძულით და მოთელვებით დაიწყო, რასაც სხვადასხვა კომბინაციების დახვეწა და კარში დარტყმები მოჰყვა.

საწვრთნელი პროცესი ახალი დაწყებული იყო, რომ გუნდს შეუერთდა ვეტერანი **ტიტე კალანდაძე**. როდესაც მას ჯანმრთელობის შესახებ დავეკითხეთ, ასეთი პასუხი გაგვცა: *„ვერ ვიტყვი, რომ 100 პროცენტით მზად ვარ, რადგან ტრავმა ბოლომდე ვერ მოვიშუშე. თუმცა, თუკი ნაკრების ხელმძღვანელობა ჩათვლის, რომ გუნდის ვჭირდები, „ჩელენჯ ტროფის" ფინალში თამაშზე უკან არ დავიხევ".*

როგორც ხელბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კაკაბაძემ** გვითხრა, ყოველი შემთხვევისთვის, ტიტეს ნორვეგიაში წასასვლელი საბუთები გამზადებულია. თუკი იგი ამ 4 დღეში მოახერხებს, რომ სასურველ ფორმას მიუახლოვდეს და მწვრთნელებმა მისი სამსახური საჭიროდ მიიჩნიეს, მაშინ ნორვეგიაში წავა.

თუმცა კალანდაძის ჯანმრთელობის მდგომარეობა, სამწუხაროდ ნაკლებად იძლევა ოპტიმიზმის საფუძველს. მიუხედავად ამისა, მაინც მისასალმებელია, რომ ნაკრების ყველაზე გამოცდილი წევრი გუნდთან ერთადაა და საწვრთნელ პროცესში მონაწილეობით ახალგაზრდებს ერთგვარ სტიმულს აძლევს...

**ვარჯიშის დასრულების შემდეგ, ნაკრების მთავარ მწვრთნელ იმედო ფხაკაძეს გავესაუბრეთ.**

- ფაქტობრივად, ყველა წამყვანი ხელბურთელი თბილისშია და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ნორვეგიაში წასვლამდე მაქსიმალურად კარგად მოვამზადოთ გუნდი.

**- წესით, ყველა გამოძახებული ლეგიონერი უნდა მოხვდეს სანორვეგიო შემადგენლობაში, მაგრამ შოთა გრიშიკაშვილი ბოლო მომენტში გამოიძახეთ. მასაც აქვს ფინალში თამაშის შანსი?**

- სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ზუსტად არ ვიცოდით, როდის ჩამოვიდოდა შოთა თბილისში. როცა ჩამოვიდა, ცოტა ხნით დავაგვიანეთ საბუთების გაფორმება და ახლა პრობლემა შეიქმნა. თუ საბუთების მოგვარება მოესწრო, ხომ კარგი, თუ არადა, მისი თბილისში დატოვება მოგვიწევს.

**- „ჩელენჯ ტროფის" თბილისურ ეტაპზე, ძირითადი ხაზის მოთამაშე გიორგი წივწივაძე იყო. თუ გრიშიკაშვილს ვერ წაიყვანთ ნორვეგიაში, ვინ იქნება წივწივაძის შემცვლელი?**

- წივწივაძის დუბლიორი ირაკლი ჩიქოვანია. ასევე შეიძლებოდა დავით ფორაქიშვილის გამოყენებაც, მაგრამ იგი ავადმყოფობის გამო საწვრთნელ პროცესში ვერ მონაწილეობს.

**- ტიტე კალანდაძის ფინალში თამაში საბოლოოდ გამოირიცხა?**

- ამჟამინდელი მდგომარეობით, ფაქტობრივად ასეა. თუმცა, თუკი ტიტე ნორვეგიაში ვერ წამოვა, მომავალში მაინც აუცილებლად დაგვჭირდება მისი სამსახური. საერთოდ, „ჩელენჯ ტროფს" ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ერთ-ერთ მოსამზადებელ ეტაპად განვიხილავთ. ვიმედოვნებ, ტიტე შემოდგომამდე მწყობრში ჩადგება და ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე თავის დიდ გამოცდილებას და კლასს მოახმარს ნაკრებს.

**- სამი მეკარე გყავთ გამოძახებული. აქედან 2 უნდა მოხვდეს ფინალის 14-კაციან განაცხადში...**

- შოთა თევზაძე და არჩილ გარიშვილი ნორვეგიაში შემოგვიერთდებიან. ვაპირებთ კორნელი ანდრიაძის წაყვანასაც. თევზაძე უდავოდ პირველი მეკარეა. რაც შეეხება სათადარიგო გოლკიპერის ვინაობას, ამას ალბათ ნორვეგიაში გადავწყვეტთ საბოლოოდ.

**- 14-კაციან შემადგენლობას როდის დაასახელებთ?**

- თითქმის გადაწყვეტილი მაქვს, თუ ვის შევიყვან ფინალისთვის განაცხადში. თუმცა, საბოლოო შემადგენლობას მხოლოდ ნორვეგიაში წასვლის წინა დღეს დავასახელებ.

**- ლუქსემბურგზე ახალი ინფორმაცია ხომ არაფერი გაქვთ?**

- ჩამოგვივიდა იმ ხუთივე მატჩის ვიდეოფირი, რომლებიც ლუქსემბურგელებმა „ჩელენჯ ტროფის" ჯგუფურ ეტაპზე ჩაატარეს. შესაბამისად, გვაქვს თითქმის სრულყოფილი წარმოდგენა, თუ რა დონის მეტოქესთან გვაქვს საქმე. წინასწარ პროგნოზის კეთება არ მიყვარს, მაგრამ უკან დასახევი გზა ნამდვილად არ გვაქვს და აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

**კობა ხატისაშვილი**

## ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

## სეზონი გამარჯვებით გახსნა

ახალი სეზონი გამარჯვებით დაიწყო 17 წლის **ოქსანა კალაშნიკოვამ**, რომელიც შტუტგარტში მცირე საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) ძირითად ბადეში გასვლას ცდილობს. კალაშნიკოვა მსოფლიოს 646-ე ჩოგანია, ის შტუტგარტში საკვალიფიკაციო ბადეში მე-8 ნომრად განთესეს. პირველ წრეში კალაშნიკოვა რუმინელ **ბეატრის სიმონს** შეხვდა და იოლად მოუგო - 6:3, 6:0. მეორე წრეში ოქსანა მე-11 ნომრად განთესილ პოლონელ **ალექსანდრა გრელას** შეხვდება, გრელა კალაშნიკოვაზე უმცროსია, 16 წლისაა და მსოფლიოს 747-ე ჩოგანია. პირველ წრეში გრელამ ძალზე იოლად აჯობა სერბ **სლადანა სტანკოვიჩს** 6:1, 6:0.

იქვე ვაჟ ჩოგბურთელთა ანალოგიური ტურნირი (10 ათასი დოლარი) დაიწყო, რომლის საკვალიფიკაციო წრეში 16 წლის ლაზარე კუხალაშვილი თამაშობდა. სამწუხაროდ, ლაზარე პირველივე წრეში 25 წლის გერმანელ იაცეკ შიგოვსკისთან დამარცხდა - 2:6, 6:2, 3:6. ლაზარეს ჩოგბურთი ივლისის მერე არ უთამაშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ნახტომი, ფეხების სისწრაფე და ოცნება გერმანიაზე

**რატი მსვილიძემ მოკლე ხანში შეძლო ის, რაზეც ბევრი ხელბურთელი წლების განმავლობაში ამაოდ ოცნებობს. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, იგი უკვე ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. რატის გუშინ, ნაკრების ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ საკლუბო და სანაკრებო თემებზე.**

- ჩემი „სტიარნანი" ისლანდიის ჩემპიონატში პირველი წრის შემდეგ, მეორე ადგილზეა. ზამთრის არდადეგების წინ, რეიკიავიკის „ფრამს" მოვუგეთ და მეორე ადგილი ჩამოვართვით. პირველ პოზიციაზე მოქმედი ჩემპიონი „ჰაუკარია", რომელიც 4 ქულით გვისწრებს. კლუბის ხელმძღვანელობა ოქროს მედლებს გვისახავს მიზნად და ვიმედოვნებ, ამ ამოცანას თავს გავართმევთ.

**- ისლანდიის ჩემპიონატის დონეზე რას იტყვი?**

- უმაღლეს ლიგაში 7 გუნდი თამაშობს. აქედან მხოლოდ ორია დანარჩენებზე გაცილებით სუსტი. პირველი ოთხეულიდან კი ყველას რეალურად შეუძლია ჩემპიონობისათვის ბრძოლა.

მოკლედ, საკმაოდ დაძაბული და ძლიერი ჩემპიონატია, სადაც თუ მუშაობა არ დაიზარე, კლასს ნამდვილად აიმაღლებ. ამას გარდა, ისლანდიაში ხელბურთის ყველაზე პოპულარული სპორტია და თითქმის ყველა მატჩზე სავსეა ხოლმე ტრიბუნები. მოკლედ, პირდაპირ საქართველოს ჩემპიონატიდან ისლანდიაში თამაში ჩემთვის სავსებით ხელსაყრელი და მისაღებია.

**- რამდენი ხნით გიწევს მოედანზე ყოფნა?**

- 45-50 წუთი. მარჯვენა შუამარბი ვარ და კონკურენტი, ფაქტობრივად არ მყავს. როდესაც მწვრთნელები გადაწყვეტენ ხოლმე, რომ დამასვენონ, იძულებულები ხდებიან, ჩემს პოზიციაზე მარცხენა შუამარბი დააყენონ.

**- რამდენი ხნით აპირებს ისლანდიაში თამაშს?**

- ექვსწლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული. თუმცა, როდესაც უკეთესი ვარიანტი გამომიჩნდება, „სტიარნანის" ხელმძღვანელობა ხელს არ შემიშლის. ისე, ჩემი ოცნება გერმანიის ჩემპიონატში თამაშია. თუმცა, გერმანიაში მოხვედრამდე საკუთარ თავზე მუშაობაც მჭირდება. ისლანდიაში ვცდილობ, ის კომპონენტები დავხვეწო, რომლებშიც უკეთ მომზადება მმართებს. ახლა, ძირითადად ნახტომზე და ფეხების სისწრაფეზე ვვარჯიშობ სპეციალური პროგრამით.

„ჩელენჯ ტროფის" ჯგუფურ ეტაპზე ჯანმრთელობის პრობლემა მქონდა. საბედნიეროდ, ახლა აღარაფერი მაწუხებს და კარგ ფორმაში ვარ.

**- როლანდ ერაძე როგორ ფორმაშია, კიდევ იძახებენ ისლანდიის ნაკრებში?**

- მიუხედავად იმისა, რომ უკვე 36 წლისაა, როლანდს ასაკის არაფერი ეტყობა და „სტიარნანის" ძირითადი მეკარეა. ნაკრებშიც ისევ იწვევენ. ახლახან, ისლანდიის ნაკრებთან ერთად, დანიაში წავიდა ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად. ერაძე რომ ჩემი თანაგუნდელია, ამით უამრავი პრობლემა მომეხსნა. ძალიან ბევრს ნიშნავს, როცა უცხოურ კლუბში მიდიხარ და იქ ქართველი გხვდება.



რატი მსვილიძე

**- „ჩელენჯ ტროფის" ფინალით დავამთავროთ. როგორ შეაფასებ საქართველოს ნაკრების შანსებს?**

- როგორც ვიცი, ლუქსემბურგი საკმაოდ ნორმალური გუნდია. ასე, რომ ადვილი გასეირნების იმედად არ უნდა ვიყოთ. გამარჯვება ძალიან გვჭირდება, რისთვისაც ბოლომდე ბრძოლა გვმართებს.

# ბურთი მრგვალია, მაგრამ უნდა მოვუგოთ



რეზო ჭანტურია

**რეზო ჭანტურია ყველაზე ბოლოს ჩამოვიდა ევროპიდან. იგი თბილისში გუშინ, დილის 5 საათზე ჩამოვიდა, მგზავრობით დაღლილმა ცოტა ხნით დაისვენა და 13 საათზე უკვე ნაკრებთან ერთად იყო ვარჯიშზე.**

**ორსაათიანი ვარჯიშის შემდეგ, რეზო ისე იყო დაღლილი, სულის მოთქმა უჭირდა. თუმცა, ინტერვიუზე მაინც არ დაგვზარდა.**

- მაკედონიის ჩემპიონატში, მე და „ვარდარს" საკმაოდ კარგად მიგვდის საქმეები. პირველ ადგილზე ვართ და უახლოეს მდევარ „ვარდარს" უკვე 5 ქულით ვუსწრებთ. ყველაზე ზლიერი გუნდები სწორედ ჩვენ და „ვარდარი" ვართ. თუმცა, არც „პელისტერი", „მლადოსტი" და პრესპა" არიან ხელწამოსაკრავი გუნდები. ასეა თუ ისე, ბოლოს ჩემპიონობისთვის მაინც მხოლოდ ჩვენ და „ვარდარი" ვიბრძვით ხოლმე. შარშანწინ ჩვენ გვერგო ოქროს მედლები, შარშან კი ვარდარელებმა ჩემპიონობაც ნაგვართვეს და თასიც. ახლა გვინდა, რომ ორმაგი რევანში ავიღოთ. მეორე წრეში ძირითად კონკურენტს სახლშიც ვეთამაშებით და სტუმრადაც. თუ ამ ორიდან ერთი შეხვედრა მაინც მოვიგეთ, ჩემპიონობა ფაქტობრივად, განაღდებული გვექნება.

**- ძირითად შემადგენლობაში სისტემატურად თამაშის პრობლემა ხომ არ გაქვს?**

- სეზონის წინ, გუნდის ხელმძღვანელობამ შეიძინა სერბი გარემარბი ზორან ზუბიჩი, რომელსაც ჩემთვის უნდა გაეწია კონკურენცია. თუმცა, მან მწვრთნელის იმედები ვერ გაამართლა და გუნდიდან გაუშვეს. მის ნაცვლად აიყვანეს 17 წლის მაკედონიელი გოცე გიორგიევსკი, რომელიც სათანადო კონკურანციას ჯერ ვერ მიწევს. ასე, რომ თამაშის პრობლემა არ მაქვს. მეც ბევრს ვმუშაობს საკუთარ თავზე და ვცდილობ, ასპროცენტიანი მაჩვენებელი მქონდეს. მინდა, საიმედოდ ვირჯებოდა და რამდენსაც დავარტყამ, ყველა გავიტანო. მაგალითად, მირჩევნია ხუთჯერ დავარტყა ბურთი და ყველა შევაგდო, ვიდრე ათჯერ დავარტყა და ნახევარი ვერ გავიტანო.

ისე, ზამთრის არდადეგებზე გუნდის ხელმძღვანელობა კიდევ აპირებს ახალი ხელბურთელების დამატებას. ხაზის მოთამაშესა და გამთამაშებელს ეძებენ.

**- ქართველებს რომ გაუწიო რეკომენდაცია, არ აიყვანენ?**

- „მეტალურგში" ჩემამდე თამაშობდნენ ტიტე კალანდაძე, გარი თურქია და ალექსანდრე ბოყოჩაძე, რომლებიც დღემდე ახსოვთ. იქ ქართველებს დიდ პატივს სცემენ და თუკი გამოჩნდება მათთვის მისაღები ჩვენებური ხელბურთელი, ნამდვილად აიყვანენ. თუმცა, ამჟამად ყველა წამყვანი ქართველი ლეგიონერი კარგ კლუბში თამაშობს და არა მგონია, მაკედონიაში წამოვიდნენ. საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშეებს რაც შეეხება, მათ თავიდან ცოტა გაუჭირდებათ „მეტალურგში", მაგრამ შანსი ნამდვილად აქვს რამდენიმე მათგანს. მთავარია, მათი და კლუბის ინტერესები დაემთხვეს ერთმანეთს.

**- ევროთასებზე მერვედფინალში ესპანეთის „გრანალენიუსი" შეგხვდათ. რამდენად რთული იქნება პირინეული ბარიერის გადალახვა?**

- ესპანელებს საკმაოდ ძლიერი ჩემპიონატი აქვთ და იქაური წამყვანი კლუბები ევროგრანდებს მიეკუთვნებიან. რაც შეეხება „გრანალენიუსს", შარშან უკეთ თამაშობდა, წლეულს კი სუსტი შემადგენლობა ჰყავს და ესპანეთის ჩემპიონატში სადღაც 10-11-ე ადგილზე არიან. ასე, რომ პირინეელების დამარცხება უტოპია არ არის.

**- მაკედონიის ჩემპიონატში საკმაოდ დიდი ხანია თამაშობ. უკეთეს ლიგაში თამაშზე არ ფიქრობ?**

- მაისში კონტრაქტი მისრულდება და ვნახოთ. თუკი გაუმჯობესებულ პირობებს შემომთავაზებენ, დავრჩები, თუ არადა უკეთეს გუნდსა და ლიგაში გადასვლაზე დავფიქრდები. ისე, მაკედონიაში ურიგოდ ნამდვილად არ ვგრძნობ თავს. სისტემატურად ვთამაშობ, ნორმალური ჩემპიონატი აქვთ, მაკედონიური ენაც ვისწავლე და თუკი ჩემპიონები გავხდებით, გაისად ჩემპიონთა ლიგაზე ვითამაშებთ. ასე, რომ ამჟამად იქ დარჩენა უფრო რეალური ჩანს.

**- დაბოლოს, ვერც სანაკრებო თემას გავექცევით...**

- ლუქსემბურგზე ჩემს მაკედონიელ და სერბ თანაგუნდელებს შევეკითხე, რომელთაც ლუქსემბურგელთა წინააღმდეგ უთამაშიათ. ისინი ლუქსემბურგს სუსტ გუნდად მიიჩნევენ და მეუბნებიან, რომ აუცილებლად მოვუგებთ. თუმცა, ბურთი მრგვალია და თავს მოდუნების უფლება არ უნდა მივცეთ.

საქართველოს ნაკრებში საკმაოდ პერსპექტიული ხელბურთელები თამაშობენ. ჩვენი ყველაზე დიდი პრობლემა სათანადო პირობების არქონა და შეუთამაშებლობაა. აუცილებლად გვჭირდება, რომ 30-40 დღე მთელი გუნდი ერთად იყოს შეკრებაზე ნორმალურ პირობებში, სადაც ფიზმომზადებიდან დაწყებული და საკონტროლო მატჩებით დამთავრებული, იდეალურად მოემზადება. ამის საშუალება რომ გვქონდეს, დარწმუნებული ვარ, უახლოეს ხანში, მინიმუმ საშუალო ევროპული დონის ნაკრებს დავაყენებდით.

საქართველოს ხელბურთის ფედერაციის მიმართ საყვედურს ნამდვილად ვერ ვიტყვი. ფედერაციის ხელმძღვანელობა ძალიან მონდომებულია და უნდა, რომ ნაკრებს მაქსიმალურად კარგი პირობები შეუქმნას. მიუხედავად მათი მონდომებისა, სამწუხაროდ, თბილისში ვერ გამოინახა ისეთი დარბაზი, რომელიც გათბება. სტუ-ს დარბაზში ძალიან ცივა და იქ ვარჯიში, ფაქტობრივად ექსტრემალურ პირობებში გვიწევს. სანამ გაყინული სხეული გათბება, დიდია სერიოზული ტრავმის მიღების რისკი. ძალიან ცუდია, როდესაც ჩამოვდივართ ლეგიონერები მშვენიერ ფორმაში, მაგრამ გაყინული ხელებით ბურთის დამორჩილება გვიჭირს და ამის გამო ბავშვურ შეცდომებს ვუშვებთ. ამის გამო ხშირად ნერვები გვღალატობს და ვარჯიშის მშვიდად ჩამთავრებას ვერ ვახერხებთ...

თუმცა, ახლა ველარაფერს შევცვლით. უბრალოდ, ვალდებულები ვართ, რომ როგორმე დარჩენილი 4 დღეც გავუძლოთ ამ სიცივეში ვარჯიშს და ნორვეგიიდან „ჩელენჯ ტროფის" თასი ჩამოვიტანოთ. ეროვნული ნაკრები ქართული ხელბურთის სახეა და ვიმედოვნებ, მას მომავალში უფრო მეტი ყურადღება მიექცევა.

**კობა ხატისაშვილი**

## თარიღი

**რამაზ ხარშილაძე.** დაიბადა 16.01.1951. ნაცარგორა, ხაშური ძიუდო. (95 გკ). 1976 წლის მონრეალის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი, მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1975) ევროპის ჩემპიონატების მეორე (1976) და ორგზის მესამე (1975,80) პრიზიორი, სსრკ ოთხგზის ჩემპიონი (1974,76,79,80), სსრკ ხალხთა VI და VII სპარტაკიადების ჩემპიონი (1975,79), სსრკ ორგზის ჩემპიონი სამბოში (1971,73) სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.



LOYAL CAPITAL group
ქვარციტი QUARTZITE
BTA Silk Road Bank



ინტერვიუ მალხაზ ურჯუკაშვილთან

# მზად ვარ, მოვდივარ!

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის მეორე დივიზიონში „ორიიაკი" წლეულს დაბრუნდა. გუნდს, რომლის შემადგენლობაშიც რამდენიმე ქართველს უთამაშია, წელსვე ლიდერთა შორის არავინ ელოდა. თუმცა, საქართველოს ნაკრების წევრის მალხაზ ურჯუკაშვილის გუნდელები და კლუბის ხელმძღვანელობა სხვაგვარად ფიქრობდნენ. „ორიიაკი" 11 ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა და რეალური შანსი აქვს, პირველ დივიზიონში გადასვლისთვის იბრძოლოს.**

- სეზონის წინ ლიად არავინ ამბობდა, რომ ელიტარულ პირველ დივიზიონში გადასვლისთვის უნდა გვებრძოლა, - გვიამბობს მალხაზ ურჯუკაშვილი. - მაგრამ, მეტოქე გუნდებში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. ზოგი დასუსტდა, ზოგიც მოძლიერლდა, თუმცა ჩვენი გუნდის წარმატების მიზეზი, ისევ ჩვენშივეა საძებნი.

**- თერთმეტ მატჩში რვა მოგება და სამი მარცხი ქვედა დივიზიონიდან დაწინაურებული გუნდისთვის სულიც არაა ცუდი შედეგი. მოკლე ანალიზი გავაკეთოთ.**

- გუნდს ხელმძღვანელები ალფრთოვანებულნი არიან და გაოცებულიც კი - ნამდვილად არ ელოდნენ. ანალიზი კი შეიძლება ასეთი გავაკეთოთ - „ორიიაკი" უწინარესად საკმაოდ დიდი სარაგბო ტრადიციების გუნდია, ინფრასტრუქტურა სრულყოფილად აქვთ აწყობილი. წინა სეზონში ფედერალურ დივიზიონში რომ მოუწია თამაში, მოკლევადიანი ფინანსური პრობლემის ბრალი იყო. ახლა კი ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა. საკმაოდ კარგი, კვალიფიციური მწვრთნელები გვყავს, რომლებიც დიდი ხანია იმ გუნდში მუშაობენ და წვრილად იციან მისი ავანჩავანი. გუნდი ძალიან მეგობრული და საბრძოლველად მუდამ შემართულია. ერთი სიტყვით საკმაოდ კარგ ატმოსფერო სუფევს, რაც არ შეიძლება, რომ არ მახარებდეს.

**- სეზონის ერთი მესამედი გაილია, თქვენ კი ჩემპიონატის ერთ შეხვედრაშიც კი არ მიგიღიათ მონაწილეობა.**

- სამწუხაროდ ზედ სეზონის დაწყების წინ, ერთ-ერთ საწვრთნელ შეხვედრაში სერიოზული ტრავმა მივიღე. მკურნალობას ორი თვე დასჭირდა. ნელ-ნელა ვარჯიშს შევუდექი, რამდენჯერმე უკვე გუნდთან ერთადაც ვივარჯიშე, ფორმის აღსადგენად კიდევ მინიმუმ ერთი კვირა დამჭირდება. დარწმუნებული ვარ, თუ ჯანმრთელობამ ხელი შემიწყო, ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკავება არ გამიჭირდება. მწვრთნელებიც მამხნევებენ, უყურადღებოდ არ მტოვებენ. იმედი აქვთ, რომ მალე დავეხმარები გუნდს.

**- „ორიიაკში" უცხოელი მორაგბეები ყოველთვის უხვად იყვნენ, ალბათ ამჯერადაც ასეა.**

- გუნდის თითქმის ნახევარს უცხოელები შეადგენენ. „ორიიაკში" ცხრა სამხრეთაფრიკელი, ორი რუმინელი და თითო ფიჯელი, ტონგელი, სამოელი, უელსელი, ზელანდიელი, კანადელი და ნამიბიელია. ურთიერთობა ყველასთან ნორმალური მაქვს, მაგრამ გამორჩეულად მაინც აფრიკელებთან და რუმინელებთან ვახლობლობ. რუმინელებს, რომეო გონტინიაკსა და ვალენტინ მაფტეის დიდი ხანია ვიცნობ, ერთმანეთის წინააღმდეგ არაერთხელ გვითამაშია სანაკრებო დონეზე.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს „ორიიაკი" პირველ დივიზიონში გადასვლას?**

- რომ ვერ შეძლოს, ამისგან ტრაგედიას არავინ შექმნის. ფედერალ დივიზიონში გატარებული ერთი სეზონი შემდეგ უსამართლობა იქნება, ვინმემ ჩვენზე აუგი თქვას. თანაც, ჯერ კიდევ ყველაფერი წინაა, დარჩენილია შეხვედრების ორი მესამედი. ასე რომ, ყველაფერია მოსალოდნელი. ერთადერთი გუნდი, რომელიც ყველასგან მკვეთრად გამორჩეულია, გია ლაბაძის ვარსკვლავებით სავსე „ტულონია". ასე რომ, გადაჭრით რაიმეს თქმა მიჭირს. გამორიცხული არაა, ამჟამად რომ სატურნირო ცხრილის შუაგულშია, რომელიმე ისეთმა გუნდმა გადაგვასწროს და პლეი ოფიც მოიგოს. ვნახოთ, რა იქნება.

**- მალე 2 და 9 თებერვალს ეროვნულ ნაკრებს, ერთა თასის მნიშვნელოვანი მატჩები ელის პორტუგალიასა და რუმინეთთან. გუნდი პრობლემას ხომ არ შეგიქმნით?**

- არა, არანაირი პრობლემა. იმედი მაქვს, მაგ თამაშებისთვის სრულ მზადყოფნაში ვიქნები. პორტუგალია და რუმინეთი ახლახან ჩვენსავით მსოფლიო თასზე თამაშობდა და საინტერესოა, რა შეიცვალა ამის შემდეგ ამ გუნდებში. რთული თამაშები რომ იქნება, ეს თავისთავად ცხადია. ყველაფერს ვიღონებთ, რომ ქართველი ქომაგი არ გავანბილოთ.

**- მეტოქე გუნდებში მომხდარ ცვლილებებზე რა მოგახსენოთ, მაგრამ ფაქტია, რომ ჩვენ ეროვნულ გუნდში სამწვრთნელო შტაბი მთლიანად იცვლება. მთავარი მწვრთნელი კი ავსტრალიელი ტიმ ლეინი იქნება.**

- ავსტრალიელს საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს, როგორც სანაკრებო ისე საკლუბო დონეზეც. მას კარგად იცნობენ ჩვენი მორაგბეებიც - გია ლაბაძე და ლევან ცაბაძე. წინასწარ რამის თქმა ძნელია, ბევრი რამ მის პიროვნებაზე, ცოდნასა და ალღოზე იქნება დამოკიდებული. იმედი მაქვს, ნაკრები მისი ხელმძღვანელობით უფრო მძლავრად ათამაშდება.

**ბესიკ ჯანგავაძე**

## თავისუფალი ჭიდაობა

# ბაქოდან ჯილდოებით დაბრუნდნენ

ამ დღეებში ქართველმა ჭაბუკებმა წარმატებით იასპარეზეს ბაქოში, **მუშვიკ ისაევის** ხსოვნის საერთაშორისო ტურნირში - ჩვენებურთა მონაგარი 1 ოქროს, 3 ვერცხლისა და 5 ბრინჯაოს მედალია, რასაც გუნდური მეორე ადგილიც დაუმატეს. ჩემპიონი **თედო ებანოიძე** (85) გახდა, **ჩინგიზ გახაჯოვი** (42), **ლაშა ლომთაძე** (46) და **თენგიზ ჩოჩიშვილი** (63) მეორეზე გავიდნენ, ბრინჯაოები კი **ზურაბ ერბონონაშვილმა** (54), **ლევან როჭიკაშვილმა** (46), **ლევან ქელეხსაშვილმა** (50), **თორნიკე ლურსმანაშვილმა** (58) და **გიორგი ასლანიშვილმა** (100) მოიპოვეს.

ჩვენები ამ ტურნირზე შარშანაც გამოვიდნენ და მაშინაც ასეთივე წარმატებით. მუშვიკ ისაევი მსოფლიო ჩემპიონ ხაზარ ისაევის ძმა იყო, რომელიც 1991 წლის იანვრის ბაქოს არეულობებისას დაიღუპა. ეს ტურნირიც ხაზარ ისაევმა ძმის ხსოვნის უკვდავსაყოფად დაარსა. წლევანდელ ტურნირში 10-მდე გუნდი გამოდიოდა და როგორც საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების თავკაცმა **თამაზ ბენდიანიშვილმა** გვითხრა, უმაღლეს დონეზე გახლდათ ორგანიზებული. მწვრთნელის თქმით, გუნდები იმ სასტუმროში განათავსეს, რომელშიც სექტემბერში, უფროსთა მსოფლიო პირველობის მონაწილენი ცხოვრობდნენ და ასეთი ორგანიზაცია არათუ ბავშვთა, უფროსთა ტურნირებსაც კი შეშურდებოდა. ხაზარ ისაევს არც საპრემიო ფონდი დაუნანებია და ჩემპიონებმა ჯილდოდ 1000 ამერიკული დოლარი, ვერცხლისა და ბრინჯაოს პრიზიორებმა კი, შესაბამისად, 500 და 300 მიიღეს.

**ირაკლი თავაძე**

## ჭადრაკი

### ვეიკ ან ზეეს ტურნირი

III ტური: ლევონ არონიანი (სომხეთი)-პეტერ ლეკო (უნგრეთი) 0.5:0:5; მაიკლ ადამსი (ბრიტანეთი)-მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) 0.5:0.5; ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი)-შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) 0.5:0:5; ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი)-პაველ ელიანოვი (უკრაინა) 0.5:0:5; იუდით პოლგარი (უნგრეთი)-ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0.5:0:5; ბორის გელფანდი (ისრაელი)-ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) 0.5:0:5; ლუკ ვან ველი (ჰოლანდია)-თეიმურ რაჯაბოვი (აზერბაიჯანი) 0.5:0:5.

სატურნირო მდგომარეობა: 1-2. კარლსენი, არონიანი - 2.5 ქულა; 3. რაჯაბოვი - 2; 4-9. ვან ველი, პოლგარი, ივანჩუკი, ადამსი, ლეკო, კრამნიკი - 1.5; 10-14. ელიანოვი, გელფანდი, ტოპალოვი, ანანდი, მამედიაროვი - 1.

## კალათბურთი

### კლივლენდს მწვრთნელი დაუტოვეს

"კლივლენდ კავალიერზის" მთავარმა მწვრთნელმა **მაიკ ბრაუნმა** კლუბთან 2011 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი.

ამჟამად მოქმედ ხელშეკრულებას 2009 წლის ზაფხულში გადიოდა ვადა. ბრაუნი მესამე სეზონია **ლებრონ ჯეიმსის** გუნდს ავარჯიშებს. შარშანდელ სეზონში, მისი ხელმძღვანელობით "კავალიერზი" NBA-ის ფინალში გავიდა და იქ მშრალი ანგარიშით დამარცხდა "სან ანტონიოსთან".

### ბინუმი ორ თვეს გამოტოვებს

სერიოზული დანაკლისი განიცადა "ლოს ანჯელეს ლეიკერსმა". ამ გუნდს მინიმუმ 8 კვირა ვერ დაეხმარება ძირითადი ცენტრი **ენდრიუ ბინუმი**.

ახალგაზრდა კალათბურთელმა მარცხენა მუხლის ტრავმა "მემფის გრიზლისთან" მატჩში მიიღო. ერთი შეხედვით, ტრავმა სერიოზული არ ჩანდა, მაგრამ მოგვიანებით ჩატარებულმა სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ ბინუმს დაახლოებით ორი თვე მოუწევს მკურნალობა.

წლევანდელ რეგულარულში "ლეიკერსის" ცენტრი საშუალოდ 13.1 ქულასა და 10.2 მოხსნას აგროვებს.

### გადათამაშება იქნება

ULEB-ის დისციპლინარულმა კომიტეტმა გადაწყვიტა გადაითამაშოს ULEB-ის თასის ჯგუფური ეტაპის მერვე ტურის მატჩი, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ბელგიის "ოსტენდეს" და იტალიის "ფორტიტუდო". ამგვარი გადაწყვეტილების მიზეზი გახდა მატჩის ბოლოს შექმნილი სიტუაცია. ბელგიური კლუბი 62:60 იგებდა, როცა იტალიელმა კალათბურთელმა ბოლო წამზე სამქულიანი ჩააგდო, მაგრამ მსაჯებმა გადაწყვიტეს, რომ სროლის მომენტში დრო უკვე გასული იყო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, არბიტრებმა შეცდომა დაუშვეს.

დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით, გადათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის კალათბურთელები, რომლებიც 8 იანვარის მატჩის განაცხადში იყვნენ შეყვანილნი.

## ჩოგბურთი

### შარაპოვა რუსეთის ნაკრებში

რუსეთის ნაკრების კაპიტანმა შამილ ტარპიშჩევმა დაასახელა იმ ჩოგბურთელთა გვარები, რომლებიც ფედერაციის თასის პირველ ეტაპზე, ისრაელში ადგილობრივ ნაკრებს დაუპირისპირდებიან. ქალთა გუნდს შემდეგი მოთამაშეები დააკომპლექტებენ: **მარია შარაპოვა, ანა ჩაკვეტაძე, დინარა საფინა და ელენა ვესნინა**.

რამდენიმე დღის წინ, ტარპიშჩევი აცხადებდა, რომ ნაკრების შემადგენლობაში აუცილებლად იქნებოდნენ შარაპოვა, ჩაკვეტაძე და **სვეტლანა კუზნეცოვა**, მაგრამ ეს უკანასკნელი მწვრთნელმა პირველი წრის მატჩისგან გაათავისუფლა. ასეთე ვერ მოხვდნენ გუნდში სხვა გამოცდილი ჩოგბურთელები - **ელენა დემენტიევა, ნადია პეტროვა და ელენა ლიხოვცევა**.

### დავენპორტი ყველაზე მდიდარია

ავსტრალიის ღია პირველობის პირველ წრეში გამარჯვების სანაცვლოდ, ამერიკელმა ვეტერანმა **ლინდსი დავენპორტმა**, როგორც მინიმუმ 25 284 დოლარი გამოიმუშავა. შესაბამისად, მის მიერ მთელი კარიერის მანძილზე მოპოვებულმა ჯამურმა ჰონორარმა 21 897 501 დოლარი შეადგინა. ამ მაჩვენებლით, დავენპორტი ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში ყველაზე მდიდარი სპორტსმენი გახდა.

ამერიკელმა გააუმჯობესა ლეგენდარული გერმანელის, **შტეფი გრაფის** რეკორდი. იტალიელი **სარა ერანის** დამარცხების შემდეგ, ლინდსმა შტეფის 2 224 დოლარით გაუსწრო.

*"არასოდეს მიფიქრია, თუ ჩემს კარიერაში ასეთი მომენტი დადგებოდა. იმ 15 წლის განმავლობაში, რაც კორტზე გამოვდივარ, ქალთა ჩოგბურთმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ. უამრავი სპონსორი გვყავს, გულშემატკივართა მხრიდანაც ინტერესი იზრდება. მესიამოვნა, რომ შტეფის გავასწარი. ის მართლაც დიადი ჩოგბურთელი იყო"*, - განაცხადა ლინდსი დავენპორტმა.

### ავსტრალიაშიც ჩაწყობების საფრთხეა?

ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტმა **ლარი სკოტმა** განაცხადა, რომ ავსტრალიის ღია პირველობის მსვლელობისას, რამდენიმე ჩოგბურთელს უკვე შესთავაზეს მატჩების დათმობა.

*"ზოგიერთი მოთამაშე დაგვიკავშირდა და შეგვატყობინა, რომ მათ გარკვეული ანაზღაურების საფასურად მატჩების წაგება შესთავაზეს. ეს ჩოგბურთელები სწორად მოიქცნენ, როცა ჩვენ მოგვმართეს. ჩვენი ორგანიზაცია მიხვდა, რომ ჩოგბურთი ტოტალიზატორის მოყვარულთათვის ერთ-ერთი საყვარელი სახეობაა. ყველა გზას მივმართავთ იმისთვის, რომ ქალთა ჩოგბურთი სუფთა დარჩეს"*, - მოჰყავს სკოტის სიტყვები BBC-ს.

WTA-ს პრეზიდენტმა არ დაასახელა იმ ჩოგბურთელთა გვარები, რომლებმაც მის ორგანიზაციას მიმართეს.

## ჰოკეი

### ჰიტლის სავარი შეცვლის

როგორც გუშინ ვიტყობინებოდით, მძიმე ტრავმის გამო 6 კვირით გამოეთიშა აქტიურ სპორტს "ოტავა სენატორზის" ერთ-ერთი ლიდერი **დენი ჰიტლი**. ამ ჰოკეისტს "ყველა ვარსკვლავის მატჩში" აღმოსავლეთი კონფერენციის ნაკრებში უნდა ეთამაშა, მაგრამ დანამდვილებით არის ცნობილი, რომ ჰიტლი 27 იანვარს ატლანტაში არ ჩავა.

ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ უკვე დაასახელა ჰიტლის შემცვლელი. ეს გახლავთ "ბოსტონ ბრუინზის" ფორვარდი **მარკ სავარი**. ეს უკანასკნელი უკვე ათი წელია ლიგაში თამაშობს, მაგრამ "ოლ სტარის" მატჩზე პირველად მიიწვიეს.

წლევანდელ რეგულარულში სავარი "ბოსტონის" საუკეთესო ბომბარდირია. მის ანგარიშზე 47 ქულა (11 გოლი+36 პასი) მოდის. შარშან მას კარიერაში საუკეთესო სეზონი ჰქონდა - მარკმა 74 შედეგიანი პასი შეასრულა და 96 ქულა მოაგროვა.



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**პიტსბურგი-რეინჯერსი 4:1**

3:0, 0:0, 1:1

გოლები: 1:0 მალკინი-21 (კროსბი-42, გონჩარი-28), 2:0 მალკინი-22 (კროსბი-43, სკუდერი-2), 3:0 გონჩარი-8 (ლეტანგი-6, სიკორა-14), 3:1 იაგრი-13 (გომესი-32, მარა-11), 4:1 მალკინი-23 (სიდორი-5).

**ევგენი მალკინის** ჰეთ-თრიკისა და მეკარე **ტაი კონკლინის** ბრწყინვალე თამაშის წყალობით (43 დარტყმა მოიგერია), "პიტსბურგმა" იოლად მოუგო "ნიუ იორკ რეინჯერსს" და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზე გადავიდა.

"პიტსბურგს" ბოლო 10 მატჩში 9 მოგება და ერთი წაგება აქვს, ისიც ოვერტაიმში, როცა დამარცხებულ გუნდს ერთი ქულა ემატება. ამასთან, გუნდმა შინ ზედიზედ მეექვსე გამარჯვება მოიპოვა. ამ მატჩებში "პინგვინების" კარს სწორედ სათადარიგო მეკარე კონკლინი იცავდა. ასე რომ, "პიტსბურგის" წინსვლის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს გოლკიპერი გახლავთ.

მალკინმა ბოლო 11 დღეში ორი ჰეთ-თრიკი შეასრულა. რუს ჰოკეისტს ორ გოლში ასისტენტობა **სიდნი კროსბიმ** გაუწია, რომელიც 43 პასით ლიგის ლიდერია, ხოლო ბომბარდირთა დავაში დაეწია "ტამპა ბეის" ლიდერ **ვენსან ლეკავალიეს** და მასთან პირველ-მეორე ადგილებს იყოფს.

რაც შეეხება "რეინჯერსს", მისი საქმეები უკან მიდის და გუნდი პლეიოფის ზონის მიღმა იმყოფება. **იარომირ იაგრის** გუნდმა ბოლო შვიდ მატჩში მეექვსედ წააგო, აქედან ზედიზედ ოთხჯერ სტუმრად.

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის სამივე საუკეთესო მოთამაშიდან ორი ფორვარდია და ერთი - მეკარე.

სამკვირიანი შესვენების შემდეგ, პირველი ვარსკვლავი კვლავ "მინესოტა უაილდის" სლოვაკი თავდამსხმელი **მარიან გაბორიკი** გახდა, რომელმაც გასული კვირის 4 მატჩში ოთხი გოლი და ამდენივე შედეგიანი პასი მიითვალა. 47 ქულით, გაბორიკი თავისი გუნდის საუკეთესო ბომბარდირია.

კვირის მეორე ვარსკვლავი მეკარეა - "ედმონტონ ოილერზის" **მატიო გარონი**. ეს გოლკიპერი საკუთარ კარში 1.01 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 96.8 პროცენტს იგერიებდა. მისი წყალობით, გასულ კვირას "ედმონტონმა" 3-დან სამი მატჩი მოიგო. გარონმა 94-დან 91 დარტყმა მოიგერია, მათ 35 7 იანვარს, "აილენდერსთან" 4:0 მოგებულ მატჩში.

რაც შეეხება მესამე ვარსკვლავის სტატუსს, ის "ფილადელფია ფლაიერზის" მარცხენა ფრთამ **სკოტ ჰარტნელმა** დაიმსახურა, რომელმაც 4 მატჩში 5 გოლი და 3 შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში. გასულ კვირას, ამ ფორვარდმა კარიერაში მეორე ჰეთ-თრიკი შეასრულა ("რენჯერსთან" 6:2).

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 44 | 29 | 11 | 4 | 62 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 44 | 26 | 15 | 3 | 55 |
| 3. კაროლინა* | 47 | 22 | 21 | 4 | 48 |
| 4. პიტსბურგი | 45 | 26 | 16 | 3 | 55 |
| 5. მონრეალი | 44 | 22 | 14 | 8 | 52 |
| 6. ფილადელფია | 43 | 23 | 15 | 5 | 51 |
| 7. აილენდერსი | 44 | 22 | 17 | 5 | 49 |
| 8. ბოსტონი | 44 | 22 | 18 | 4 | 48 |
| 9. რეინჯერსი | 46 | 21 | 20 | 5 | 47 |
| 10. ატლანტა | 46 | 22 | 22 | 2 | 46 |
| 11. ბაფალო | 43 | 19 | 18 | 6 | 44 |
| 12. ფლორიდა | 46 | 20 | 22 | 4 | 44 |
| 13. ვაშინგტონი | 44 | 18 | 21 | 5 | 41 |
| 14. ტორონტო | 45 | 16 | 21 | 8 | 40 |
| 15. ტამპა ბეი | 45 | 17 | 23 | 5 | 39 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 46 | 33 | 9 | 4 | 70 |
| 2. სან ხოსე* | 44 | 25 | 12 | 7 | 57 |
| 3. მინესოტა* | 45 | 26 | 17 | 2 | 54 |
| 4. დალასი | 47 | 25 | 17 | 5 | 55 |
| 5. ვანკუვერი | 45 | 25 | 16 | 4 | 54 |
| 6. ანაჰაიმი | 47 | 24 | 17 | 6 | 54 |
| 7. კალგარი | 46 | 22 | 16 | 8 | 52 |
| 8. კოლორადო | 45 | 24 | 18 | 3 | 51 |
| 9. სტ. ლუისი | 43 | 22 | 15 | 6 | 50 |
| 10. კოლამბუსი | 45 | 21 | 18 | 6 | 48 |
| 11. ფინიქსი | 44 | 23 | 20 | 1 | 47 |
| 12. ნეშვილი | 44 | 21 | 19 | 4 | 46 |
| 13. ედმონტონი | 46 | 21 | 21 | 4 | 46 |
| 14. ჩიკაგო | 45 | 20 | 21 | 4 | 44 |
| 15. ლოს ანჯელესი | 46 | 17 | 27 | 2 | 36 |

* - დივიზიონის ლიდერი

**ბომბარდირები (გოლი+პასი)**

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 63 (28+35) |
| კროსბი (პიტ) | 63 (20+43) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 62 (37+25) |
| იგინლა (კალ) | 61 (32+29) |
| ალფრედსონი (ოტა) | 59 (29+30) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 57 (27+30) |
| ჰიტლი (ოტა) | 56 (25+31) |
| დაციუკი (დეტ) | 55 (17+38) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 54 (33+21) |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 53 (17+36) |
| სპეცა (ოტა) | 53 (15+38) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 53 (13+40) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| კოვალჩუკი (ატლ) | 37 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 33 |
| იგინლა (კალ) | 32 |
| ალფრედსონი (ოტა) | 29 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 28 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 27 |
| გაბორიკი (მინ) | 25 |
| ბოიესი (ს-ლუი) | 25 |
| ჰიტლი (ოტა) | 25 |
| პერი (ანა) | 24 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 43 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 40 |
| სპეცა (ოტა) | 38 |
| დაციუკი (დეტ) | 38 |
| ლიდსტრიომი (დეტ) | 37 |
| ჰ. სედინი (ვან) | 37 |
| სავარი (ბოს) | 36 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 36 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 35 |
| გეტცლაფი (ანა) | 32 |
| გომესი (რეინ) | 32 |



გუნდების პრეზენტაციები

# BMW-ს რადიკალური ევოლუცია

გერმანულ-შვეიცარიული გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეთაგან მეოთხეა, რომელმაც ახალი სეზონისთვის გამზადებული ბოლიდის, F1.08-ის პრეზენტაცია გამართა.

ჩატარებული ოთხი პრეზენტაციიდან სამს გერმანიამ უმასპინძლა, რაც არც არის გასაკვირი - "ბეემვე" გერმანული კომპანიაა და გუნდის შტაბ-ბინაც გერმანიაში, კერძოდ კი მიუნხენშია. "ტოიოტა" იაპონური კია, მაგრამ მის სპორტულ განყოფილებას მთავარი ოფისი კიოლნში აქვს. რაც შეეხება "მაკლარენ-მერსედესს", გუნდი ინგლისურია, თუმცა მისი თანამფლობელი და უმსხვილესი პარტნიორია გერმანული "დაიმლერი", რომლის ხათრითაც, "ვერცხლისფერმა ისრებმა" (მაკლარენმა ეს მეტსახელიც დაიმლერსგან მიიღო) თავიანთი ახალი საბრძოლო მანქანა საზოგადოებას შტუტგარტში უჩვენეს.

"ბეემვე ზაუბერი" ახალ სეზონს ოპტიმისტურად ხვდება და აცხადებს, რომ გამარჯვებისთვის საბრძოლველად მზადაა. ყოველ შემთხვევაში, გუნდის შეფი **მარიო თაისენი** ამბობს, რომ ბავარიული საჯინიბო ახალ სეზონში მორიგ დიდ ნაბიჯს გადადგამს უმაღლესი მწვერვალისკენ.

*"ახალ სეზონს იმის იმედით ვხვდებით, რომ წინა სეზონისგან განსხვავებით, ამჯერად პირველობისთვის მხოლოდ ორი გუნდის მანქანები არ იბრძოლებენ. ამჯერად ამ ბრძოლაში ჩაბმას ჩვენც ვგეგმავთ. რა თქმა უნდა, გამარჯვება ძალიან ძნელი იქნება, რადგან ორ ძალიან გამოცდილ და ძლიერ გუნდთან მოგვიწევს პაექრობა. ისევე როგორც ჩვენ, სეზონებს შორის ისინიც წინ წაიწევდნენ. თუმცა, არსებობს გარემოება, რომელიც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს. მათ სრულყოფილებამდე ბევრი არ აკლდათ, ჩვენ კი სწრაფად განვითარებადი გუნდი ვართ. მეორეც, ახალი რეგლამენტი ყველა გუნდს დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში აყენებს. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ ეს სეზონი ჩვენთვის კვლავ სერიოზული პროგრესის მომტანი იქნება, რომელიც ლოგიკურად, კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ჩვენი პილოტების ასვლებით უნდა დაგვირგვინდეს"*, - ამბობს თაისენი.

გასული სეზონი, კონსტრუქტორთა პირველობაზე "ბეემვემ" მეორე ადგილზე დაასრულა, რაც "მაკლარენის" დისკვალიფიკაციის შედეგია. ბავარიულმა საჯინიბომ 101 ქულა დააგროვა და მნიშვნელოვნად ჩამორჩა "ფერარის" (204 ქულა). სამაგიეროდ, თითქმის ორჯერ მეტ ქულას მოუყარა თავი, ვიდრე წინა სეზონების ჩემპიონმა "რენომ" (51 ქულა).

უფრო საინტერესო ისაა, რომ ყველა რბოლა "მაკლარენის" და "ფერარის" პილოტების გამარჯვებით დასრულდა. მთელ სეზონში კი სულ ხუთი რბოლა იყო ისეთი, რომლებზეც ამ ორი გუნდის ნევრებმა კვარცხლბეკის სამივე საფეხურის დაკავება ვერ შეძლეს.

"ბეემვეს" პილოტებიდან უფრო წარმატებული იყო გერმანელი **ნიკ ჰაიდფელდი**, რომელმაც კანადაში მეორე ადგილი დაიკავა, უნგრეთში კი – მესამე. თავის პირველ სრულ სეზონში, სტაბილურობა გამოავლინა გუნდის პოლონელმა პილოტმა **რობერტ კუბიცამაც**, ვინც კანადაში საშინელ ავარიაში მოყვა და სასწაულით გადაურჩა განსაცდელს.

გუნდმა ეს ორი პილოტი მომავალი სეზონისთვისაც დაიტოვა. ჯერჯერობით უცნობია, თუ ვის აირჩევენ ბავარიელები ტესტ და სათადარიგო პილოტად. ამ ვაკანსიის დაკავების რეალური შანსი აქვს ესტონელ ამომავალ ვარსკვლავს, **მარკო ასმერს**, ვინც სეზონის დაწყებამდე რამდენიმე ტესტ-სესიაში მიიღებს მონაწილეობას და გუნდი საბოლოო გადაწყვეტილებას მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებს.

ახალ სეზონში თავის უმთავრეს მიზნად გამარჯვებას ისახავს ჰაიდფელდი, ვინც ამბობს, რომ ასეთი "მშვენიერი" სარბოლი მანქანა ადრე არასოდეს უნახავს. *"მე დარწმუნებული ვარ, რომ რბოლების მოგება შემიძლია, მაგრამ ეს უპირველესად, ამ მანქანაზეა დამოკიდებული. თეორიულად, ჩვენ მოწინავეებთან ჩამორჩენის შემცირება შეგვიძლია, მთავარი მიზანი კი პირველი გამარჯვების მოპოვება იქნება"*, - ამბობს გერმანელი პილოტი.

ახალ ბოლიდს უფრო დიდი ზომის წინა ფრთა აქვს, რითაც ნაწილობრივ შესაძლებელი იქნება დამხმარე ელექტრონული სისტემების აკრძალვით გამოწვეულ პრობლემათა კომპენსირება. დაიხვეწა ბოლიდის აეროდინამიკა, გაიზარდა ბორბლებს შორის ბაზა. კონსტრუქტორებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანეს ტრანსმისიის კონსტრუქციაში.

რალი-რეიდი

### სამხრეთამერიკული დაკარი

მსოფლიოში ყველაზე ცნობილმა რალი-რეიდმა "დაკარმა", რომელიც წელს უსაფრთხოების მოსაზრებების გამო არ გაიმართა, როგორც ჩანს, ალტერნატიული ჩატარების ადგილი იპოვნა. ჯერჯერობით უცნობია, შეინარჩუნებს თუ არა რბოლა დღევანდელ სახელს, მაგრამ დიდი შანსია იმისა, რომ 2009 წელს, ის ორი ქვეყნის ტერიტორიაზე - ჩილესა და არგენტინაში ჩატარდეს.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, რალის სტარტი არგენტინის დედაქალაქ ბუენოს აირესში მიეცემა, ხოლო ფინიში ჩილეს მთავარ ქალაქში, სანტიაგოშია დაგეგმილი. მარშრუტი მთის ეტაპებით იქნება დატვირთული და რაც მთავარია, აქ ავტომრბოლელებს ქვიშაშიც მოუწევს პაექრობა. ეს იმიტომ, რომ ახალი რალი-რეიდი მაქსიმალურად იყოს მიახლოებული ნამდვილ, აფრიკულ "დაკართან".

შეგახსენებთ, რომ "დაკარი-2008" 5 იანვარს უნდა დაწყებულიყო, მაგრამ მისმა ორგანიზატორებმა რბოლა გააუქმეს. რალის მავრიტანიის ტერიტორიაზე უნდა გაევლო, ამ ქვეყანაში კი, 2007 წლის დეკემბერში ექვსი ფრანგი ტურისტი მოკლეს. ამის გამო, საფრანგეთის მთავრობის რეკომენდაციით, "დაკარის" ჩატარება მიზანშეუწონლად ჩათვალეს.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ბოსტონში კრიზისია?



იქნებ კრიზისზე საუბარი ოდნავ ნაადრევიც კი იყოს, მაგრამ, როდესაც გუნდი რეგულარულის სტარტზე პრაქტიკულად დაუმარცხებელია, მერე კი ხუთი შეხვედრიდან სამს ზედიზედ აგებს, რაღაც ჩავარდნის მსგავსი აშკარად სახეზეა. თანაც, "ბოსტონ სელტიქსმა" ზედიზედ ორივე ნაგება ერთსა და იმავე მეტოქესთან, ჯერაც **გილბერტ არენასის** გარეშე მყოფ "ვაშინგტონთან" იწვნია.

**დოკ რივერსის** შეგირდები დამაჯერებლად ლიდერობენ თავიანთ დივიზიონში, აღმოსავლეთის კონფერენციასა და საერთოდ, მთლიანად ლიგაშიც, თუმცა გუნდის თამაში უწინდელზე ნაკლებად ეფექტური და ოდნავ პროგნოზირებადია. ეს, ალბათ, გადაღლილი ლიდერების გამოც ხდება.

"სელტიქსს" დაუბრუნდა ფლეიმეიქერი **რაჯონ რონდო**, მაგრამ ვერც ამ ფაქტორით მოიპოვა უპირატესობა ლიგის ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა და დედაქალაქელებთან მეორედ შერცხვა.

არადა, ბოლო მეოთხედშიც კი რთული წარმოსადგენი იყო, რომ "უიზარდსი" საბოლოო გამარჯვებას მოიპოვებდა. უკანასკნელი 12-წუთეულის ბოლო 6 წუთსა და 24 წამში "ვაშინგტონმა" მოგებას მონყურებული მასპინძელი 25:6 გაანადგურა და ამაში ყველაზე დიდი როლი **კეირონ ბატლერმა** და **ბრენდან ჰეივუდმა** შეიტანეს. ბატლერმა მორიგი 20-ქულიანი მატჩი ჩაიწერა აქტივში და გადამწყვეტ მონაკვეთში თავის გუნდს 9 ქულითა და 2 მნიშვნელოვანი ჩაჭრით შეეშველა, ხოლო ჰეივუდმა კი "სელტიქსის" მეგავასრკვლავ **კევინ გარნეტს** სათარეშო სივრცე გადაუკეტა და გარნეტმაც ბოლო წუთნახევარში სამიდან სამი სროლა გააფუჭა.

**ედი ჰაუსმა** სწრაფი გარღვევით მასპინძლები 77:63 გაიყვანა წინ, რის მერეც დაიწყო უიზარდსული სასწაული, რომელმაც მატჩის ბოლომდე გასტანა. ძირითადის დასრულებამდე 40.1 წამით ადრე^ ბატლერმა ერთ შეტევაში სამი ქულა რომ მოიმკო, მისი გუნდი 82:81 დაწინაურდა.

საპასუხო შეტევაში გარნეტმა რატომღაც სამიანის სროლა გადაწყვიტა და საკმაოდ არაზუსტადაც შეასრულა შორეული ტყორცნა, თუმცა მოხსნაზე "ბოსტონის" კაპიტანმა, **პოლ პირსმა** იმარჯვა და რაკილა მასზე დაჯარიმდნენ, პირსმა ორი საჯარიმოთი თავისიანებს ერთქულიანი უპირატესობა დაუბრუნა.

ბატლერს ურთულესი ნახევარკაუჭით "ვაშინგტონი" კვლავ წინ გაჰყავს, რასაც გარნეტის კიდევ ერთი არაზუსტი სროლა მოჰყვა. ორივე შემთხვევაში, კევინს ჰეივუდი მეურვეობდა.

ბატლერმა და **დეშონ სტივენსონმა** დარჩენილ დროში ოთხივე საჯარიმო უნაკლოდ შეასრულეს, შუალედში კი^ საშინელ ფორმაში მყოფმა **რეი ალენმა** სამიანის სროლისას ბურთი რკინის რგოლსაც კი ვერ შეახო. ასე რომ, "უიზარდსმა" მოიგო, ხოლო ბატლერმა კი ნამატჩევს ცოტა თამამი განცხადება გააკეთა.

*"გილბერტის გარეშე ყველასთან თანაბრად ვთამაშობთ, ბოლო ორი მოგება კი მხოლოდ იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენს გუნდს ჩემპიონობისთვის ბრძოლა რეალურად შეუძლია. ყველა "ბოსტონზე", "სან ანტონიოსა" და "ფინიქსზე" საუბრობს, ჩვენ კი არავინ გვახსენებს ჩემპიონობის მაძიებელთა შორის. მოვიდეს აპრილი და დავანახებთ, თუ ვის რისი თავი აქვს"*, - ამბობს კეირონი, რომელმაც შვიდივე საჯარიმო გამოიყენა.

■ ■ ■

"სან ანტონიოს" თამაშში ჯერაც ბევრია წუნი, თუმცა გუნდი იგებს და მთავარი სწორედ ესაა. თავისზე გაცილებით სუსტ "ფილადელფიასთან" "სპურსს" **მანუ ჯინობილიმ** და **ტიმ დანკანმა** მოაგებინეს. არგენტინელმა, როგორც მას სჩვევია, ბოლო მეოთხედში აინყვიტა და პირველ სამ მეოთხედში თამაშიდან ექვსივე სროლის გაფუჭების მერე, ზედიზედ 4 სამიანი ჩააგდო, ორჯერ ეფექტური პასით დანკანს ჩაატენინა ბურთი და ტეხასელებმაც იმარჯვეს.

"ფილადელფიას" მაგრად დააკლდა ძირითადი გამთამაშებელი **ანდრე მილერი**, ვისაც პირველი მეოთხედის ბოლოს **ბრიუს ბოუენმა** თითი მარჯვენა თვალში ატაკა და დარჩენილი დრო ანდრემ სათადარიგოთა სკამზე გაატარა, მისი გუნდი კი საკმაოდ კარგი სტარტის შემდეგ უკვე ზედიზედ მეშვიდედ ტოვებს მოედანს დამარცხებული.

აღსანიშნავია, რომ "სპურსს" დაარსებიდან 35 წელიწადი შეუსრულდა, ხოლო ტრავმირებული **ბრენტ ბერი** კი შესაძლოა, გუნდს უკვე მომდევნო შეხვედრაში, **ლებრონ ჯეიმსის** "კავალიერსის" წინააღმდეგ შეეშველოს.

## კვირის მოთამაშეები

გასული კვირის საუკეთესო ბომბარდირი, "ტორონტო რეპტორზის" ფორვარდი **კრის ბოში** წინა შვიდი დღის შედეგების მიხედვით აღმოსავლეთი კონფერენციის რჩეული გახდა. დასავლეთში კი, ყველას აჯობა "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" მცველმა **კობი ბრაიანტმა**.

წინა კვირას ბოშმა სამი მატჩი ითამაშა. "ტორონტომ" სამივე მოიგო, ხოლო მისი ლიდერი საშუალოდ 33.0 ქულას აგროვებდა.

ბოშმა "ნიუ იორკთან" მატჩში, ამ სეზონში მესამედ დააგროვა 40 ქულა, ხოლო "პორტლენდთან" თავის გუნდს 38 ქულა და 14 მოხსნა შესძინა.

ბრაიანტმა "ლეიკერსს" ოთხიდან ოთხ მატჩში მოაგებინა. კობის საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 29.5 ქულას, 4.5 მოხსნას, 6.0 პასს და 3.5 ჩაჭრას შეადგენდა.

კობიმ ზედიზედ ორ შეხვედრაში შეძლო 37-37 ქულის მოპოვება და საშუალო 27.0 ქულით, ლიგის ბომბარდირთა დავაში მხოლოდ კლივლენდელ ლებრონ ჯეიმსს (29.1) ჩამორჩება.

**ზურაბ თალაკვაძე**

**სიეტლი-ლეიკერსი 121:123 (ო)**

29:28, 33:36, 29:23, 24:28, 6:8

სიეტლი: კოლისონი (24 ქ. 18 მ. 2 დ), დურანი (19 ქ. 2 დ), შჩერბიაკი (18 ქ. 5 მ), კურტ ტომასი (16 ქ. 9 მ. 3 დ), ჯ. გრინი (14 ქ. 7 მ. 3 პ), უილკოქსი (12 ქ. 9 მ. 2 დ), რიდნური (10 ქ. 11 პ).

ლეიკერსი: ბრაიანტი (48 ქ), ტურიაფი (14 ქ. 3 დ), ფარმარი (12 ქ. 4 პ), ფიშერი (12 ქ), კ. ბრაუნი (10 ქ. 10 მ), ოდომი (6 ქ. 14 მ. 7 პ), უოლტონი (4 ქ. 10 მ. 7 პ).

**ბოსტონი-ვაშინგტონი 83:88**

18:18, 19:17, 26:24, 20:29

ბოსტონი: გარნეტი (23 ქ. 9 მ. 6 პ), პირსი (18 ქ. 5 მ), რ. ალენი (16 ქ. 6 მ. 3 პ).

ვაშინგტონი: კ. ბატლერი (21 ქ. 6 მ. 2 ჩ), ჯეიმისონი (20 ქ. 10 მ), სტივენსონი (16 ქ. 4 მ. 4 პ. 4 ჩ), ჰეივუდი (14 ქ. 7 მ), ა. დენიელსი (7 ქ. 9 პ).

**შარლოტი-დენვერი 119:116**

34:25, 33:43, 29:31, 23:17

შარლოტი: ჯ. უოლასი (40 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), კეროლი (19 ქ. 3 მ), ოკაფორი (19 ქ. 13 მ. 3 დ), ჯ. რიჩარდსონი (15 ქ. 5 მ. 2 ჩ), მოჰამედი (10 ქ. 5 მ), ფელტონი (7 ქ. 15 პ).

დენვერი: ენტონი (35 ქ. 7 მ), აივერსონი (23 ქ. 6 პ), კემბი (20 ქ. 23 მ. 6 პ. 6 დ), კენიონ მარტინი (12 ქ. 6 მ. 3 პ), ჯეი. არ. სმიტი (12 ქ).

**ნიუ ჯერსი-პორტლენდი 73:99**

12:25, 22:24, 19:19, 20:31

ნიუ ჯერსი: მ. ალენი (17 ქ. 8 მ), კიდი (10 ქ. 6 მ. 6 პ), ვ. კარტერი (10 ქ. 5 მ. 4 პ).

პორტლენდი: ოლდრიჯი (20 ქ. 7 მ. 3 პ)როი (16 ქ. 3 მ. 3 პ), ჯეკი (15 ქ. 7 პ), ტ. აუთლო (13 ქ), ჯეიმს ჯოუნსი (10 ქ), პრჟიბილა (9 ქ. 12 მ).

**სან ანტონიო-ფილადელ. 89:82**

27:24, 25:22, 12:19, 25:17

სან ანტონიო: ჯინობილი (20 ქ. 5 მ. 4 პ), დანკანი (18 ქ. 16 მ. 6 პ. 2 დ), ტ. პარკერი (14 ქ. 7 პ), ფინლი (14 ქ. 4 მ).

ფილადელფია: უ. გრინი (21 ქ), იგუოდალა (19 ქ. 4 ჩ. 3 მ. 3 პ), დალემბერი (12 ქ. 20 მ. 3 დ), რ. ევანსი (6 ქ. 7 მ).

**იუტა-მილუოკი 98:87**

24:22, 25:26, 22:24, 27:15

იუტა: დ. უილიამსი (33 ქ. 10 პ. 5 მ. 4 ჩ), ბუზერი (21 ქ. 10 მ. 3 პ), მილსეპი (11 ქ. 5 მ).

მილუოკი: ბოგუტი (23 ქ. 10 მ. 3 პ), მო უილიამსი (21 ქ. 6 პ), რედი (16 ქ. 5 მ), ჩ. ბელი (11 ქ. 4 ჩ).

**საკრამენტო-დალასი 122:120**

26:35, 29:22, 31:23, 36:40

საკრამენტო: კევინ მარტინი (39 ქ), სალმონსი (22 ქ. 4 მ. 3 პ), გარსია (22 ქ. 5 მ. 2 ჩ), უდრიხი (12 ქ. 5 მ. 5 პ. 3 ჩ), ბ. მილერი (11 ქ. 9 მ. 6 პ. 2 დ).

დალასი: დ. ჰარისი (25 ქ. 9 პ), ტერი (25 ქ. 7 პ), ნოვიცკი (21 ქ. 4 მ. 4 პ), ჯოშ ჰოვარდი (11 ქ. 6 მ), ბასი (1 ქ. 4 მ. 2 დ), ე. ჯოუნსი (10 ქ. 3 პ), დემპიე (8 ქ. 10 მ. 2 დ).

## TV სპორტი

**16 იანვარი. ოთხშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
18:50 გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:05 ჰოლანდიის ჩემპიონატი. აიაქსი-ეინდჰოვენი.
22:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).
00:55 ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:03 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:07 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფლორიდა-პიტსბურგი.
11:54 მინი-მოედანი.
12:09 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი.
13:53 ფეხბურთი. Barca TV.
14:01 სპორტდოსიე.
14:27 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. ოკლენდი. ზელანდია.
15:59 ათასიდან ერთი.
16:22 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-რომა.
18:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:56 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
20:40 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
20:55 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. აილენდერსი-მონრეალი.
22:43 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
23:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. XII ტური. მილანი-არისი (LIVE).
01:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:27 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
02:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ლევანტე-რეალი.
03:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:38 სპორტდოსიე.
05:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-რომა.
06:50 ფეხბურთი. Barca TV.
06:58 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:49 სპორტ[illegible]

**EUROSPORT**

08:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე. მელბურნი (LIVE).
18:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია (LIVE).
20:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
20:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. პოლონეთი-გერმანია. გერმანია (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. პოლონეთი-გერმანია. გერმანია.
22:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
22:45 მულტისპორტი.
22:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:55 გოლფი. US PGA-ის ტური.
23:55 გოლფ-კლუბი.
00:00 იახტ-კლუბი.
00:05 აფროსნობა.
00:10 მულტისპორტი.
00:15 სნუკერი. მასტერსი. IV დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
02:00 რალი-რეიდი. დაკარი 2003.
02:30 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია.
03:30 რალი-რეიდი. დაკარი 2003.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე. მელბურნი (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. დინამო (რუსეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი).
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. კამერუნი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. ფორტიტუდო (იტალია)-ცრვენა ზვეზდა (სერბეთი).
18:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. დინამო (რუსეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი).
19:00 ლაკროსი. ჩრდილოეთ ამერიკის რეგალარული ლიგა. კოლორადო-ედმონტონი.
20:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 1994-2000.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:30 ახალი ამბები.
23:00 ფრენბურთი. ოლიმპიადის საკვალიფიკაციო ტურნირი. ჯგუფური ეტაპი. ქალები. გერმანია (LIVE).
01:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ლეგენდები. საუკეთესო ფინალები. 2002-2006.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:45 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| მორეკამბი-დარლინგტონი | 0:3 |
| პიტერბრო-აკრინგტონი | 8:2 |
| **ინგლისის თასი** | |
| **1/32 ფინალი. გადათამაშება** | |
| როვერსი-ფულჰემი | გადაიდო |
| ბერი-ნორვიჩი | 2:1 |
| მილუოლი-უოლსოლი | 2:1 |
| ვესტ ბრომვიჩი-ჩარლტონი | 2:2 პენ. 4:3 |
| ლივერპული-ლუტონი | 5:0 |
| რედინგი-ტოტენჰემი | 0:1 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩი** | |
| იუვენტუსი-ემპოლი | 5:3 (1:2) |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩი** | |
| ბარსელონა-სევილია | 0:0 (1:1) |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| დორდრეხტი-აპელდორნი | დ.დ. 4:3 |
| ნაიმეგენი-ცვოლე | 0:2 |
| ვაალვიკი-ჰაარლემი | 1:1 პენ. 3:5 |
| როდა-ექსელსიორი | 3:0 |
| დორნი-ფეიენოორდი | 0:4 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| პარტიკი-დანდი | 1:3 |
| ლივინგსტონი-კოუდენბითი | 2:0 |
| სტ. ჯონსტონი-რეითი | 3:1 |
| **თურქეთის თასი** | |
| გენჩლერი-ადანადემირი | 1:0 |
| გალათასარაი-სარიერი | 3:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ULEB-ის თასი** | |
| აზოვმაში-ვალენსია | 73:74 |
| ტრიუმფი-ფრიბურგი | 76:61 |
| ხიმკი-ანვილი | 90:63 |
| ქელუზანია-კიოლნი | 75:65 |
| პანიონიოსი-გრან კანარია | 74:79 |
| დინამო-პანელინიოსი | 107:73 |
| ჰაპოელი (ი)-ბუდუჩნოსტი | 82:81 |
| ტუროვი-უნიქსი | 73:68 |
| კიევი-ლუკოილი | 85:84 |
| გალათასარაი-ასესოფტა | 72:64 |
| ზადარი-ჰაპოელი (თ) | 103:75 |
| კეპიტალზი-ჰემოფარმი | 94:85 |
| ალბა-ტურკ ტელეკომი | 73:81 |
| გმუნდენი-ანტვერპენი | 80:69 |
| ლუდვიგსბურგი-კალევი | 87:62 |
| ნანსი-სკაილაინერსი | 84:78 |
| ეიფელ ტაუერსი-სტრასბური | 83:60 |
| ბენეტონი-არტლანდი | 82:64 |
| ვილერბანი-შლიონსკი | 84:72 |
| გილდფორდი-შიაულაი | 76:86 |
| კლიმამიო-ცრ.ზვეზდა | ო.ტ. 76:77 |
| ოსტენდე-ნიმბურკი | 83:81 |
| პო ორტეზი-ასკ რიგა | 68:66 |
| შალონი-ვენტსპილსი | ო.ტ. 97:89 |
| ხირონა-შარლერუა | 92:72 |
| ხუვენტუდი-ბოსნა | 83:66 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| მეტალურგი (ნ)-ს. იულაევი | 3:4 |
| სიბირი-მეტალურგი (მ) | ო.ტ. 2:3 |
| ტრაქტორი-ლოკომოტივი | 8:3 |
| ლადა-ცსკა | 4:1 |
| ნეფტეხიმიკი-აკ ბარსი | პენ. 0:1 |
| სევერსტალი-ხიმიკი | 1:2 |
| სპარტაკი-ვიტიაზი | 3:1 |
| ტორპედო-სკა | 3:4 |
| მვდ-დინამო | 2:0 |
| **სლოვაკეთი** | |
| კეჟმაროკი-ზვოლენი | 0:5 |
| კოშიცე-მარტინი | 3:1 |
| ნიტრა-ჟილინა | 3:1 |
| სკალიცა-მიკულაში | 3:0 |
| სლოვანი-პოპრადი | 5:2 |
| **ფინეთი** | |
| ილვესი-იუვიასკიულა | პენ. 1:0 |
| კაპა-ჰპკ | 4:1 |
| კიეკო-იოკერიტი | 2:4 |
| ტპს-საიპა | 4:1 |
| ჰიფკ-პელიკანსი | 4:2 |
| ესპო-ტაპარა | 3:4 |
| **ჩეხეთი** | |
| სლავია-პლზენი | 5:2 |
| **შვეიცარია** | |
| ლანგნაუ-ბერნი | პენ. 0:1 |
| ფრიბურგი-ბაზელი | 3:1 |
| ციურიხი-კლოტენი | პენ. 0:1 |
| **შვედეთი** | |
| ლულეა-ფერიესტადი | 7:2 |
| მოდო-მორა | 4:2 |
| ჰვ 71-სოდერტალიე | 3:1 |

ავსტრალიის ღია პირველობა

# ამჯერად მოულოდნელობათა გარეშე

ავსტრალიის ღია პირველობის მეორე დღემ ყოველგვარი მოულოდნელობის გარეშე ჩაიარა. ყველა ფავორიტმა პირველი ბარიერი იოლად გადალახა. გამარჯვებით დაიწყო შარშან მოპოვებული ტიტულის დაცვა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**. ტურნირი ასევე მოგებით დაიწყეს მისმა ყოფილმა ჩემპიონებმა, შვედმა **ტომას იოჰანსონმა** და რუსმა **მარატ საფინმაც**.

გუშინვე, **მარგარეტ კორტის** სახელობის კორტის ტრიბუნაზე, ჩილელი **ფერნანდო გონსალესისა** და ბერძენი **კონსტანტინოს ეკონომიდისის** შეხვედრის დროს, ათწუთიანი არეულობა მოხდა, რომლის დროსაც, პოლიციას ბერძენი მაყურებლების დაშოშმინება მოუხდა. უნდა ითქვას, რომ ჩილელი ფანები რაოდენობით რვაჯერ მეტნი იყვნენ ბერძნებზე, მაგრამ ესენი ძალიან ხმაურობდნენ, რითაც პოლიციის "ყურადღება" მიიქციეს. უფრო მეტიც, სამართალდამცავები იძულებულნი შეიქნენ, ტრიბუნიდან სამი ბერძენი ფანი გაეძევებინათ.

გონსალესი კი, ვინც ავსტრალიის ღიაზე შარშან ფინალს მიაღწია და იქ ფედერერთან წააგო, იოლად გაუსწორდა კონსტანტინოს ეკონომიდისს და მეორე წრისკენ გაიკაფა გზა.

ავსტრალიის ღიას სამგზის ჩემპიონმა ფედერერმა სამ სეტში მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო არგენტინელ **დიეგო ჰარტფილდს**. დიდი სლემის 13 ტიტულის მფლობელმა, პირველი ბარიერის გასავლელად სულ 74 წუთი იმყოფინა.

*"ჩემი თამაშით კმაყოფილი ვარ. ახლა ადრეა იმაზე ლაპარაკი, თუ რამდენად კარგად ვარ ტურნირისთვის მომზადებული. თამაშის წინ ცოტა ვინერვიულე, რადგან ვიცოდი, რომ ჰარტფილდს ძლიერი მოწოდება აქვს. მაგრამ თამაში ისე იოლად წამივიდა, მე თვითონაც არ ველოდი. რაც მთავარია, კარგად ვაწოდებდი, რასაც ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს"*, - განაცხადა ფედერერმა, ვისთვისაც ეს ახალ სეზონში ჩატარებული პირველი შეხვედრა იყო.

თამაში იმით დაიწყო, რომ შვეიცარიელი პირველივე გეიმში ბრეიკის საშიშროების წინაშე დადგა. თუმცა, მალევე დაამყარა კორტზე კონტროლი. მან ჯერ მეტოქის ბრეიკ პოინტი გააბათილა, შემდეგ ეს გეიმი თავის სასარგებლოდ დაასრულა და ამას კიდევ ზედიზედ ხუთი გეიმის მოგება მიაყოლა. რეიტინგში 107-ე საფეხურზე მყოფმა ჰარტფილდმა მეორე სეტში მეტოქეს მეტნაკლები წინააღმდეგობა გაუწია, მაგრამ ამაზე მეტი ველარ შეძლო.

მეორე წრეში ფედერერის მეტოქე იქნება ფრანგი **ფაბრის სანტორო**. შვეიცარიელის თქმით, სანტორო მაგარი ტაქტიკოსია, მაგრამ: *"მე ვიცი, როგორ უნდა ვითამაშო მის წინააღმდეგ"*, - დასძენს ფედერერი.

მეორე წრეში სეტის წაუგებლად გავიდა უიმბლდონის ჩემპიონი, ამერიკელი **ვენუს უილიამსიც**, რომელმაც ჩინელი **იან ძი** დაამარცხა. ვენუსმა პირველი სეტი იოლად მოიგო და მეორეშიც 5:2 დაწინაურდა. მაგრამ მერე ოდნავ მოეშვა და მეტოქეს სეტში ანგარიშის გათანაბრების (5:5) საშუალება მისცა. ამან ამერიკელი კვლავ გამოაფხიზლა, რის შემდეგაც მან ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და შეხვედრასაც 74 წუთში დაუსვა წერტილი.

*"თამაშით დიდი სიამოვნება მივიღე. იყო მომენტები, როცა ის თითქმის აუღებელ ბურთებს იგერიებდა, რასაც არ ველოდი. საერთო ჯამში, ჩემი გამოსვლით კმაყოფილი ვარ"*, - განაცხადა ვენუსმა, ვინც შარშან ეს ტურნირი ტრავმის გამო გააცდინა.

ალსანიშნავია, რომ მეორე სეტის დასაწყისში ჩინელმა ჩოგბურთელმა ზედიზედ ორი გეიმის მოგება შეძლო. მერე ამერიკელმა ზედიზედ ხუთი მოიგო და მიუხედავად იმისა, რომ იან ძიმ ანგარიშის გათანაბრება შეძლო, თამაში მაინც ვენუსის გამარჯვებით დასრულდა.

ცოტა გაუჭირდა ტურნირის შარშანდელ ჩემპიონს, სერბ **ანა ივანოვიჩს**. რუმინელ **სორანა კრისტეასთან** შეხვედრის პირველი სეტის მიწურულს, როცა ბრეიკით წინ იყო და სეტზე აწოდებდა, სერბი ანერვიულდა, რამაც კინალამ ცუდი სამსახური გაუწია. თუმცა, გამოცდილებამ თავისი გაიტანა და დიდი ბრძოლის შემდეგ, მან ეს სეტი მაინც მოიგო, რის შემდეგაც, მეორეში 5:0 დაწინაურდა. შემდეგ სერბი ისევ "გაიჭედა", რითაც რუმინელმა კარგად ისარგებლა და ზედიზედ სამი გეიმი მოიგო. მაგრამ ამაზე მეტის საშუალება მას აღარ მიეცა.

*"დასაწყისი ყოველთვის ძალიან ძნელია. მაგრამ ყველა სიძნელე გადავლახე და ბედნიერი ვარ, რომ პირველი წრე გავიარე. კრისტეა შესანიშნავი ჩოგბურთელია. მას კარგი მომავალი აქვს. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი შეხვედრა ამის თქმის საბაბს მაძლევს"*, - განაცხადა ივანოვიჩმა.

გაცილებით იოლ გამარჯვებას მიაღწია ივანოვიჩის თანამემამულე **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, ვინც სამ სეტში გაუსწორდა გერმანელ **ბენიამინ ბეკერს**. *"თამაში კარგად დავიწყე. არც ველოდი, თუ ასე გამიადვილდებოდა. შეხვედრის წინ ვნერვიულობდი. საერთოდ, პირველ წრეში ყოველთვის ვნერვიულობ ხოლმე. მაგრამ თამაში დაიწყო თუ არა, ნერვიულობაც გადამავიწყდა"*, - განაცხადა ჯოკოვიჩმა.

ფედერერის მსგავსად, სამ სეტში მეტოქეს მხოლოდ სამი გეიმი დაუთმო ავსტრალიელმა **ლეიტონ ჰიუიტმაც**. მისი მეტოქე ბელგიელი **სტივ დარცისი** იყო, რომელმაც მხოლოდ მეორე გეიმში შეძლო გაბრძოლება.

მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ეს სეზონი უხეიროდ დაიწყო – ავსტრალიის ღიას წინ, ზედიზედ ორ ტურნირს ადრეულად გამოეთიშა და ბუნებრივია, მელბურნში პირველ წრეში სანერვიულოც ბევრი ჰქონდა. მაგრამ ბრწყინვალედ ითამაშა და ნამატჩევს განაცხადა, ასე კარგად სასლემო ტურნირი არასოდეს დამიწყიაო.

აშშ-ის ღიასა და უიმბლდონის ყოფილმა ჩემპიონმა თამაში აგრესიულად დაიწყო და პირველ სეტში მეტოქეს გეიმის მოგების საშუალებაც კი არ მისცა. ეგ კი არა, სამ სეტში დარცისმა თავის მოწოდებაზე მხოლოდ ორჯერ შეძლო გეიმის მოგება. მესამე გეიმი კი მეტოქის სერვისზე აილო და ესეც იმის გამო, რომ ჰიუიტმა ყურადღება ზედმეტად მოადუნა. ჰიუიტს მეორე წრეში მეტოქეობას უზბეკი **დენის ისტომინი** გაუწევს.

მომდევნო წრეში ჩოგნის გაუქნევლად გავიდა **ანა ჩაკვეტაძე**, რომლის მეტოქემ, გერმანელმა **ანდრეა პეტკოვიჩმა** ტრავმის გამო თამაშისგან თავი შეიკავა.



ეკონომიდისის თამაშს ბევრი აურზაური მოჰყვა

## კაცები. პირველი წრე

**როჯერ ფედერერი (შვეი, 1)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 6:0, 6:3, 6:0; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 32)**-ქსავიე მალისი (ბელგ) 6:7(1), 5:7, 6:2, 6:1, 6:3; **ფერნანდო გონსალესი (ჩილე, 7)**-კონსტანტინოს ეკონომიდისი (საბ) 6:4, 7:6(2), 6:1; **ვინს სპადეა (აშშ)**-რადეკ სტეპანეკი (ჩეხ, 30) 2:6, 2:6, 7:5, 6:2, 6:3; **ტომაშ ბერდიხი (ჩეხ, 13)**-ვერნერ ეშაუერი (ავსტრ) 6:4, 6:4, 6:4; **მარატ საფინი (რუს)**-ერნესტ გულბისი (ლატ) 6:0, 6:4, 7:6(2); **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 12)**-ნიკოლას მასუ (ჩილე) 6:3, 6:2, 6:2; **ფაბრის სანტორო (საფრ)**-ჯონ ისნერი (აშშ) 6:2, 6:2, 6:4; **ოსკარ ერნანდესი (ესპ)**-ივო მინარი (ჩეხ) 1:6, 7:6(5), 6:2, 6:1; **იურგენ მელცერი (ავსტრ)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:3, 6:4, 6:4; **პეტერ ლუჩაკი (ავსტრალ)**-მარიანო საბალეტა (არგ) 6:1, 6:7(2), 6:3, 6:4; **ხუან კარლოს ფერერო (ესპ, 22)**-ნიკოლას კიფერი (გერ) 6:4, 6:3, 6:1; **მარინ ჩილიჩი (ხორვ)**-ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 27) 7:6(4), 7:5, 6:2; **სემ ქვერი (აშშ)**-ოლივიე როხუსი (ბელგ) 6:3, 6:2, 7:5; **სიმონე ბოლელი (იტა)**-რაჯივ რამი (აშშ) 7:6(5), 3:6, 6:4, 2:6, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი (არგ, 10)**-რობერტ სმიტსი (ავსტრალ) 6:1, 6:1, 7:6(3); **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-ივან ლიუბიჩიჩი (ხორვ, 17) 6:7(2) 6:3, 6:0, 7:6(1); **ალუნ ჯონსი (ავსტრალ)**-ალბერტ მონტანესი (ესპ) 6:4, 6:3, 3:6, 6:2; **ხუან მონაკო (არგ, 21)**-კარლოს ბერლოში (არგ) 7:6(5) 7:5, 6:1; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 3)**-ბენიამინ ბეკერი (გერ) 6:0, 6:2, 7:6(5); **ამერ დელიჩი (აშშ)**-რობერტ კენდრიკი (აშშ) 6:4, 7:5, 6:2; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 25)**-ტიერი აშონე (საფრ) 6:4, 6:0, 6:3; **სებასტიან გროჟანი (საფრ)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 7:6(3), 6:3, 7:6(0); **მაიკლ რასელი (ავსტრალ)**-ფაბიო ფონინი (იტა) 6:1, 4:6, 6:2, 3:6, 6:3; **იანკო ტიპსარევიჩი (სერბ)**-ჯოზეფ სირიანი (იტა) 7:5, 6:2, 6:7(6), 0:6, 6:0; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ)**-სანტიაგო ვენტურა (იტა) 6:3, 6:1, 6:3; **დენის ისტომინი (უზბ)**-ლუკაშ ლაჩკო (ჩეხ) 6:3, 6:7(1), 7:6(4), 6:1; **ჰიუნ-ტაიკ ლი (ტაივ)**-კრის გუჩონე (ავსტრალ) 7:6(6), 6:3, 6:4; **ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალ, 19)**-სტივ დარცისი (ბელგ) 6:0, 6:3, 6:0. **დენის გრემელმაირი (გერ)**-სერხიო როიტმანი (არგ) 6:1, 0:6, 6:4, 7:5. **დავიდ ფერერი (ესპ, 5)**-ედუარდ როჟე ვასელენი (საფრ) 6:2, 6:2, 6:1. **მარკოს ბაგდატისი (კვიპ)**-ტომას იოჰანსონი (შვედ) 6:2, 3:6, 6:3

## ქალები. პირველი წრე

**სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 2)**-ნატალი დეში (საფრ) 6:3, 6:1; **ანა ივანოვიჩი (სერბ, 4)**-სორანა კრისტეა (რუმ) 7:5, 6:3; **ანა ჩაკვეტაძე (რუს, 6)**-ანდრეა პეტკოვიჩი (პეტკოვიჩმა არ ითამაშა); **ვენუს უილიამსი (აშშ, 8)**-იან ძი (ჩინ) 6:2, 7:5; **დანიელა ჰანტუხოვა (სლვკ, 9)**-ვანია კინგი (აშშ) 6:3, 7:5; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-მარიონ ბარტოლი (საფრ, 10) 6:7(3), 6:4, 6:3; **ნადია პეტროვა (რუს, 14)**-ნიკოლ პრატი (ავსტრალ) 6:1, 6:3; **საბინე ლისიცკი (გერ)**-დინარა საფინა (რუს, 16) 7:6(4), 4:6, 6:2; **ეკატერინა მაკაროვა (რუს)**-აგნეშ სავაი (უნგრ, 20) 3:6, 6:4, 7:5; **ალონა ბონდარენკო (უკრ, 21)**-ალა კუდრიავცევა (რუს) 6:4, 7:6(4); **კატალინა კასტანო (კოლუ)**-ლუსი საფაროვა (ჩეხ, 22) 6:1, 6:4; **ნა ლი (ჩინ, 24)**-სევერინ ბრემონი (საფრ) 6:2, 4:6, 6:4; **მარია კირილენკო (რუს, 27)**-მეილენ ტუ (აშშ) 6:4, 4:6, 6:3; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვ, 28)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 4:6, 6:0, 9:7; **აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 29)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:0, 6:1; **სანია მირზა (ინდ, 31)**-იროდა ტულიაგანოვა (უზბ) 6:4, 6:2; **მარია კორიტცევა (უკრ)**-მარია ემილია სალერნი (არგ) 6:2, 6:3; **პაულინ პარმენტიე (საფრ)**-მარტინა მიულერი (გერ) 7:5, 6:3; **ვირხინია რუანო პასკუალი (ესპ)**-რობერტა ვინჩი (იტა) 6:4, 6:4; **კამილ პენი (საფრ)**-მონიკა ნიკულესკუ (რუმ) 5:7, 6:1, 6:1; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან)**-ხისელა დულკო (არგ) 6:1, 6:1; **მარტა დომახოვსკა (პოლ)**-მატილდ იოჰანსონი (საფრ) 6:1, 6:1; **ანე კრემერი (ლუქს)**-ევგენია ლინეცკაია (რუს) 7:6(8), 6:0; **ანასტასია როდიონოვა (რუს)**-ანგელიკა ბახმანი (გერ) 7:6(3), 6:4; **ტიმეა ბაჩინსკი (შვეი)**-სოფი ფერგიუსონი (ავსტრალ) 6:4, 6:3; **ცვეტანა პირონკოვა (ბულ)**-ოლგა გოვორცოვა (ბელა) 6:1, 6:1; **ალიზ კორნე (საფრ)**-კლარისა ფერნანდესი (არგ) 6:3, 6:3; **ივონ მოისბურგერი (ავსტ)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 6:1, 6:4; **აკიკო მორიგამი (იაპ)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ) 6:2, 6:2; **ტატიანა გარბინი (იტა)**-ელენი დანიილიდუ (საბ) 6:2, 6:2; **ალისა კლეიბანოვა (რუს)**-შუაი პენი (ჩინ) 7:5, 4:6, 9:7; **მარია ელენა კამერინი (იტა)**-კრისტინა უილერი (ავსტრალ) 6:1, 6:2; **ანგელიკ კერბერი (გერ)**-მარეტ ანი (ესტ) 0:6, 6:3, 6:2


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები: დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი: მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი: დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

ახმეტელის 10ა.
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56. 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995. 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა